



ვ . ზ . ა . მ . ა . ლ . ა . ი . ა

↓

ბ ა ი უ ი ს

სუპრატემორპლპრული

კოეპლექსი

„სუპრატემორპლპრული“  
1956

## შ ე ს ა ვ ა ლ . I

თანამედროვე კულტურის შექმნისას აუცილებელია წარსულის მემკვიდრეობის ათვისება. დიდი ლენინი გვასწავლიდა: „თუ ნათლად არ შევიგნეთ ის, რომ პროლეტარული კულტურის შენება შესაძლებელია კაცობრიობის მთელი განვითარებით შექმნილი კულტურის მხოლოდ ზუსტი ცოდნით, მხოლოდ მისი გადამუშავებით, — თუ ეს არ შევიგნეთ, ისე ამ ამოცანას ჩვენ ვერ გადავწყვეტთ“.<sup>1</sup>


ძველი ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიის შესწავლისას აშკარად შეიმჩნევა მისი საკუთარი სახე, რომელიც ათასეული წლების განმავლობაში ვითარდებოდა და ყალიბდებოდა, იზრდებოდა და იცვლებოდა. ხალხის წიაღიდან გამოსული ეს კულტურა იმდენად ფესვმაგარი გამოდგა, რომ მას ასწლობით თელავდნენ და წვაებდნენ, მაგრამ საბოლოოდ იგი მაინც გამარჯვებული გამოდიოდა.

განსახილავი ობიექტი — ცაიშის ძველი წარსულის ერთ-ერთი ისეთი ძეგლია, რომლის გამოვლინება, მცირე წვლილს შეიტანს შუასაუკუნეების ხუროთმოძღვრების განვითარების როგორც საერთო სურათში, ისე კერძოდ XIII—XIV სს თავისებურებათა გამომჟღავნების საქმეში.

ცაიშის ხუროთმოძღვრული კომპლექსი მდებარეობს ზუგდიდის სამხრეთ-დასავლეთით, ათიოდე კილომეტრზე. სოფელი ცაიშში გაშენებულია მთაგორიან ადგილზე; მისი ერთი ნაწილი განლაგებულია შედარებით გაშლილ დაბლობზე, ლიანდაგის გასწვრივ, ხოლო მეორე ნაწილი ხევშია. ამ ხევს ქმნის პატარა მდინარე ჯუმი, რომლის გასწვრივ ვიწრო ფერდობზე აქა-იქ მიფენილია ციტრუსებში ჩაფლული ხახლები. სამხრეთით ხევს დაჰყურებს ურთის მთის ერთ-ერთი შტო, ჩრდილოეთით—ბოკოთის მთა. ეს მთები, დასავლეთით, უცბად ეშვება და უერთდება კოლხეთის დაბლობს. ამრიგად ცაიშის კომპლექსი განლაგებულია კოლხეთის დაბლობის მომიჯნავე მთების საწყისში.

<sup>1</sup> ე ლ ე ნ ი ნ ი — თხზულებანი, 31, (გამოც. მეოთხე), თბილისი, 1952 წ. გვ. 343.

კომპლექსის ტერიტორიიდან -პორიზონტზე მუქ-ლურჯად მკაფიოდ მოჩანს შავი ზღვა, რომელიც ოციოდე კილომეტრითაა დაშორებული (ტაბ. 1). ეკლესიის აღმოსავლეთით კი, სადაც დღეს ცარცის საბადოებია, ხევი უხვევს ჩრდილოეთით და ამ მხარეს ამით იკეტება ხედი.



სურ. 1. ცაიშის კომპლექსის გეგმა.

ცაიშის კომპლექსი ხევის ჩრდილოეთითაა, მთა ურთავს ერთ-ერთ განიერ ფერდობზე, შდ. ჯუშიდან ასიოდე მეტრის სიმაღლეზე. ნაგებობებს შემოვლებული აქვს ფართო და მაღალი (2,5 მტრ) გალა-

ვანი, რომლის ცენტრში ტაძარია აღმართული, სამხრეთ ნაწილში კი — ორსართულიანი სამრეკლო (ტაბ. 11). გალავნის ჩრდ. კუთხეში მოთავსებულია ნაგებობა, რომელსაც ადგილობრივ „პალატს“ უწოდებენ. იგი ეკლესიის ეზოდან არ ჩანს, რადგანაც ფერდობზეა მიდგმული, ზოლო მისი ერთადერთი, ჩრდ.-დასავლეთის ფასადი ხევისკენაა მიქცეული (სურ. 1). კომპლექსიდან სხვა არაფერი შემორჩენილა.

ცაიშის ტაძარი, როგორც ირკვევა, წარმოადგენდა საეპისკოპოსო კათედრალს. ისტორიულ საბუთებში ამის შესახებ პირველ ცნობას ვხვდებით XV ს. შუა წლებში.<sup>1</sup>

საქციშლოს საზღვრები ვახუშტს შემდეგნაირად აქვს შემოხაზული: „ჩაისს... ზის ეპისკოპოზი, მწყემსი ამ წყლის — (ზობის წყლის) — სამკრეთის კერძოსი უნაგირამდე და რიონა—ზღვამდე“.<sup>2</sup> მასვე სხვადასხვა ადგილას მოხსენებული აქვს სამეგრელოს სხვა საეპისკოპოსოების საზღვრებიც, რის მეოხებითაც შეიძლება უფრო დაზუსტდეს საქციშლოს საზღვრები. აღმოსავლეთით საქციშლოს ესაზღვრებოდა საქყონდილო მთა უნაგირამდე, დასავლეთით — ზღვა, სამხრეთით — მდ. რიონი (რომლის სამხრეთი ნაწილი ჯუმათის საეპისკოპოსოს ეკუთვნოდა), ზოლო ჩრდილოეთით — წალენჯიხის („ქელენჯიხი“) საეპისკოპოსო უნაგირას მთით.

როგორც ვხედავთ, საქციშლოს ტერიტორია საქმოდ დიდი ყოფილა ვახუშტის დროს, მაგრამ რა ტერიტორიას მოიცავდა მისი უფრო ადრინდელი საზღვრები, სათანადო მასალების უქონლობის გამო, ჩვენთვის ჯერჯერობით უცნობია.

ცაიშის შესახებ არსებული ლიტერატურა ღარიბია; მიუხედავად იმისა, რომ ადრინდელ მოგზაურებს ეს ძეგლი უნახავთ, ისინი მხოლოდ შცირეოდენი შენიშვნებით კმაყოფილდებიან, ზოლო მკვლევარ-ისტორიკოსების უმრავლესობა ძირითადად დაინტერესებული იყო წარწერებით. ლაპიდარული წარწერა ამ ძეგლს ამჟამად არ გააჩნია,<sup>3</sup> ზოლო სხვა სახის წარწერები საქმოდ მოეპოვება და გამოცემულიცაა<sup>4</sup> (წარწერები სხვადასხვა სამონასტრო ნივთებზე). რაც

<sup>1</sup> პ. ინგოროცვა — სენეთის საისტორიო ძეგლები, ნაკვეთი მეორე 1914 წ. გვ. 28.

<sup>2</sup> ვახუშტი — „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, თბილისი, 1941 წ. გვ. 167.

<sup>3</sup> ლაპიდარული წარწერები ცაიშის კომპლექსში ყოფილა, როგორც ამას სამრეკლოს კედელში ჩაყოლებული ფრაგმენტები გვაფიქრებინებს. ერთი მათგანი ასომთავრულია, ზოლო მეორე მხედრული. ამ წარწერებს ქვემოთ ვიხილავთ.

<sup>4</sup> Brosset, Voyage archéologique, rapp. VII, გვ. 27—37; ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური მოგზაურობა სამეგრელოში, ძვ. საქლო. ტ. III, ტფილისი, 1913, გვ. 163—193.



შეეხება თვით ძეგლების ხუროთმოძღვრებას, მას ჯერჯერობით არააინ შეხებია.

ჩვენი განხილვის ძირითად ობიექტს წარმოადგენს ცაიშის ტაძარი, რომელსაც თავისი პირვანდელი სახით ჩვენამდე არ მოუღწევია, რადგან 1614 წლის მიწისძვრამ გაანადგურა იგი. ნაწილობრივად გადარჩენილი შენობების „ფრაგმენტებით“ დღევანდელი მკვლევარისათვის ძნელია კომპლექსის პირვანდელ სახეზე მსჯელობა. თვით ტაძრის რეკონსტრუქციისას გადაწყვეტით გარკვეული დასკვნის მიღებაც საძნელოა, მაგრამ ზოგი რამ, რისი შემჩნევაც შესაძლებელია, საშუალებას გვაძლევს ამ ძეგლზე შევიქმნათ გარკვეული წარმოდგენა.

ამ კომპლექსის მთავარი ძეგლი, ცაიშის „ღვთისმშობლის ეკლესია“ წარმოადგენს ცენტრალურ-გუმბათოვან ნაგებობას, რომლის საფუძვლის თითქმის კვადრატული აბრისიდან მკვეთრადაა გამოყოფილი აღმოსავლეთის შეერილი, — საკურთხეველს შვიდწახნაგოვანი აფსიდი.

საუკუნეების განმავლობაში მრავალგზის სახენაცვალი უთარილო კომპლექსის განხილვა ბევრ სირთულესთან არის დაკავშირებული: საჭირო იქნება კომპლექსისათვის ქართული არქიტექტურის გზების ისტორიულ მსვლელობაში სათანადო ადგილის მიჩნევის შემდეგ, მისი ჯგუფის ძეგლების გარჩევა და საერთო ხაზის გამართვა.

თუ საშუალო საუკუნეებში ცაიში განთქმული იყო თავისი საეპისკოპოსო კათედრით, ახლა მის მშენებას წარმოადგენს სოფლის მჭურნეობის სხვა კულტურებთან ერთად ზუბტროპიკული მცენარეები. ამავე დროს, იქ ახლახან აღმოჩენილი მინერალური წყლები მას კურორტად აქცევს და დიდ მომავალს უქადის.

## I. ხართომოძვერული კოვლექსის ისტორია

ცაიშის საეპისკოპოსოს დაარსების დრო და მისი ისტორია XVII ს. პირველ წლებამდე ჯერჯერობით თითქმის უცნობია (მხედველობაში თუ არ მივიღებთ რამდენიმე ცაიშელის დასახელებას, ისიც მხოლოდ XV ს. შუა წლებიდან). XVII ს. მომხდარ ერთს უბედურ შემთხვევას გადმოგვცემს ცაიშის რამდენიმე ხატის წარწერა და თქვე შორიახლო მდებარე ერთ-ერთი მცირე ეკლესიის წარწერაც. ამ წარწერებში ნათქვამია, რომ „ძვრამ საშინელმა“ დაანგრია საყდარი; შემდეგ მოთხრობილია მისი აღდგენის ამბები. კიდევ ერთი წარწერა, რომელიც საყდრის მერმინდელ ისტორიას შეეხება, მოგვითხრობს მის განახლებას „ქვეყნის მიმორყეულობის“ შემდგომ. „ქვეყნის მიმორყეულობისდა“ მიუხედავად, ადგილობრივ მფლობელთ (ისევე, როგორც მიწისძვრის შემდეგ) არ მოუსურვებიათ თავიანთ საყდარზე ხელის აღება და ზელახლა აღუდგენიათ „გაოხრებული“ საყდარი, რითაც უნებლიეთ შეწყვეტილი ისტორია კვლავ განახლებულა.

აღნიშნულ წყაროთა გარდა არსებობს კიდევ რამდენიმე სხვა წარწერა ხატებზე, ეკლესიის სხვადასხვა განძეულობა, აგრეთვე, მინაწერები ზელანაწერებზე, რომლებიც ცოტად თუ ბევრად შუქსაძენენ ცაიშის საყდრის გვიანდელ ისტორიას.

ჩვენ შევეცდებით ამ გაბნეული სხვადასხვა სახის მინაწერების დაჯგუფებას და ქრონოლოგიურად განხილვას.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პირველი ცნობა ეხება ანსამბლის დანგრევას მიწისძვრის გამო. საისტორიო წყაროები ამ ფაქტზე არაფერს გვამცნობენ. ამიტომ იძულებული ვართ მივმართოთ ისევ ადგილობრივ მასალებს, თუმცა აქაც პირდაპირ არ არის მოცემული თარიღი. მიწისძვრა კი ისეთი ძლიერი და ხანგრძლივი ყოფილა, რომ დიდი ნგრევა და უბედურება გამოუწვევია ახლომახლო სოფლებში.

ამჟამად საკითხი ასე ისმის: როდის უნდა მომხდარიყო ის სა-  
შინელი მიწისძვრა, რომელმაც „შეაძრწოვა და შეარყია ქვეყანა“?

პირველი საბუთი, რომელიც ამ საკითხის გასაღებს იძლევა,  
ცაიშის საყდრის ერთ-ერთ ხატზე მოთავსებული წარწერა არის.  
დიდი ზომის ხატი ჯვარცმისა, მოოქროვილი და ვერცხლით მოჭე-  
დილი შეიცავს რამდენიმე წარწერას, რომელთაგან ჩვენ ამჟამად  
ხოლოდ ქვედა ნაწილის მთელ სიგრძეზე მოთავსებულ რეასტრი-  
ქონიან წარწერას მოვიყვანთ, მეორე სტრიქონიდან:<sup>1</sup>

(<sup>1</sup>) „წ: მას ეამსა, ოდეს საქედ ვიპყრობდი ცაიშის, ჯუმაჲ-  
თის საყდარსა ზედა, ჩვენ ძემან გურგიელისა პატრონის გი-  
ორგისმან, პატრონმან მალაქია კელეყავ ცაიშის ტაძრისა შემ-  
კობად და დავახატვინეთ, აღვასრულეთ გუმბადი ვიდრე სა-  
ფუძველამდე და ესრეთ შევაბევეით, ვითარცა შეენის სახლსა.  
ღმრთისასა წმინდათა მისთა და განვისვენე წელ ერთ. ევა სა-  
ხიერებასა და მიუწვდომლობასა ღმრთისასა! შეაძრწოვა და,  
შეარყია ქვეყანა. ესრეთ იქნა ძრვა დიდი და სა-  
კვირველი ქვეყანასა ამას ჩვენსა, რომე-  
ლი არაოდეს ყოფილა. იძროდა ვითარ წელ  
ერთ და შეიმუსრნეს ეკლესიანი მრავალნი  
და დაირღვივნეს დაბანი, ხოლო საყდარი-  
ცა ესე ცაიშისა დაეცა, შეიმუსრა თავით-  
გან, ვიდრე საფუძველადმდე გალავნით, ყოვ-  
ლით ნაშენებით მითურთ, და დაიღწუნეს  
ყოველნი ხატნი და იარაღნი ეკლესიისანი  
და არარა დაშთა რა, ხოლო ოდეს მოხედვა ყო ღმერ-  
თმან წყალობითა თვისითა და დაეყენა ძრვა იგი, ამისად შემდ-  
გომად წელსა მეორესა ჯერჩინებითა ღმრთისათა და მოწ-  
მობითა ყოვლისა საქართველოსა ერისათა მყუევეს კათალიკოზ  
აფხაზეთისა: და ჩვენ დიდმან მთავარმან ყოვლისა ჩრდილოე-  
თისა კედართა კათალიკოზ-პატრიარქმან, ცაიშელ-ჯუმათელ-  
მან, ძემან გურგიელისა პატრონისა გიორგისამან, პატრონ-  
მან მალაქია, მეორედ ქელეყავ აღშენებად  
ტაძრისა ამისა და მკობად ხატთა. და მოვაქედ-

<sup>1</sup> ეს წარწერა გამოცემული აქვთ: Brosset, Voyage archéologique, rapp, VII, გვ. 33—35 და ვ. თაყაიშვილს, „ძველი საქართველო“, ტ. III, გვ. 166—169 (შდრ. მისივე: არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, წიგნი II. გვ. 166—169).

მათი გაშიფრვა ოდნავ განსხვავდება ერთმანეთისაგან, ჩვენსაში კი ფოტოს მიხედვით შეტანილია ცოტაოდენი ცვლილებები.

ვინეთ ძელი ცხოველი... ქორონიკონსა ტზ“ (307+1312=1619 წ.).

შემდეგ წარწერას მოსდევს ვედრება.

ამ მიწისძვრის შესახებ მოგვეპოვება კიდევ ორი წარწერა, შესრულებული უშუალოდ ისევ მალაქიას ბრძანებით. ერთი მათგანი მოთავსებულია ამავე საყდრისთვის შეწირულ ღვთისმშობლის ხატზე. წარწერა ასომთავრულია და შეიცავს თერთმეტ სტრიქონს.. იგი ჩვენ აქ არ მოგვეყავს, რადგან ზემომოყვანილი წარწერის შინაარსს არაფერს ახალს არ მატებს,<sup>1</sup> მასში საყურადღებოა მხოლოდ ის, რომ წარწერის შესრულების დროს მალაქიას ერთი საეპისკოპოსო კიდევ შემატებია. ესაა ხონის კათედრა:

„ყოვლისა ჩრდილოეთისა და აფხაზეთისა კათალიკოზმან, ცაიშელ-ჯუმათელ-ხონელ მთავარეპისკოპოსმან...“

ამდენად, უნდა ვიგულისხმოდ, რომ ეს წარწერა უფრო გვიანდელია, ვიდრე წინათ აღნიშნული, რადგან პირველ წარწერაში პატივმოყვარე კათალიკოსი მოუხსენებელს არ დასტოვებდა მის კიდევ ერთ სამწყსოს.

ჩვენ შეგვიძლია დაახლოებით<sup>2</sup> დავადგინოთ, თუ როდისაა გაკეთებული ეს ხატი და მისი წარწერა. როგორც ვნახეთ, 1619 წლის წარწერაში ის თავის თავს „ხონელს“ არ უწოდებს. მისი ხონელობა არც სხვა მანამდე შესრულებულ წარწერებშია აღნიშნული. დ. ბაქრაძეს თავის ნაშრომში, *Археологические путешествия по Гурии и Абхазе*, მოჰყავს ერთი საგულისხმო მინაწერი (გვ. 251) ბიჭვინთოს, ცაიშისა და ხონის 204 ფურცლიან გუჯრების კრებულიდან, სადაც მალაქია თავის თავს შემდეგნაირად იხსენიებს:

„ყოვლისა ჩრდილოეთისა და აფხაზეთისა კ-ში ცაიშელ-ჯუმათელისა ხონელი მთავარეპისკოპოზი...“,

როგორც ვხედავთ, აქ მალაქია თავის თავს იხსენიებს, როგორც ზემომოყვანილ ჩვენს დოკუმენტში. მინაწერს თარიღად უზის 21 (=310), ე. ი. 1622 წ. ამრიგად, მალაქიას ხონის საეპისკოპოსო მიუღია 1619—1622 წლებს შორის.

მიწისძვრის შესახებ გვიამბობს აგრეთვე მეორე წარწერა, რომელიც მოთავსებულია ხსენებული მიწისძვრისაგან დანგრეული ეკლესიის ადგილას, მალაქიას მიერ აკეთებული ახალი ეკლესიის დასაველეთის კარის ზემოთ. ეს ახალი ეკლესია, ე. წ. ჯეგეთა, დგას ცაიშის საყდრის სამხრ.-აღმოსავ. 6-7 კლმ დაცილებით. რადგან ეს წარწერაც წინანდელთა მსგავსად იმეორებს ცნობას ცაიშის

<sup>1</sup> ე. თაყაიშვილი. ძვ.საქ. გვ. 169—171; Brussel, იქვე, გვ. 29.

საყდრის დანგრევის შესახებ და ახალს თითქმის არაფერს იძლევა, ანტიომ მასაც გვერდს ვუვლით.<sup>1</sup>

პირველი წარწერის (1) განხილვა მოგვცემს მიწისძვრის თარიღის დადგენის საშუალებას.

ჩვენ ამ წარწერის ტექსტი შემდგენიარად გვესმის: ეს წარწერა შეიცავს ცაიშის საყდრის ისტორიის ორ მომენტს, — ორ პერიოდს. მალაქია გურიელს ორჯერ გაუწევია შრომა ტაძარზე: პირველად მას იგი შეუმკია, მოუნატენებია; ეს მაშინ, როცა ის მხოლოდ ცაიშელ-ჯუმათელი ეპისკოპოსი ყოფილა. მეორედ კი მას მიწისძვრისაგან დანგრეული ტაძარი აღუდგენია და შეუმკია კვლავ სათანადოდ. ამ დროს ის უკვე აფხაზეთის კათალიკოსად გვევლინება.

ახლა მორიგი კითხვაა, — როდის „ხელ-ყო“ მალაქიამ ერთს ან მეორე საქმეს?

პირველი ხელყოფა აღნიშნულია თვით წარწერის დასაწყისში:

„მას უამსა, ოდეს საქედ ვიპყრობდი ცაიშის, ჯუმათის საყდარსა ზედა, ჩვენ ძემან გურიელისა პატრონისა. გიორგისამან, პატრონმან მალაქია ჟალვუავ ცაიშისა ტაძრისა შემკობად და დავახატვინეთ, აღვასრულეთ გუმბადი ვიდრე საფუძველამდე და ესრეთ შევაპყვეით, ვითარცა შეენის სახლსა ღმრთისასა და წმიდათა მისთა და განვისვენე წელ ერთ...“

მაშასადამე, მალაქია გურიელს მაშინ, როდესაც „საქედ ეპყყრა“ ცაიშისა და ჯუმათის საყდარი, ხელი მიუყვია პირველად ტაძრის შემკობისა და მოხატვისათვის და აღუსრულებია (ე. ი. დაუმთავრებია მოხატვა გუმბათიდან საფუძველამდე) რის შემდეგ დაუბრუნებია საყდარზე ზრუნვისაგან ერთ წელს. ამის შემდეგ მომხდარა მიწისძვრა და საყდარი დანგრეულა. მერე, როცა ის უკვე კათალიკოსი გამხდარა, იწყება მისი მეორე „ხელყოფა“, — ტაძრის აღდგენა და შემკობა.

აღნიშნულ პირველ პერიოდში არ მომხდარა ძეგლის არქიტექტურის არავითარი ცვლილება თუ შეკეთება. ხდება მხოლოდ ძეგლის შიდა მოხატვა. აქ არც ისა ჩანს, თუ რამ გამოიწვია ეს მოხატვა. შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ძველი მოხატვრობა, რაღაც მიზეზით ჩამოცვივდა და მალაქიამ, მხოლოდ თავიდან ბოლომდე განაახლა იგი. მაგრამ ტექსტი ამაზე გაკვრიტაც არაფერს გვეუბნება. შეიძლებოდა გვეფიქრა აგრეთვე, რომ ძეგლი სულაც არ ყოფილა მოხატული (რაც ნაკლებად დასაშვებია) და ხელგაშლილმა ეპის-

<sup>1</sup> პ. ხაქარაია, „ქვეყნა“, ზუგდიდის საბჭომწიფო ისტ.-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომები, 1, თბილისი, 1947 წ., გვ. 82—86.

კობოსმა მოინდომა მისი „შემკობა“ სხვა იმპროინდელი ძეგლების მსგავსად.

თუ ხსენებულ წარწერაში მოცემული ქრონიკონი ԷՆ (307-1619 წ.) მივიჩნიეთ ტაძრის აღდგენითი მუშაობის დამთავრების თარიღად, რაც სხვანაირად წარმოუდგენელია, მაშინ გამოსარკვევი გვრჩება, თუ როდის დაიწყო აღდგენის პროცესი.

ძეგლის აღდგენის დაწყების თარიღიც უნდა ვეძიოთ ამავე ტექსტში, სადაც ნათქვამია:

„...ხოლო ოდეს მოხედვა ყო ღმერთმან წყალობითა თვისითა და დაეყენა ძრვა იგი, ამისად შემდგომად წელსა მეორესა... მყუევეს კათალიკოზ აფხაზეთისა...“

მაშასადამე, როდესაც დადგა მიწისძვრა, ამის შემდგომ მეორე წელს მალაქია დაუნიშნავთ აფხაზეთის კათალიკოსად. მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენ არც მიწისძვრის მოხდენის თარიღი ვიცით, ასე, რომ აქ ორ უცნობთან გვაქვს საქმე: უნდა გავარკვიოთ, როდის მოხდა მიწისძვრა და როდის დანიშნეს მალაქია კათალიკოსად. პირველის გარკვევა უფრო ძნელია ხელმოსაქიდი მასალების უქონლობის გამო, ხოლო მეორისა შედარებით ადვილია და ამიტომ ჩვენ ვეცდებით ჯერ დავადგინოთ მალაქიას კათალიკოსად დანიშნის საკითხი.

მალაქიას კათალიკოსად დასმის თარიღის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვა აზრი არსებობს. თ. ჟორდანიას თავისი „ქრონიკების“ მეორე წიგნში მოჰყავს გელათური წმ. გიორგის გულანის მინაწერი, რომელიც იქ ჩართულია ქრონიკის სახით:

„ამავე ქ-ს (ე. ი. სეგ.—293-1605) აფხაზეთის კათალიკოზი ეფთვში მიიცვალა და ცაიშელ-ჯუმათელი გრიგოლის შვილი მალაქია კათალიკოზად დასვეს“. იქვე ზემოთ სწერია: „ამავე ქ-სა (ე. ი. სეგ), თვესა მაისსა :იგ:, დღესა ორშაბათსა კელი ყვეს ცაიშის საყდარს ახლად აღსაშენებლად“.

ს. კაკაბაძე თავის „საცაიშლოს გამოსავლის დავთარში“<sup>2</sup> იძლევა იმავე გულანის მინაწერს შემდეგი სახით: :ტდ:, ე. ი. 304-1616 წ. აქ ამ თარიღს ავტორი ყოველგვარი განმარტების გარეშე იძლევა, ხოლო თავის წერილში — „აფხაზეთის საკათალიკოზო დიდი იადგრის“ გამოცემის შენიშვნაში წერს, რომ ჟორდანიას მიერ მოცემული წაკითხვა მცდარი წაკითხვააო, და იმეორებს ისევ თავის ზემოთ მოყვანილ თარიღს. ეს რომ ასე არის, ე. ი. მალაქია რომ

<sup>1</sup> თ. ჟორდანიას, — ქრონიკები, წიგნი II, გვ. 455.

<sup>2</sup> ს. კაკაბაძე, — საცაიშლოს გამოსავლის დავთარი, 1913 წ. გვ. 1.

არ შეიძლებოდა კათალიკოსად მჯდარიყო 1605 წელს, ამის დასამტკიცებლად ჩვენ შეგვიძლია მოვიყვანოთ შემდეგი საბუთი. მალაქიას წინამორბედი საკათალიკოსო ტახტზე იყო ეფთვმი საყვარელიძე. ამ ეფთვმეს მანუჩარ დადიანის სიკვდილის შემდეგ (1611 წ.) მანუჩარის მემკვიდრისათვის, ლეონისათვის მიუცია სიგელი, რომელშიც ვკითხულობთ:

„... ჩვენ ქრისტეს ღვთისა მიერ კურთხეულმან აფხაზეთისა კათალიკოსმან ეფთვმი საყვარელისძემან ჭალა მონასტერი და რაც მამული შესწირა დადიანმან ლეონ და ლიპარტიანმან გიორგ ბიჭვინტისა ღვთის შშობელსა ჩვენ მისდა ქრთამად გამოვიღეთ, მივეციოთ მანუჩარ დადიანსა თორმეტს ტყუპთ დაფასებული კარავი, ერთი ბედაური ცხენი და ერთი ბედაური ჯორი. მანუჩარ დადიანი მიიცვალა, მას უკან მის შვილს ლეონ დადიანს მივეც ერთი გაუკუცთელი სარასანი და ერთი ყირმიზი იაზღური ხავედი. ლიპარტიანს გიორგის მივეც...“<sup>1</sup>

აქედან აშკარად ჩანს, რომ 1611 წ., როდესაც მანუჩარი გარდაიცვალა, კათალიკოსად მჯდარა ეფთვმი. მაშასადამე მალაქია არ შეიძლებოდა მჯდარიყო კათალიკოსად 1611 წელზე ადრე.

მგონია, იმავე საკითხზე უნდა იყოს ლაპარაკი ერკეთის გულანში ჩართულ კვინკლოსშიაც:

„აქა აფხაზეთის... მიცვალა და კზ-ად გურიელის შვილი დაჯდა“.<sup>2</sup> ქორონიკონი 304—1616 წ.

აქ, უთუოდ, მეორე სიტყვის შემდეგ დასმული სამწერტილის ადგილს ეწერებოდა სიტყვა „კათალიკოსი“ და მისი სახელი: „ეფთვმი“. „გურიელის შვილი“ სხვა არავინ ყოფილა, და ისიც ამ ქორონიკონის ახლო წლებში, თუ არა ისევ მალაქია, ხოლო გარდაცვლილ კათალიკოსად უნდა ვიგულისხმოთ ეფთვმი საყვარელიძე.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ, ჩვენი აზრით, დადგენილად უნდა მივიჩნიოთ ის ფაქტი, რომ აფხაზეთის კათალიკოსი ეფთვმი საყვარელიძე,<sup>3</sup> რომელიც ამ თანამდებობაზე იყო ევდემონის შემ-

<sup>1</sup> ს. კაკაბაძე. საისტორიო მოამბე, წიგნი II, 1925, გვ. 187.

<sup>2</sup> Д. Бахрадзе. Археологическое путешествие по Гурии и Аджаре. გვ. 151.

<sup>3</sup> ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში ხშირად ჟრევენ, ან ერთ და იგივე პირად მიაჩნიათ ეფთვმი საყვარელიძე და ევდემონი საყვარელიძე. ეს უკანასკნელი აფხაზეთის კათალიკოსად დაჯდა 1666 წ., და იყო მომდევნო აფხაზეთის კათალიკოსის სვიმონ ჩხეიძისა (+1666 წ.).

დევ (ეს უკანასკნელი 1578 წ. გარდაიცვალა), ამავე თანამდებობაზე რჩება სიკვდილამდე, ე. ი. 1616 წლამდე, ხოლო ამ წლიდან აფხაზეთის კათალიკოსად ხდება მალაქია, ძე გურიელის გიორგი II-ისა.

რაკი მალაქიას კათალიკოსად დასმის საკითხი გაიჩვენა, ახლა შედარებით ადვილია მიწისძვრისა და ცაიშის საყდრის დანგრევის თარიღის გამოცნობა.

მივმართოთ ისევ წინათ მოყვანილ ტექსტს (1), სადაც ნათქვამია „... იძროდა ვითარ წელ ერთ...“, რასაც ამავე ეკლესიის ღვთისმშობლის ზატის წარწერაც იმეორებს: „... წელსა ერთსა სრულიად ქვეყანა იძროდა...“. ჩვენი აზრით, აქედან მხოლოდ ერთი დასკვნის გამოტანა შეიძლება: მიწისძვრის ხანგრძლივობა ყოფილა ერთი წელიწადი, რასაკვირველია, ეს იქნებოდა დროგამოშვებით. ეს მიწისძვრა მეტად ძლიერი ყოფილა, ამაზე რამდენიმე წყარო ერთპირად ღაღადებს; დაუნგრევია არა მარტო მრავალი ეკლესია, არამედ „დაირღვივნეს დაბანიცა“-ო.

აღნიშნულის შემდეგ მორიგ კითხვად ისმის, თუ როდის იყო ეს ერთწლიანი მიწისძვრა. ამის გამოსარკვევად ისევ იმავე წარწერას (1) უნდა მივმართოთ, რომელშიც ვკითხულობთ:

„ხოლო ოდეს... დაეყენა ძრვა იგი, ამისად შემდგომად წელსა მეორესა... მუუევს კათალიკოს აფხაზეთისა“.

ამრიგად, მიწისძვრის შეწყვეტის შემდეგ „წელსა მეორესა“ მალაქია დაუნიშნიათ კათალიკოსად. ხოლო მას შემდეგ, რაც გავარკვიეთ, რომ იგი კათალიკოსად 1616 წ. დასვეს, უკვე ნათელია, რომ ეს საშინელი მიწისძვრა 1614 წელს მომხდარა.

ზემოთ მოყვანილ წარწერის ტექსტში (1) ისიც იყო აღნიშნული, რომ მალაქიამ მიწისძვრამდე, მხოლოდ ცაიშელ-ჯუმათელ ეპისკოპოსად ყოფნის დროს მოახატვინა ცაიშის ეკლესია. როდის უნდა მომხდარიყო ეს ფაქტი? ამაზე ტექსტში ნათქვამია, რომ, ეკლესიის მოხატვის შემდეგ „განვისვენე წელ ერთ“-ო. ამას უშუალოდ მოჰყოლია მიწისძვრა. როგორც უკვე გავარკვიეთ, მიწისძვრა 1614 წ. მოხდა, მაშასადამე, პირველი მოხატვა დაუსრულებიათ 1612 წელს.

აქამდე წარმოებულ ანალიზს თუ რეზუმეს გაუჟღერებთ, მივიღებთ შემდეგ სურათს: პირველად მალაქიას 1612 წ. დაუმთავრებია ტაძრის მოხატვა და შემკობა; 1614 წ. მიწისძვრისაგან დანგრეულა საყდარი; 1616 წელს მალაქიას დაუწყია ცაიშის საყდრის აღდგენა და. 1619 წელს დაუმთავრებია.



მართლაც, რომ ცაიშის საყდრის აღდგენა დაწყებულა 1616 წელს, ამას ამტკიცებს ზემომოყვანილი გელათის გულანის მინაწერიც: „ამასვე ქ-კსა, თვესა მაისსა :იგ;; დღესა ორშაბათსა, ველი ყვეს ცაიშის საყდარს ახლად აღსაშენებლად“. მაისის 13 რიცხვი, დღე ორშაბათი სწორედ 1616 წელს ხვდება.

რაც შეეხება მალაქიას მიერ მოწოდებულ ცნობას, რომ ამ მიწისძვრის დროს „საყდარიცა ესე ცაიშისა დაეცა, შეიმუსრა თავითგან ვიდრე საფუძველამდე“, ეს არ შეიცავს სრულ სინამდვილეს. როგორც ძეგლის აღწერისას ვნახავთ, ის სრულიად არ აღმოფხვრილა, არამედ დანგრეულა ძეგლის ნიჭი ნაწილი.

მიწისძვრის შემდგომ აღდგენილი ცაიშის კათედრალის მერმინდელი ისტორიის შესახებ მომდევნო ხანის წყაროებში სისტემატური ცნობები არ გვხვდება და რაც მთავარია ისინი არ შეიცავენ თვით არქიტექტურული ნაგებობის ისტორიას. ასე, მაგალითად, XVII ს. 50—60-იან წლებში ქვეყნის ასაწიოებლად შემოსეულ შტრის ბანდებს ეკლესია გაუტეხიათ და აუოხრებიათ. იმავე ხანებში ცაიშლად ახლად დანიშნული დავით ჯოლია სასოწარკვეთით გვაუწყებს, რომ ეკლესიაში არსებულ შესამოსელთაგან ყველაფერი მოუსპია ხანძარს, მაგრამ თვით ნაგებობის ბედის შესახებ არაფერია ნათქვამი.<sup>1</sup>

გაღის საუკუნე და ცაიშის ძეგლის ირგვლივ აღარაფერი ისმის, თუ არ მივიღებთ მხედველობაში იმ უმნიშვნელო, სხვადასხვა სახის მინაწერებს, რომლიდანაც ვგებულობთ მხოლოდ იმას, რომ XVII ს. მეორე ნახევარში ცაიში არსებობდა, როგორც საეპისკოპოსო კათედრა.

მერმე კვლავ არაფერი ისმის, თითქოს ყოველივე ჩაკვდაო, და ვგონებ, მართლა ასეც იყო: ცაიში, როგორც საეპისკოპოსო კათედრა აღარ არსებობს, მისი აღდგენა მოხდა მხოლოდ 1777 წელს. ამ ხნის განმავლობაში თვით ნაგებობაც დაზიანებულა.

ამ საკითხის გასაშუქებლად ხელთა გვაქვს რამდენიმე საბუთი, ერთ-ერთ მათგანში<sup>2</sup> კაცია II დადიანი მოგვითხრობს, რომ მან თავის მმართველობის პირველ წლებში საცაიშლო კათედრა გაუქმე-

<sup>1</sup> ამ ცნობების გარშემო იხ. თ. უორდანი, ქრონიკები, წიგნი II, გვ. 467 და ვ. თაყაიშვილი, „ძვ. საქართველო“. ტ. III, გვ. 181—185, გვ. 188—189.

<sup>2</sup> ეს საბუთი შემოკლებულად გამოცემული აქვს ს. კაკაბაძეს თავის „დას. საქ. საგვლ. საბუთებში“; წიგნი II, გვ. 176—177.

ბული დახვედრია, ხოლო ეკლესია აოხრებული; შემდეგ მას საეპისკოპოსო. ისევ აღუდგენია, ხოლო ცაიშლად დაუნიშნავს „კაცი სათნო ღთისა და სულიერითა ხედვითი აღსავსე“ გრიგოლ ჩიქოვანი. ჩვენ ამჟამად მოგვეპოვება სამი წარწერა, სადაც საკმაოდ ვრცლადაა გაშუქებული გრიგოლ ჩიქოვანის ამაგი ამ ეკლესიისადმი. ამ წარწერათაგან ორი ამავე ეკლესიის ღვთისმშობლის ხატებზეა მოთავსებული,<sup>1</sup> ხოლო მესამე თვით ძეგლის დასავლეთ ფასადზეა (იხ. აღწერა, გვ. 31) ხატების წარწერიდან ვიგებთ, რომ ეკლესია „გარნა ქვეყნისა მიმორყეულობის გამო მისცემია ხელთა ერის კაცთასა“, და ამ დროის განმავლობაში „რომელ კინილა დარღვეულ იყო ეკლესია ესე“. მეორეგან: „გარნა ვიხილე ესე ეკლესია ფლდაცემულ დარღვეულ შინაგან კედელი და გარეგანიცა, და ეგრეთვე ხატნიცა შენნი უზრუნველობითა და სიძველითა განყვრნილ იყვნენ...“ ეკლესიის მიტროპოლიტ გრიგოლს რადიკალური ზომები მიუღია და მთელი ხარკების გაწევა თვითონ უკისრია. იგი მოგვითხრობს: „აღვაშენე ესე ეკლესია, რაოდენ დარღვეულ იყო, საფასითა ჩემითა შინაგან და გარეგან და კვალად შემოვავლე ეკლესიასა ამას ირგვლივ გალაფანი...“ და მეორეგან: „და განვაახლე ყოველნი დაძველებულნი შენობანი“.

როგორც ირკვევა, და შემოთაც აღვნიშნეთ, ცაიშის საეპისკოპოსო დაშლილა. ამის მიზეზია „ქვეყნის მიმორყეულობა“. ადვილად შეჰაძლებელია ეს „მიმორყევა“, რომლის შედეგადაც ეკლესია სამონასტროდან საეროდ ქცეულა, გამოწვეული ყოფილიყრ რომელიმე სოციალური მოძრაობით. მაგრამ აქ გარკვევით არ არის ნათქვამი, რას გულისხმობს კონკრეტულად ეს „მიმორყეულობა“ და როდის ჰქონია მას ადგილი.

შემომოყვანილი წარწერების გარდა ჯერჯერობით არ მოგვეპოვება სხვა რომელიმე ცნობა არც „ქვეყნის მიმორყეულობაზე“ და არც ცაიშის საეპისკოპოსო კათედრის გაუქმებაზე.

კაცია II დადიანის ღვაწლით 1777 წ. ისევ აღდგენილ იქნა ცაიშის კათედრა; მასვე დაუბრუნდა მისი უწინდელი მამული ყოველგვარი სახეობით. თვით ტაძრის აღდგენა, როგორც ენახეთ, ახლად ეპისკოპოსად განწესებულმა გრიგოლმა იკისრა.

გამოსარკვევია, თუ რა მდგომარეობაში დახვდა გრიგოლ ცაი-

<sup>1</sup> ვ. თაყაიშვილი. „ძვ. საქ.“ ტ. III, გვ. 171—176; Brosset, Voyage archéol. rapp. VII გვ. 30—32.

შელს თვით შენობა და რა აღადგინა მან. სამწუხაროდ, ამ საკითხების გარკვევა არსებული წერილობითი საბუთების მიხედვით ძნელია, რადგანაც მეტად ბუნდოვანია აღდგენის მომთხრობი ტექსტის ადგილები. ამ წარწერებიდან მხოლოდ ერთი რამაა ცხადი, სახელდობრ ის, რომ ეკლესია იმდენად არ დაზიანებულა, როგორც მაგალითად მალაქიას დროს მოხდა, არ შემუსვრილა „თავითგან ვიდრე საფუძვლადმდე“, არამედ შენობის რომელიღაც ნაწილი, თუ კედლის პერანგი, ჩამოცვენილა.

როგორც აღვნიშნეთ, ეს დანგრეული ნაწილი გრიგოლს აღუდგენია, მაგრამ ჩვენ ზედმიწევნით ვერ მივუთითებთ თუ მისი აღმდგენელი ხელი შენობის სახელდობრ რომელ ნაწილს შეეხო.

ზემოთ მოყვანილი წარწერებიდან გარკვევით ვიგებთ, რომ გრიგოლ ცაიშელს ტაძრის ირგვლივ გალავანი მთლიანად აღუდგენია. მაშასადამე, გამოდის, რომ ეს გალავანი ორჯერაა აღდგენილი, ერთხელ მალაქიას მიერ (თუმცა მალაქია იქ გარკვევით წერს გალავნის დარღვევაზე და არას ამბობს მის აღდგენაზე, მაგრამ ექვს გარეშეა, რომ მან ის აღადგინა დანარჩენ ნაგებობებთან ერთად) და მეორედ გრიგოლ ცაიშელის ხელით. მასვე განუახლებია მონასტრის სხვადასხვა ნაგებობანი, როგორც ის ამბობს: „და განვაახლე ყოველნი დაძველებულნი შენებულუბანი“-ო, დღეს ჩვენ არ ვიცით, თუ რა შენობებზეა აქ საუბარი, რადგანაც ამჟამად იქ არავითარი ასეთი შენობები არ შემორჩენილა, გარდა სამრეკლოსი და პალატისა. არც სხვა რაიმე ცნობები მოგვეპოვება ამ საკითხის გასაშუქებლად.

ასეთია ცაიშის ძეგლის გარშემო არსებული ისტორიული წყაროების მიმოხილვა. არ ჩანს შემდეგში, თითქმას ორასი წლის განმავლობაში რა ცვლილებები განიცადა ცაიშის კომპლექსმა. ადგილობრივი მოხუცების ზეპირი გადმოცემით იგი XIX ს. შუა წლებში ისლით ყოფილა გადახურული, ხოლო იმავე საუკუნის 80-იან წლებში — ყავრით (ფოტოგრაფ ერმაკოვის მიერ გადაღებული სურათი, ტაბ. II), ხოლო უკანასკნელ წლებში იგი თუნუქით გადახურეს.

ცაიშის ეკლესია ამ მდგომარეობაში დარჩა დღემდის.

აქვე უნდა შევეხოთ იმ ორ წარწერას, რომელთა ფრაგმენტები ჩაშენებულია სამრეკლოს სამხრეთ კედლის ქვედა ნაწილში. ერთი მათგანი ასომთავრულია, მეორე კი — მხედრული.

პირველ წარწერაზე ოთხი სტრიქონია შერჩენილი და შემდეგი ჩანს:

- - - - ს. ჯ. ნ. ს. - -  
 - წ. ჯ. ნ. ს. - -  
 - ს. ს. წ. ჯ. ნ. ს. - -  
 - ს. ს. წ. ჯ. ნ. ს. -

ამ წარწერის წაკითხვა ასე შეიძლება:

[ესე არ]ს განსას[უე]  
 [ნ]ებელი ჩემი [და]  
 [მ]ას დავემკვდ[რო],  
 რამეთუ მთნავს<sup>1</sup>.

ამ წარწერის შინაარსი, სამწუხაროდ, კომპლექსის ისტორიის არაფერს მატებს. იგი, როგორც ეტყობა, სამარხის ქვას წარმოადგენს. სავარაუდებელია, რომ ეს წარწერა ეკვდერში იყო მოთავსებული. მაგრამ ვის ეკუთვნოდა წარწერა და ეკვდერი, ჯერჯერობით უცნობი რჩება.

წარწერას თარიღი არ გააჩნია. პალეოგრაფიული ნიშნებით კი იგი XIII—XIV საუკუნეებზე მიგვითითებს.

მეორე წარწერიდან მცირე რამეს ვიგებთ. ამ ფრაგმენტზე წერია:

[ . . . . . ] [— —] ვ [—]  
 შენე წ ესე საყდარი გ'წ' მილი  
 სა ბრძანებითა ვდა მხრ[— —]  
 [ . . . ] ბ [—] ლ ცაიშე .

ზოგი ადგილის გახსნით წარწერა, ასეთ სახეს მიიღებს:

[ . . . . . ] [აღ] ვ [ა]  
 შენე წმიდაი ესე საყდარი გიორგი  
 წმიდისა ბრძანებითა ვდა მხრ [ . . . ]  
 [ . . . ] ბ [—] ლ ცაიშ [ლისა]

როგორც ჩანს, ეს წარწერა მოგვითხრობდა რომელიღაც საყდრის მშენებლობაზე და მის მშენებელზე, მაგრამ წარწერის დაზიანება არ გვაძლევს საშუალებას გავარკვიოთ, კონკრეტულად თუ რომელი ეკლესიის მშენებლობაზეა აქ საუბარი, ან ვინ არის მისი მშენებელი.<sup>2</sup>

<sup>1</sup> მთნავს—მომწონს.

<sup>2</sup> ორივე წარწერა ამოკითხულია თ. ბარნაველის მიერ.

წარწერის ბოლო სტრიქონში შეიძლება ამოვიკითხოთ „ბასილი ცაიშელი“. ასეთი ცაიშელი ისტორიაში ცნობილი არ არის. ჩვენ ადრევეც აღვნიშნეთ, რომ ისტორიულ დოკუმენტებში ცაიშელი პირველად XV ს. შუა წლებში გვხვდება. ეს წარწერა კი პალეოგრაფიული ნიშნებით ადრინდელი ჩანს. იგი უფრო XIII—XIV საუკუნეების ნაწარმოებია, ვიდრე სხვა პერიოდისა. ამდენად, შესაძლოა იგი ეკუთვნოდეს სწორედ ცაიშის მთავარ საყდარს და მიწისძვრის შემდეგ მოხვდა აქ.

## II. გუმბათოვანი მამარი

### ა) აღწერა


#### 1. გარე მახეობი და ფასადები

წინა თავში დავადგინეთ, რომ ცაიშის ღვთისმშობლის საყდარი 1614 წ. მიწისძვრას დაუნგრევია და იგი აღუდგენიათ 1616—1619 წლებში. ხოლო XVIII ს. პირველ ნახევარში, იგი დაზიანებულა და კვლავ აღდგენილ იქნა 1777 წელს.

როგორც ვხედავთ, დღეს ჩვენს წინ მდგარი საყდარი წარმოადგენს მრავალფენოვან ძეგლს, როგორც რადიკალური, ისე ადგილობრივი ხასიათის ცვლილებებით. ეს მდგომარეობა ჩვენ გვაიძულებს ძეგლის აღწერა ავაგოთ არა ტრადიციულად მიღებული წესით, ე. ი. ჯერ შიდა სივრცე და მერე გარე მასები, არამედ პირიქით, — ჯერ გარე მასები და შემდეგ შიდა სივრცე. ასეთი ხერხის უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ ყველა შემოთ აღნიშნული სხვადასხვა სახის გადაკეთება უფრო მკვეთრად ჩანს გარე მასებზე და ფასადებზე—აქ უფრო ნათლად შეიძლება ამ ფენების გამოიკვანა.

შემოთ აღვნიშნეთ, რომ ძეგლს სტაქიამ წაუშალა თავდაპირველი სახე. ეს მდგომარეობა ყველაზე მეტად ფასადების განხილვის დროს ირკვევა. შემდეგი დროის აღმდგენელმა ოსტატებმა ვერ შეძლეს მისთვის პირველადი სახის დაბრუნება. ამიტომ, როდესაც ტაძრის გარე მასებზე და ფასადებზე გვიხდება საუბარი, იძულებული ვართ შევეხოთ ამ შედარებით უმწეო აღდგენასაც.

მიწისძვრისაგან მთლიანად გადარჩენილმა ცოკოლმა იძულებულპყო აღმდგენელი ოსტატები დაეცვათ ნაკარნახევი—თავდაპირველი აბრისი (სურ. 2). ძეგლის სამი ფასადი ძირითადად მხოლოდ თითო ვერტიკალური სიბრტყისაგან შედგება; იგივე არ ე.თქმის მეოთხე—აღმოსავლეთის ფასადზე, სადაც ფასადის სწორი



სურ. 2. ტაძარი. გეგმა.

ზედაპირიდან მკვეთრად გამოყოფილია საკურთხეველის შვიდწახნაგოვანი აფსიდო, რომლის ზედაპირი რთული თაღედითაა დამუშავებული.

ტაძარს თითქმის დაუკარგავს შასათა განლაგებაში ცენტრალ-

ლურ-გუმბათოვან ძეგლთათვის დამახასიათებელი ჯგერის ფორმა (სურ. 2, 3)- ეს ფორმა ინტერიერში ასე თუ ისე მაინც იკითხება, რაც არ ითქმის ექსტერიერზე. გარე მასებში გადაკეთების შედეგად ჯგერის მკლავები მკრთალადაა გამოვლენილი, ისიც მხოლოდ გვერდის ფასადებზე არასრულყოფილი სახით. ამ ფასადებზე ჯგერის მკლავები ოდნავადაა აწეული, ისიც დამოკლებული ფუძით. ჯგერის დასავლეთისა და აღმოსავლეთის მკლავები სულაც არ არსებობს. მათი სახურავი გვერდის დაბალ ნაწილებთან ერთ სიბრტყეს ჰქმნის.

დღევანდელი ძეგლის მასათა კომპოზიციის დამაგვირგვინებელი „ცილინდრული“ ფორმის გუმბათი მთლიანად ახალია. მას საფუძვლის კვადრატის კონსტრუქციული შვერილებიც კი არ გააჩნია.

შენობა ამართულია თავდაპირველ სამსაფეხურიან ცოკოლზე; აქედან ქვედა ორი საფეხური სწორკუთხაა, ხოლო ზედა—ნახევარწრიული ფორმისა. ქვედა პირველი საფეხური ამჟამად თითქმის მიწითაა დაფარული.


ნაგებობის ყოველი მასა კარნიშით მთავრდება. ამჟამად არსებული კარნიშის რამდენიმე სახიდან პირველადი მცირე მანძილზეა შერჩენილი, ზოგან გაბმული ხაზით, ზოგან კი ფრაგმენტებად.

შენობა თავდაპირველად შემოსილი ყოფილა ოდნავ მონაცრისფრო თეთრი ქვით. დღეს, ერთის შეხედვით, მთლიანად ნაცრისფერი გადაჰკრავს, მაგრამ ახლოს ყველა ფასადის ფერი გარკვევით განსხვავდება ერთმანეთისაგან. ასე, მაგ.: აღმოსავლეთის ფასადს შვის ცხუნებისაგან ძალიან სასიამოვნო მოყვითალო ფერი გადაჰკრავს; სამხრეთის ფასადის თავდაპირველი ნაწილი, ე. ი. მარჯვენა ნახევარი, მონაცრისფროა, მარცხენა ნახევარს კი რუხი ფერი გადაჰკრავს; დასავლეთის ფასადის თეთრ ფონს ხავსმოდებული მომწვანო ფერა დასდებია კუნძულივით სარკმლის ირგვლივ, ჩრდილოეთისას საკუთარი ფერი აქვს შერჩენილი.

ა ღ მ ო ს ა ვ ლ ე თ ი ს ფ ა ს ა დ ი. ეს ერთადერთი ფასადია, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია შედარებით ხელუხლებლად, თავდაპირველი ფორმებით (სურ. 3 და ტაბ. II—IV). იგი მთლიანად შემოსილია კარგად თლილი კვადრებით, წყობაში ძირითადად დაცულია ჰორიზონტული რიგები, სადაც აბსოლუტურად სხვადასხვა ზომისა და ფორმის ქვების ცოცხალ შენაცვლებასა აქვს ადგილი. ამიტომაც, რომ წყობას საკუთარი სახე აქვს და გვიანი დროის აღდგენა ერთი შეხედვითაც შეიმჩნევა, მიუხედავად იმისა, რომ ეს აღდგენაც საკმაოდ კარგად თლილი კვადრებითაა შესრულებული. შემოსვის ასე-



თი თავისებურება საშუალებას გვაძლევს ადვილად გამოვყოთ ძველი და ახალი წყობა ერთმანეთისაგან, არა მარტო აღმოსავლეთისაზე, არამედ საერთოდ ყველა ფასადზე. კერძოდ, ამ ფასადზე ახალი (XVII ს.) წყობა იწყება იქ, სადაც სამხრეთიდან აღმავალი ორნამენტული კარნიზი წყდება; აქედან ფასადის მთელი სიბრტყე გამო-



სურ. 3. ტაძარი. აღმოსავლეთის ფასადი.

წეული ნაწილის სახურავის ზემოთ, ყოფილი ჯვრის მკლავის არევიწრო კარნიზით და ფასადის ჩრდილო ბრტყელი კედლის ერთი მესამედი, კუთხისაკენ, აღდგენილია. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ეს

ჩრდილო-დასავლეთის კუთხე, შეკეთების შედეგად, ათი სანტიმეტრით შეიზღოთა შეწეული. თავდაპირველი ნაწილიდან ამ კუთხეში, მხოლოდ ცოკოლი და მომდევნო პირველი რიგია შერჩენილი. XVIII ს. (1777 წ.) შეკეთებას მიეკუთვნება ფასადის ჩრდილო ნაწილში არსებული განიერი კარნიში.

ამ ფასადის დომინირებულ ნაწილს საზეიმოდ მორთული მრავალგვერდა წარმოადგენს. ამ მრავალგვერდას ზედაპირი, — გარდა კუთხეების წახნაგებისა, სადაც მხოლოდ პილასტრებია კაპიტელეზით, — დამუშავებულია ცენტრიდან გვერდებისაკენ დაღმავალი დეკორატიული თაღებით. ამ თაღოვან არეებს შეადგენს რთული შემადგენლობის კაპიტალებითა და ბაზისებით მორთული შეწყვილებული ნახევარკოლონები.

მომჩარჩოებელი შეწყვილებული ლილვაკებითა და ორნამენტული არშიებით მდიდრულად მორთული სარკმლები განლაგებულია შუა სამ წახნაგზე. ცენტრალური სარკმელი, ორი დანარჩენისაგან განსხვავებით, მთლიანად შემდგარია სამმაგი ლილვაკის კონის კვარცხლბეკზე. სამივე სარკმელს თაღის ზემოთ, ღერძზე, თითო კოპი უზის. დანარჩენთაგან განსხვავებით შუა სარკმელს სამი კოპი ამთავრებს. ყველა კოპი ჩუქურთმითაა დაფარული.

ამ მრავალგვერდაზე კიდევ ორი შესამჩნევი ელემენტია. ერთია ამ მრავალგვერდას წიბოებზე, თაღებს შორის განლაგებული თითო კოპი, მეორე — როზეტები. ერთი როზეტი მოთავსებულია სამხრეთის თაღოვანი არის ცენტრის ქვემოთ, მეორე — აფსიდის ჩრდილო სარკმლის ქვედა მარჯვენა კუთხესთან.


ამ ფასადის გვერდითი ბრტყელი ნაწილების მორთულობა მრავალგვერდასთან შედარებით მარტივია. თითოეულ მხარეს ორ-ორი, თითქმის ვერტიკალურად განლაგებული სარკმელია. ამათგან, ზედა რიგი კონცენტრული ლილვაკებით მოჩარჩოებული წრიული სარკმელებია (მათი რელიეფი კედლის სიბრტყეშია ჩაქრილი), ზოლო ქვედა რიგი სხვადასხვა ზომის მაღალი სარკმლებისაგან შედგება. ეს ორივე ქვედა სარკმელი მორთულია შეწყვილებული ლილვაკებისა და ორნამენტული არშის კომპოზიციით. ამ სარკმლებსაც აქვს კოპები: მარცხენას — ორი, თაღის ქუსლის ჰორიზონტზე, ხოლო, მარჯვენას — ერთი დიდი, თაღის ზემოთ, ღერძზე.

მარჯვენა სარკმელი ორიგინალურია თავისი ფორმით, რადგანაც მომჩარჩოებელი შეწყვილებული ლილვაკები არ არის ვერტიკალური (ჩვეულებრივ ისინი ყოველთვის ვერტიკალურია), არამედ ქვემოთკენ უახლოვდებიან ერთმანეთს.

ამ ფასადის თავდაპირველი დეკორიდან შერჩენილ ელემენტს

წარმოადგენს ბარელიეფი, რომელიც მოთავსებულია ჩრდ. ფრთის ზედა ნაწილში, მრავალგვერდას კარნიზის ჰორიზონტზე.

ამ ფასადზე რემონტის დროს შემოსევაში გამოყენებულია ორნამენტული ქვები, რომელთაგან ორი უშუალოდ რელიეფის ზემოთაა, ხოლო სამი — კეხს ქვემოთ.



სურ. 4. ტაძარი. სამხრეთის ფასადი.

სამხრეთის ფასადი. ეს ფასადიც საკმაოდ დაზიანებულია, მაგრამ დასაყრდენისა და ჩრდილო ფასადებთან შედარებით მისი მდგომარეობა გაცილებით უკეთესია (სურ. 4 და ტაბ. V).

ფასადის მასა წარმოადგენს საფეხურიან ცოკოლზე აღმართულ

ერთ მთლიან სიბრტყეს, რომლის განაპირა ნაწილებს ჰორიზონტული კარნიზი ამთავრებს, ზოლო შუაზე აწეული ჯვრის მკლავს — ორქანობიანი გადახურვა. ამ ფასადის თავდაპირველი შერჩენილი ნაწილის კონტური შეიძლება შემდეგნაირად შემოვხაზოთ: მარჯვენა მხარის კარნიზი მთლიანად, მის ქვემოთ მდებარე კედელი ორი-ოდე ზიგზაგით კარის არქიტრავის ქუსლის ჰორიზონტის გაყოლებით სარკმლის ხერგლს დონეზე, თვით სარკმლის ქვის ჩაუთვლელად და მარცხნივ, ამ ჰორიზონტის ცოტა ქვემოთ კუთხემდე. აქ აღნიშნული კონტურის გარეთ ყველაფერი აღდგენილია, ზოლო შასალად, თითქმის მთლიანად, გამოყენებულია ძველი შენობის ნაწილები.

ამ ფასადის ძირითად შემადგენელ ელემენტებს წარმოადგენს ერთი შესასვლელი და ორი სარკმელი. ფართო შესასვლელი, რომელიც თითქმის ფასადის ცენტრშია გაჭრილი, გადაკეთებულია.<sup>1</sup> მისი პროფილირებული მოჩარჩოების ვერტიკალი ორივე მხარეს წყდება და ზედ მიმსგავსებული პროფილით დადგმულია ახალი არქიტრავის ქვა (ეს ქვა შერჩენილი ორნამენტული დამუშავების მიხედვით სულ სხვა დანიშნულებისა ყოფილა. იგი ამ შესასვლელზე მორგების მიზნით გადაუკეთებიათ).

ყველაზე მეტადაა სახეცვლილი ფასადის ჯვრის აწეული მკლავი. მისი სიმაღლე თითქმის ორი მესამედითაა შემცირებული. შემცირებულია ფუძეც, ზოლო მისი ორქანობიანი კარნიზი მთლიანად ახალია, ორნამენტით დაუმუშავებელი. ფასადის ამ ჯვრის მკლავის ცენტრში ერთი სარკმელია, რომელიც მოჩარჩოებულია გრეხილოვანი შეწყვილებული ლილვაკითა და ორნამენტული არშიით (მოჩარჩოებას მიწისძვრის დროს დაკარგული აქვს ბაზისის კვადრატული ნაწილი და შემაერთებული ჰორიზონტული გრეხილი).

მეორე, წრიული ფორმის სარკმელი, მოთავსებულია ფასადის მარცხენა ნაწილში, დაბლა. მისი საპირე არშია ერთი ქვისგანაა გამოკვეთილი და მთლიანად მოჩუქურთმებულია (რადგანაც ეს სარკმელი ფასადის აღდგენილ ნაწილშია მოთავსებული, ამიტომ გარკვევით ვერ ვიტყვით, თავდაპირველ ადგილზეა იგი თუ არა, მაგრამ სარკმლის შიგა მხარის ზელუხლებლად შემონახვა გვაფიქრებინებს, რომ ის თავისივე ადგილზეა მოთავსებული).

---

<sup>1</sup> შესასვლელის სიგანის დავიწროება დასავლეთით ჩაშენების გზით, შეიძლება უფრო მოგვიანო დროს კუთვნოდეს, ვიდრე აღნიშნული ძირითადი რკონსტრუქცია.


ამ ფასადის დეკორს, მოჩუქურთმებული სარკმლების გარდა, შეადგენს კიდევ ნგრევის დროს მეტ-ნაკლებად დაზიანებული რამდენიმე ელემენტი. ასე, მაგ.: მთავარი სარკმლის ორივე მხრით ჩასხულია თითო მოზრდილი როზეტი, ხოლო ზემოთ, დაახლოებით სამკუთხა კომპოზიციით მოთავსებულია სამი მოჩუქურთმებული კოპი (ამ კოპების მარცხნივ ჩაყოლებულია წრიული სარკმელი, მაგრამ საერთო მოხაზულობის მეტი არაფერი შემორჩენილა, ყველაფერი მოუთლიათ). საერთოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ ფასადის შემოსილობის აღდგენილ ნაწილში მრავლადაა გამოყენებული დეკორის ფრაგმენტები, რომელთა უმრავლესობაც კედლის სიბრტყისათვის მოსარგებად გაუთლიათ და „გასწორებული“ ჩაუდგამთ. რაც შეეხება ძეგლის მარცხენა ფრთას, მისი ჰორიზონტული კარნიზიცი ძირითადად თავდაპირველი კარნიზის ფრაგმენტებისაგანაა შეკოწიწებული.

ამ ფასადზე შერჩენილია ერთი მეტად საინტერესო დეტალი, რომელიც ცხადად გვაუწყებს აწ ადარ არსებული კარიბჭის თუ სტოას არსებობას. ფასადის მთელი სიგრძის ქვედა ნაწილში გადარჩენილია ფრესკის ფრაგმენტები. ფასადის მარჯვენა მხარეს ზედ კედლის სიბრტყეზე კარგადაა შემონახული ორი თალის კვალი (მარცხენა უფრო მაღალია მარჯვენაზე), რომელთა შორის არსებული არეები მთლიანად ფრესკით ყოფილა დაფარული; კარის ზომდევნო მარცხენა ნაწილში არავითარი მკვეთრი კონტური არ არის შერჩენილი, მაგრამ ფრესკის ოდესღაც არსებობის კვალის გარკვევა აქაც შესაძლებელია. ფრესკის არსებული კვალის მიხედვით ირკვევა, რომ სტოას ცენტრალური ნაწილი გვერდითი ნაწილებთან შედარებით აწეული უნდა ყოფილიყო, ხოლო შიგნით მისი აღმოსავლეთი ნაწილი აფსიდური კი არ იყო, არამედ სწორკუთხედი, როგორც ამას კედლის კვალი გვიჩვენებს.

აღმოსავლეთ ნაწილში შერჩენილია აქ არსებული სტოას აღმოსავლეთი კედლის ფუნდამენტის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი (იხ. გეგმა). დანარჩენი ნაწილი კი დროთა ვითარებაში გამქრალა. ეს შერჩენილი ნაწილი თუმცა ძირითადი კორპუსის აღმოსავლეთ კედლის ხაზზეა მოთავსებული, მაგრამ მასთან ორგანულად არაა დაკავშირული, ეკლესიის სამხრეთ-აღმოსავლეთ კედლის კუთხე და ცოკოლი ერთ მთლიანს წარმოადგენს, ე. ი., შესაძლოა, სტოა უშუალოდ ეკლესიასთან ერთად არ იყოს აგებული.

დასავლეთის ფასადი. ეს ფასადი რადიკალურად განსხვავდება აღმოსავლეთ ფასადისაგან. იგი მოკლებულია ყოველგვარ შევრილებს და წარმოადგენს მხოლოდ საფეხურიან ცოკოლ-

ზე აღმართულ, ორქანობიანი სახურავის ქვეშ მოქცეულ ერთ მთლიან სიბრტყეს. თუმცა დღევანდელი მისი სახე არ არის თავდაპირველი, მაგრამ შერჩენილი ნაწილი — ცოკოლი და მომდევნო რიგები უეჭველად იმის დაზიანდისტურებელია, რომ მთელი ფასადი



სურ. 5. ტაძარი. დასავლეთის ფასადი.

აღრევეც ერთი ვერტიკალური სიბრტყისაგან შედგებოდა. ამ ფასადს აღმოსავლეთის ფასადის მსგავსად მიწისძვრის დროს დაუკარგავს ერთი მასა — ჯვრის დასავლეთი მკლავის აწეული ნაწილი, ხოლო

XVII ს. აღმდგენელ ოსტატს, ისე როგორც სხვაგან, აქაც უგულვებელუყვია შენობის ეს ელემენტი (სურ. 5 და ტაბ. VI).

როგორც აღვნიშნეთ, ფასადის ხელუხლებელ ნაწილს წარმოადგენს ცოკოლი, კარი მთლიანად და კედლის წყობა კარის მარცხნივ ერთ მეტრამდე, ხოლო მარჯვნივ ორ მეტრამდე. დანარჩენი ნაწილი შემოსვისა (ისე როგორც თვით კედელი) მთლიანად აღდგენის დროსაა.<sup>1</sup>

ფასადის ძირითადი ელემენტებია შესასვლელი და ოთხი სარკმელი. საკმაოდ მაღალ, თაღოვან შესასვლელს განიერი პროფილირებული მოჩარჩოება საზღვრავს. სიღრმეში ჩაწეული ტიმპანის ქვა ამჟამად ფრესკითაა დაფარული. თაღის ზემოთ, სამკუთხედად, ნაპირებჩამომტვრეული კოპებია განლაგებული.

შესასვლელის ზემოთ, ვერტიკალური ღერძის ცოტათი სამხრეთით, მოთავსებულია განიერი ოთხკუთხა სარკმელი. იგი ახლადაა ამოყვანილი და მის მხოლოდ ქვედა ნაწილშია გამოყენებული უწინდელი ორნამენტული სარკმლის ნაწილი. მეორე სარკმელი ჩრდილოეთითაა, შესასვლელს და კუთხეს შორის. ეს სარკმელი შედგება ორი სხვადასხვა ტიპის სარკმლის ნაწილებსაგან. ქვედა ნაწილი წარმოადგენს ორმაგ გრეხილებში ჩამჯდარ ფართო მოჩუქურთმებულ საპირეს; ზედა ნაწილი გრეხილებით შემოფარგლულ ფართო არშიის მქონე წრიული სარკმლის ფრაგმენტია, ტიპით ისეთივე, როგორც სამხრ. ფასადზე ვნახეთ (აღმდგენელ ოსტატს იგი გადაუკეთებია მაღალი სარკმლის ზედა ნაწილის მოსარგებად). ვფიქრობთ, სარკმლის ქვედა ნაწილი თავდაპირველია და მისთვის განკუთვნილ ადგილზეა დანგრევის შემდეგ ხელახლა ჩასმული. (ამ აზრს გვიკარნახებს სარკმელი შიგნიდან, რადგანაც მისი ქვედა ნაწილი ხელუხლებელია).

ფასადის მარჯვენა ნაწილში მდებარე მესამე სარკმელი გაცილებით პატარაა, ვიდრე მარცხენა. იგი წარმოადგენს აღდგენის დროს უბრალო თლილი ქვით ამოყვანილ მაღალ სწორკუთხედს. მეოთხე სარკმელი ამ ფასადისა, რომელიც მოთავსებულია ცენტრალურ და სამხრეთის სარკმელებს შორის ანათებს პატრონიკეში შესასვლელ ტალანს. ეს სარკმელიც წრიულია.

ამ ფასადის ღირსშესანიშნავ ელემენტს წარმოადგენს აწ უკვე

<sup>1</sup> XVII ს. აღმდგენელ ოსტატს დანგრეული ძეგლის ჩუქურთმისანი და სხვა დეორატიული ნაწილების ფრაგმენტები გამოუყენებია ძეგლის შესამოსავად ყოველგვარი წინასწარი გეგმისა და გააზრების გარეშე. ფასადის ასეთი მდგომარეობის გამო აღწერაში ვერ ჩამოვთვალეთ ყველა იმ ორნამენტულ ფრაგმენტს, რომელიც შესამოსავადაა გამოყენებული. ამ ფრაგმენტების ერთ ნაწილს ცალკე შევებებით ორნამენტაციის განხილვის დროს.

გაფუჭებული, ცენტრალური ხარკმლის ზემოთ მოთავსებული ბარელიეფი. ბარელიეფიდან მხოლოდ პროფილირებული მოჩარჩოებაა შემორჩენილი, ისიც ნაწილობრივ. თვით რელიეფური გამოსახულება იმდენადაა დაზიანებული, რომ გარკვევით ვერაფერს ვიტყვით, თუ რას შეიცავდა იგი. ბარელიეფის მოჩარჩოების ზედა ნაწილში გვიან ჩასმულია მხედარი წმ. გიორგის გამოსახულება.

ფასადის კარნიზი მთლიანად და ქვედა მომღვეწო რამდენიმე რიგი ქვებისა XVIII ს. ეკუთვნის, რასაც გვიდასტურებს ძეგლის აღმდგენელი ცაიშელ მიტროპოლიტ გრიგოლ ჩიქოვანის წარწერაც. იგი მოთავსებულია კარნიზის სამხრეთ ფრთაზე, კეხს ქვემოთ. ნაწერი მეტად წვრილია, მხედრული ასოებით:

„ცაიშის ღთის მშობლის ეკლესიისა  
ამის განმახლებელს ცაიშელ მი  
ტროპოლიტს: გრიგოლს: მეოხ მე  
ყავ წინაშე ძისა შენისა:“

ჩ რ დ ი ლ ო ე თ ი ს ფ ა ს ა დ ი. ჩრდილოეთის ფასადი ამ ძეგლის ყველაზე მეტად დაზიანებული ნაწილია. ეს კედელი მთელს სიგრძეზე თითქმის ძირამდე დარღვეული ყოფილა. თავდაპირველი შერჩენილი ნაწილი ცოკოლი და ზოგან მომღვეწო ერთი-ორი რიგია. შესასველელი თუმცა ძველი ქვით არის ამოყვანილი, მაგრამ უდავოდ სახეცვლილია (ტაბ. VII).

სამხრეთისა და დასავლეთის ფასადების მსგავსად, ეს ფასადიც წარმოადგენს ერთ მთლიან სიბრტყეს, რომლის ძირითადი ნაწილი პროფილირებული კარნიზით მთავრდება. ეს კარნიზი წყდება აწეული ნაწილის მიღწევამდე (გუმბათის ყელის გარე ზაზებზე გასწვრივ). თვით ფასადის ჯვრის მკლავი დაბალია და ვიწრო, მოპირდაპირე, სამხრეთის ფასადის მსგავსად ესეც მთავრდება კარნიზით. მხოლოდ იგი განსხვავდება პორიზონტული კარნიზისაგან იმით, რომ აქ ჯვრის მკლავის კარნიზი, როგორც ეს აღმოსავლეთისა და სამხრეთისაზე ვნახეთ უორნამენტოა, — პროფილირებული, რაც XVII ს. რესტავრაციას მიეკუთვნება, ხოლო ამ ფასადის განიერი კარნიზი, როგორც ეს დასავლეთის ფასადის კარნიზის წარწერითაა დამოწმებული, XVIII ს. ოსტატის ხელითაა შექმნილი. როგორც ამ კარნიზების ქვის ჯიშში, ისე მათი დამუშავებაც დიდად განსხვავდება შენობის თავდაპირველი ნაწილისაგან. აღდგენის დროს კედლის ვერტიკალობა და სიბრტყობრივობაც კი ვერ დაუცავთ. ჯვრის მკლავის დაქანებული კარნიზის სიმაღლეებიც სხვადასხვა დონეზეა.



ამ ფასადის ელემენტებს შესასვლელი და სარკმელი წარმოადგენს. შესასვლელი მოთავსებულია თითქმის ფასადის ღერძზე. იგი „დამჯდარი“ ფორმისაა და გადახურულია გრძელი არქიტრავის ქვეთ. მოჩარჩოება არ გააჩნია.<sup>1</sup> ზემოთ, ჯვრის მკლავის ღერძის ცოტათი აღმოსავლეთით გაჭრილი სარკმელი კი, მთლიანად აბალია, მხოლოდ თავსართად გამოუყენებიათ ძველი, გამოფიტული ნახევარწრიული ფორმის ქვა.

მორთულობა და ორნამენტული დეტალები ამ ფასადს არ გააჩნია, თუ არ მივიღებთ მხედველობაში სარკმლის ზემოთ სამკუთხედად განლაგებულ ძლიერ დაზიანებულ სამ კოქს. გარდა ამისა, წყობაში სარკმლის დასავლეთით ჩატანებულია რამდენიმე ორნამენტული ფრაგმენტი, აგრეთვე ერთი მედალონიც — კედლის დასავლეთ ნაწილის შუაზე.

## 2. გუმბათის ყელი

როგორც წინა ნაწილშიაც ვწერდით, დღევანდელი გუმბათი მთლიანად მიწისძვრის შემდეგი დროისაა.

შიგნიდან გუმბათის ყელი წარმოადგენს ჩაქყლეთილგვერდებიან „ცილინდრს“, რომელსაც აგვირგვინებს ნახევარსფერული გუმბათი. თვით გუმბათის ცილინდრული ყელი ზედა და ქვედა მასებისაგან გამოყოფილია ჰორიზონტული სარტყლებით. ეს სარტყლები შექმნილია ქვემოთ სამი და ზემოთ ორი ლილვისაგან. გუმბათის ყელში გაჭრილი რვა სარკმელი არ ექვემდებარება არავითარ კანონზომიერებას; ისინი განლაგებული არ არის ღერძებზე; არც სიგანესა და სიმაღლეებშია დაცული თანატოლობა: თითქმის ყველა სარკმელი სხვადასხვა დონეზე იწყება და მთავრდება, ხოლო სიგანის ერთნაირობის დაცვა იმდენად უგულვებელყოფილია, რომ ზოგი სარკმელი მომდევნოში ორჯერ ჩაეტევა. ეს სარკმელი უკლებლივ ნახევარწრიული თაღებითაა გადახურული (სურ. 6—8 და ტაბ. VIII).

გუმბათის ყელი შიგნიდან მთლიანად შელესილი ყოფილა, მაგრამ დღეს ეს ნალესობა ზოგან სულ ჩამოცვენილია, ზოგან კი — ნაწილობრივ. რამდენად ნალესობის ეს აცვენილი ნაწილი საშუალებას გვაძლევს დავათვალიეროთ ყელის შიდა შემოსევა, შეგვიძლია ვთქვათ, რომ იგი მთლიანად შემოსილია ფორმამიცემუ-

<sup>1</sup> შესასვლელის დავიწროების მიზნით, ახლო ხანებში, მისი გვერდები ამოშენდებათ ისე, როგორც სამხრეთით ვნახეთ.

ლი, დაუმუშავებელი სხვადასხვა ზომის ოთხკუთხა ქვით. ქვის წყობაში, გამონაკლისის გარდა, არ არის დაცული პორიზონტული რიგები (ამ წყობაში ზოგან მასალად გამოყენებულია ჩუქურთმიანი ქვების ფრაგმენტებიც). აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ სარკმლების რამდენიმე თალი აგურითაა ამოყვანილი. ვერაფერს ვიტყვით თვით გუმბათის მასალის შესახებ, რადგანაც იგი მთლიანად ნალესობითაა დაფარული.

გუმბათის ყელის ქვედა ნაწილში, თითქმის უშუალოდ სარკმლის ზემოთ, მოჩანს ოთხი საკმაოდ დიდი ქვევრის თავი (ქვევრი — რეზონატორი). ეს ქვევრები იმდენად დიდია, რომ მათი ბოლო ზოგან კედლის გარეთაც ჩანს.

გარედან გუმბათის ყელი წარმოადგენს რაღაც საშუალოს ცილინდრსა და მრავალწახნაგა პრიზმას შორის. ცხადია, ის მრავალწახნაგა უფროა, ვიდრე ცილინდრი, მაგრამ „პრიზმის“ წიბოები ისე დუნედაა გამოყვანილი, რომ მისი შემჩნევა უშუალოდ მხოლოდ სახურავზე ასვლის შემდეგაა შესაძლებელი, ისიც არა ყველგან. ასეთი არაზუსტი, უხასიათო ნამუშევარი მთელ მასას აძლევს ცილინდრის ფორმას.

ეს „ცილინდრი“ ზემოთ მთავრდება სადად პროფილირებული კარნიზით, ხოლო ქვემოთ — შეწყვილებული ლილვით. ცილინდრის ზედაპირზე განლაგებული მაღალი და ვიწრო სარკმლები მოჩარჩოებულია თითქმის ერთნაირი სახის, მეტად დაბალი ზარისხით შესრულებული, პროფილიანი საპირეებით. მოჩარჩოებელი ქვების ერთი ნაწილი ძალიან დაზიანებულია გამოფიტვისაგან. სარკმლების მოჩარჩოება ზემოთ თაღოვანია, მაგრამ გარე ქვეები ძალიან განსხვავდება ერთმანეთისაგან. ამათგან საყურადღებოა: სამხრეთ-აღმოსავლეთის, ჩრდილო-აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთის სარკმლების დამთავრება. ესენი წარმოადგენს სხვადასხვა ზომის და ფორმის სარკმლების. ორნამენტოვან მოჩარჩოებას. ამათგან პირველი და მესამე ნახევარწრიული ფორმისაა, ხოლო მეორე — ოთხკუთხა. საინტერესოა ერთი დეტალიც, რომელიც სამხრეთის სარკმელს აქვს: ზემოთ, უშუალოდ ზვრელის ბოლოში, ჩასმულია კერამიკული ფილა, რომელშიაც მთლიანად ამოკვეთილია ფაქიზად შესრულებული წრეში ჩასმული ექვსკუთხა ფოთოლი, ხოლო წრის ზედა არშიას მხედრული ასოებით აწერია „ა ნ ა ნ ი ა“.

სარკმლებს შუა (გარდა ორისა სამხრ-აღმ. და ჩრდ-დას.) უსისტემოდ, თაღების დონეზე ჩასმულია სხვადასხვა ზომის ორნამენტული კოპი. ერთგან კი, სახელდობრ სამხრეთ-დასავლეთის სარკმლებს შორის, ცხვრის თავის ქანდაკებაა ჩასმული.

გუმბათის ყელი შემოსილია სხვადასხვა ზომის თლილზედაპირიან ლეგა ფერის ქვით. აქა-იქ ჩატანებულია აგური, ზოგან თითო-თითო, ზოგან კი ჯგუფად, ხოლო კარნიზის ზემო ნაწილი მთლიანად აგურითაა ამოყვანილი. გუმბათის ყელის კედლებზე გამოყენებულია აგრეთვე ორნამენტული ქვების ფრაგმენტებიც. შემოსვაში არ არის დაცული პორიზონტალური რიგება. საერთოდ, მთლიანად წყობა დაბალი ოსტატობითაა შესრულებული.

### 8. შიდა სივრცე

ტაძრის ძირითადი სივრცე გვერდის ოთახებით. ტაძრის ძირითადი სივრცე შექმნილია ჯვრის ფორმის გეგმაზე აღმართული მასებით და ცენტრალური გუმბათით. ამ ჯვრის ჩრდილო და სამხრეთის სწორკუთხა მკლავები მოკლეებია, ხოლო დასავლეთისა და აღმოსავლეთისა დაგრძელებულია, ამათგან პირველი სწორი კუთხით მთავრდება, ხოლო მეორე — საკურთხევლის აფსიდით (სურ. 2).


გუმბათი აღმოსავლეთით ეყრდნობა პილასტრებით დამუშავებულ საკურთხევლის კუთხეებს (სურ. 6) და დასავლეთით — ორ მასიურ პილოსს (სურ. 8). გუმბათქვეშა კვადრატიდან გუმბათის ყელის ცილინდრულ ფორმაზე გადასვლა ხდება აფრული წესით, სადაც ზედ აფრაზე დართულია ერთსაფეხურიანი ტრომპი. ტრომპებს ამ შემთხვევაში არავითარი კონსტრუქციული დანიშნულება არა აქვს.

საკურთხეველს მთლიანად უწესო გეგმა აქვს, რაც, ადგილობრივ თითქმის არ შეიმჩნევა; აფსიდის მომრგვალება აქ თითქმის ელიფსურია. ასევე არაწესიერ გეგმაზეა აგებული ბემაც; მისი კედლები ვიწროვდება შიგნითკენ არათანაბარი დაქანებით (სამხრეთის კედელი უფრო მეტად უხვევს, ვიდრე ჩრდილოეთისა).

აფსიდისა და ბემის არაწესიერი ფორმა და აფსიდის კედლის სისქის განსხვავება დანარჩენ კედლებთან (ეს კედელი დანარჩენ კედლებს სჭარბობს 40 სანტ., ჩვეულებრივ კი ყოველთვის საწინააღმდეგო მოვლენას ვხვდებით) გვიკარნახებს, რომ აქ გადაკეთებასთან გვაქვს საქმე. როგორც ეტყობა აქ მდგარი ეკლესიის ნაწილი გამოუყენებიათ შემდეგი დროის მშენებლებს. ამ აზრის დამადასტურებელ მასალებს ქვემოთაც ვნახავთ, მაგრამ აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ძველ ფენას ჩვენ პირველ სამშენებლო პერიოდს მივაკუთვნებთ.

საკურთხეველი. გვერდი-გვერდ, საკმაოდ მკიდროდ განლაგებუ-

ლი სამი სარკმლიდან შემოსული შუქით ნათდება. სარკმლების სიმაღლე განსხვავდება ერთმანეთისაგან; შუა — ყველაზე მაღალია, სამხრეთის — მასზე დაბალი, ხოლო ჩრდილოეთისა — ორივეზე დაბალია. ამ სარკმლების ორივე მხარეს მოთავსებულია თითო ნახე-




სურ. 6. ტაძარი. განაკვეთი აღმოსავლეთით.

ვარწრიული ნიშა, რომელთა თაღოვანი მოჩარჩოება შედგება ორ-მაგი ლილვაკისაგან, ამათგან მხოლოდ სამხრეთის ლილვაკებს აქვთ ბაზისი. საკურთხეველს ირგვლივ უვლის და თითქმის გვერდით

კარებამდე აღწევს ერთი საფეხური (40×30 სანტ.) მღვდელმსახურთა ჩამოსაჯდომად (სურ. 2 და 7).

აფსიდისაგან ბემა გამოყოფილია და შექმნილი წიბოები მთავრ-



სურ. 7. ტაძარი. განაკვეთი. სამხრეთით.

დება პროფილირებული კაპიტლებით. ბემის ორივე კედელში თითო გასასვლელია გაჭრილი, რომლებითაც გვერდის ოთახები უერთდება საკურთხეველს (გასასვლელებს არავითარი დამუშავება არ გააჩნია). როგორც ეტყობა, აქ დაბალი გასასვლელები ყოფილა და აუმაღლებიათ, რაც კარგად ჩანს დღევანდელი თაღების ქუსლებს ზემოთ.


საკურთხეველის კედლები, შემდეგში ნალესობითა და ფრესკით დაუფარავთ, მაგრამ ზოგან ნალესობა ჩამოცვენილია და სა-

შუალემა გვეძლევა ვილაპარაკოთ მის თავდაპირველ სახეზე. ამ საკურთხეველის თავისუფალი მხარეები, ორმხრივ პილასტრებითაა დამუშავებული. პილასტრებს ორ ნაწილად ჰყოფს პორიზონტალური ლილვაკი. ეს გამყოფი ლილვაკები ორივეგან სხვადასხვა პორიზონტზეა; მარცხენა მარჯვენაზე უფრო მაღლაა. ამ კუთხეების ორივე მხარის მთავარ ელემენტს თითო, საკმაოდ განიერი, სწორზედაპირიანი პილასტრი შეადგენს. პილასტრებს შორის მოთავსებული კუთხე ქვედა ნაწილში ორი ლილვისა და მათ შუა მდებარე სწორკუთხოვანი ნაწილითაა დამუშავებული. სარტყლის ზემოთ სურათი იცვლება, — აქ ბრტყელი პილასტრები უცვლელად რჩება, ხოლო მათ შუა 45° ჩამოჭრილი სიბრტყეა. ასეთივე თითო ნახევარკოლონით მთავრდება ამ კუთხეების ჩრდილო და სამხრეთი ნაპირები, ხოლო ბემის მხარეს ორი სწორი საფეხურიით გადადის კედლის სიბრტყეზე (სურ. 10). მთელი ეს კომპოზიცია კაპიტელით მთავრდება, რომელთაგან მხოლოდ სამხრეთისაა შერჩენილი, მისი პროფილიც ისეთივეა, როგორც აფსიდის კაპიტელისა. ჩრდილოეთისაზე კი დღეს მხოლოდ ბრტყელი ფილაა. იქვე, გვერდითი ნავეზის მასიურ პილონებზეც გვაქვს უფრო მარტივი პროფილით, მაგგრამ ორიარუსიანი გადაწყვეტა; შეიძლება ეს პილონებიც ნაწილობრივ მიწისძვრის შემდგომ აღდგენილი იყოს, მაგრამ უნდა ასახავდეს თავდაპირველ სახეს, რადგან შეიცავს ძველს, თავდაპირველ ელემენტებს. ასევე სავარაუდებელია ორივე კედლის პილონის სარტყლის ლილვაკების და სამხრეთ კედლის პილონის კაპიტელის თავდაპირველობაც. ეს კაპიტელი ზუსტად იმეორებს აფსიდის კაპიტელის პროფილს. ასეთივე პროფილიანი კაპიტელები გამოყენებულია გუმბათქვეშა ჩრდილო პილონის გრძელი კაპიტელის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში და პატრონიკეს თაღის იმპოსტებად, ორივე პილონის ზედაპირზე.

როგორც მთელი აფსიდი კონქით, ისე ბემაც კარგად თლილი სწორი კვადრებითაა ამოყვანილი. კედლის მეტი ნაწილი ნალესობითაა დაფარული, მაგრამ იქ, სადაც ნალესობა ჩამოცვენილია, ძალიან წესიერი წყობა ჩანს. ასეთი წყობა ინტერიერის კედლებზე შემდეგ ადგილზეა შერჩენილი: სამხრეთის მკლავში იატაკიდან სარკმლის ქვედა დონემდე; დასავლეთისა და ჩრდილოეთის მკლავებზე და აგრეთვე გვერდის ნავეზის კედლებზე 1—2 მეტრის სიმაღლეზე. ასეთი წყობა თანადროულია ფასადებზე აღნიშნული პირველი სამშენებლო ფენისა, ხოლო შიგნით იგი მეორე სამშენებლო ფენას წარმოადგენს.

საკურთხეველის გვერდის ოთახები, — სადიაკვნო და სამკვეთ-


ლო, წარმოადგენს გეგმით თითქმის კვადრატს. ისინი გადახურულია გარე კედლებზე დაყრდნობილი კამარებით. ამ სადგომებს ანათებს აღმოსავლეთის კედელში გაჭრილი თითო სარკმელი. სამ-



სურ. 8. ტაძარი. განაკვეთი დასავლეთით.

კვეთლოში სარკმელზე მიდგმულია ერთი ახალი ტრაპეზი, ჰაღდიაკვნოში კი ორია: ერთი—სარკმლის წინ ცილინდრულ კოლონაზე ბრტყელი ფილით, ხოლო მეორე უფრო პატარა ზომისა, ჩრდილო-აღმოსავლეთის კუთხეშია მიდგმული (ეს ტრაპეზის ქვები ზედა ფილებით აქ შემთხვევითაა მოხვედრილი. მათ რაღაც სხვა დანიშნუ-

ლება უნდა ჰქონოდათ, მაგრამ მიწისძვრის შემდგომ აღდგენისას, თავისი პირდაპირი დანიშნულების უქონლობის გამო აქ გამოუყენებიათ. რაც შეეხება ამჟამად საღიაკვნოში ორი ტრაპეზის არსებობას, ეს იმას მოწმობს, რომ აქ დროაღლო წარმოებდა მცირე მნიშვნელობის სამსახური). აქვე, სამხრეთის კედლის ქვედა ნაწილში, პატარა თაღოვანი ნიშაა. ამ სადგომის კედლებზე ნალესობის კვალი არსად ემჩნევა (ისეთი შთაბეჭდილება რჩება თითქოს აქ ნა-




სურ. 9. ტაძარი. განაკვეთი საკურთხეველზე.

ლესობა და ფრესკა არასოდეს არ ყოფილიყოს). საღიაკვნოსა და სამკვეთლოს კედლები იშვიათი ოსტატობით დამუშავებული ქვის კვადრებითაა შემოსილი (განსაკუთრებით ეს კარგად ჩანს საღიაკვნოში. სამკვეთლოში კი ნალესობა და ფრესკა ამის საშუალებას არ იძლევა). ამ კედლების წყობა და ქვის დამუშავების წესი განსხვავდება ზემოთ აღნიშნული მეორე სამშენებლო ფენისაგან; იგი უდავოდ პირველ ფენას ეკუთვნის (სამკვეთლოს ჩრდილო კედლის ქვედა მეორე რიგზე შეკეთების დროს რამდენიმე დაუმუშავებელი ქვა ჩაუტანებიათ). საღიაკვნოს ეკლესიის ძირითად სივრცესთან დასავლეთის კედელში არსებული გასასვლელი აკავშირებს. ამ გასასვლელის ახლანდელი თალი გარეთა პროფილირებული მოჩარჩოებით უახლოესი დროისაა. ჩრდილო სადგომის, ძირითად სივრცისგან გამყოფ კედელს რამდენიმეჯერ განუტდია გადაკეთება. შე-



საძლოა, ფართო თალი, რომელიც თითქმის მთელი კედლის სიგანეზე გადადის, მიწისძვრის შემდეგ აღდგენას მიეკუთვნოს (სურ. 6). მომდევნო ხანაში, ეს თალი ქუხლის პორიზონტის სიმაღლეზე ამოუვსიათ და შუაზე ვიწრო გასასვლელი დაუტანებიათ, მაგრამ ეს გასასვლელი, როგორც ეტყობა, დაბალი იყო არქიტრაული გადახურვით და ამალღების მიზნით შემდეგში პროფილირებული თალით გადაუხურავთ.



სურ. 10. ტაძარი. საკურთხევლის კუთხე.

მეორე — პილონებს შუა გადასული ქვედა თალის კრონშტეინებად გამოყენებულია ისეთი კაპიტელი, რომელიც გაანგარიშებულია თავისუფლად მდგარი სვეტისათვის (სურ. 7 და ტაბ. IX), და მესამე — ორივე პილონს ამთავრებს არაერთგვაროვანი პროფილირებული კაპიტელი; მისი მეტი ნაწილი ნალესობითაა დაფარული, მაგრამ ზოგან პროფილის გარჩევა ხერხდება. ასე მაგ., სამხრეთ პილონის კაპიტელი შედგება სხვადასხვა ნაწილებისაგან; ზოგან მხოლოდ ძველი ფრაგმენტია გამოყენებული, ზოგან კი უბრალოდაა პროფილირებული. ერთგან, სახელდობრ სამხრ. პილონის სამხრეთ კაპიტელზე გამო-

ძირითადი სივრცის განხილვისას თვალში გვხვდება გუმბათქვეშა მასიური პილონები (200×210 სანტ.), რომელთა წიბოები 45°-თაა ჩამოჭრილი. პილონები შემოსილია თლილი ქვით (სურ. 8, ტაბ. IX). მათი, როგორც წყობის ხასიათი, ისე მასალაც, რადიკალურად განსხვავდება ზემოთ აღნიშნული პირველი და მეორე პერიოდის კედლის წყობისაგან. ეს მესამე სამშენებლო პერიოდის კედლის წყობა უნდა მიეკუთვნოს XVII ს. აღმდგენელ მალაქია გურიელს. ამ აზრს მრავალი რამ ადასტურებს; ჯერ ერთი ისა, რომ ჩრდ. პილონის დასავლეთ კედლის ქვედა ნაწილში ჩატანებულია დიდი ზომის (70×80 სანტ.) მთლიანად ორნამენტირებული ფილა (კანკელი?), რომლის რელიეფის ზედაპირი ჩამოთლილია შემოსვისათვის მოსარგებად;

ყენებულია გაურკვეველი დანიშნულების პროფილირებული ფრაგ-  
მენტები<sup>1</sup> (კაპიტელი? მაგრამ რისი?).

ამ პილონებზე გადასული თალით გუმბათქვეშა სივრცეს უერთ-  
დება ორსართულიანი დასავლეთის მკლავი; ზედა სართულში პატ-  
რონიკეა მოთავსებული, ხოლო ქვედა ნაწილი ცილინდრული კამა-  
რითაა გადახურული და სამხრეთ ღიადებით უერთდება მომიჯნავე  
ნაწილებს. ეს თაღები აღმოსავლეთით გუმბათქვეშა პილონებზე  
არსებულ იმპოსტებს ეყრდნობა, ხოლო დასავლეთით საკმაოდ მა-  
სიური კედლის პილონებს. თვით ღერძზე დასავლეთ კედელში, გა-  
ნიერი შესასვლელია გაჭრილი. ამ მკლავის კამარა და ყველა სახის  
თალი მოკლებულია ყოველგვარ სიზუსტეს, რაც ასევე მიწისძვრის  
შემდეგ ცუდად აღდგენას უნდა მიეწიროს.

სულ სხვა მდგომარეობაა ჯვრის გვერდითა მკლავებში. აქ თითო  
შესასვლელი გაჭრილია არა ცენტრალურ ღერძზე, არამედ უფრო  
დასავლეთით. ორივე შესასვლელი შიგნიდან თაღოვანი გადახურ-  
ვითაა, ხოლო გარედან — არქიტრავის მთლიანი ქვით. სამხრეთის  
შესასვლელი ორივე მხარეს ვიწროვდება შიგნიდან გარეთ, ჩრდი-  
ლოეთისას კი მარცხენა გვერდი სწორი აქვს, ხოლო მარჯვენა —  
გაურკვეველია, რადგან მას გვიან ჩაშენებული კედელი ფარავს.  
შესასვლელთა ზემოთ, თითქმის ღერძზე, თითო სარკმელია გაჭრი-  
ლი. სამხრეთის სარკმელი ნახევარწრიული გადახურვითაა, ხოლო  
ჩრდილოეთისა უფორმოა, ბრტყელი გადახურვით (ესეც მთლიანად  
აღდგენის დროისაა). თვით ჯვრის მკლავები კამარითაა გადახურუ-  
ლი, მაგრამ ორივე „კამარა“ არ არის წესიერი ფორმის; კამარათა  
მიმართულება თითქოს დას-აღმოსავლეთისკენაა, მაგრამ ამავე  
დროს ორი დანარჩენი გვერდიც უფორმო სიმრუდით უერთდება  
ერთი მხრით კედელს, ხოლო მეორე მხრით გუმბათქვეშა თალს,  
რითაც რაღაც „გუმბათის“ მსგავსი ფორმა იქმნება. ცხადია; ესეც  
აღდგენის შედეგია. ამ აზრს ადასტურებს მასალაც. სამხრეთის კე-  
დელი სარკმლის შუა წელამდე ისეთივე კარგად თლილი სწორი  
კვადრებითაა ამოყვანილი, როგორც ეს საკურთხეველში ვნახეთ,  
ჩრდილოეთისაში კი კარის თალის ქუსლიდანვე იწყება რიგების  
არევა, თუმცა აქაც თლილი კვადრებია, მაგრამ მათი ზომები და

---

<sup>1</sup> თუ რით არის გამოწვეული პილონის ასეთი არაჩვეულებრივი სისქე, ამის  
ზედმიწევნით დადგენა დღეს შეუძლებელია, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ მიწის-  
ძვრის დროს იქ არსებული პილონები დაზიანდა და აღმდგენელმა ოსტატმა გა-  
მაგრების მიზნით მათ ირგვლივ შემოავლო კიდევ ერთი ფენა კედლისა, რამაც  
პილონებს ასეთი არაჩვეულებრივი ფორმა მისცა.

წყობის ხასიათი განსხვავდება ქვედასაგან (სურ. 6). მათი რიგებ-  
ალმაკერად ლაგდება, შიგადაშიგ სხვა ქვებიც ურევია, ხოლო  
სარკმლის ქვედა დონედან იწყება ისეთივე პატარა ქვების წყობა,  
როგორც სამხრეთისაში იყო და კამარაც მთლიანად ამ ქვებითაა  
ამოყვანილი. XVII ს. გადაკეთების დროს არ დაუცავთ თვით ჩრდ-  
კედლის ზედაპირის ვერტიკალობაც და კედელს აქა-იქ გამობურც-  
ვა ეტყობა.

შენახულობის მხრივ დაახლოებით ასეთივე მდგომარეობაშია  
გვერდის ნაგებიც. ისინი შუა სივრცისაგან გამოყოფილია თაღოვა-  
ნი არეებით, რომლებიც ეყრდნობა ცენტრალურ და კედლის პილო-  
ნებზე. ეს კედლის პილონები დამუშავებულია როგორც ზემოთ  
გაკვრით აღენიშნეთ, ერთლილვიანი სარტყლებით. ამათგან სამხრე-  
თის სარტყელი მეორესთან შედარებით მაღალია (სურ. 8). თაღე-  
ბის იმპოსტები თუმცა ნაღესობითა და ფრესკითაა დაფარული,  
მაგრამ ზოგან მაინც თვალსაჩინოდ ჩანს შემდეგი: სამხრეთისას გა-  
აჩნია ისეთივე კაპიტელი, როგორც აფსიდის კუთხეებს, ხოლო  
ჩრდილოეთისა — უბრალოდ პროფილირებულია. სამხრეთის პი-  
ლონის ჩრდ. პირზე, სარტყლის ზემოთ, პერანგის წყობაში, ჩატანე-  
ბულია ფარშევანგის რელიეფური გამოსახულებიანი ქვა (ტაბ.  
XVIIa). ასევე ჩრდილო პილონის აღმ. კედელზე, ლილვის ქვემოთ,  
მეორე რიგზე, პროფილირებული ქვაა ჩატანებული. ამ ფაქტებს  
მივყავართ იმ დასკვნამდე, რომ ეს პილონებიც მთლიანად არ  
არის თავდაპირველი; ეს პილონები თავდაპირველ ადგილზე XVII  
საუკ-შია აღდგენილი (ეს ითქმის უფრო ჩრდილოეთისაზე, რადგა-  
ნაც მისი გადაკეთების სხვა ნიშნებს ისიც ემატება, რომ არ შე-  
მორჩენია ძველი, ე. ი. ისეთივე ფორმის კაპიტელი, როგორც აფსი-  
დას აქვს, სამხრეთისაზე კი იგი თავის ადგილზეა; რაც შეეხება ფარ-  
შევანგის გამოსახულების უადგილობას, ამის ახსნა შეიძლება მრავ-  
ალი მიზეზით).

თვით გვერდის ნაგებიც აღდგენილია XVII საუკუნეში. მათი და-  
სავლეთის კედლებში მოთავსებული თითო სარკმლიდან ჩრდილოე-  
თისა დაბლაა, ხოლო სამხრეთისა — გაცილებით მაღლა (სურ. 8).  
ეტყობა, რომ პირველი მათგანი თავდაპირველ ადგილზეა (კედლის  
წყობა სარკმლის ქუსლამდე ზელუხლებელია), ხოლო მეორე მერ-  
მინდელი აღდგენის ნაყოფია (რაც ფასადზე უფრო აშკარად ჩანს).  
ეს ორივე ნავი გადახურულია ცილინდრული კამარით, რომელთა  
ზედაპირიც მოკლებულია ყოველგვარ სიზუსტეს და შეიცავს რა-  
ღაც გაუგებარ ელემენტებს. მაგ., სამხრეთისაზე, დაახლოებით ნა-  
ვის სიგრძის შუაზე ორი და აღმოსავლეთით ერთი, სხვადასხვა სი-

განის თალია, ისინი საბრჯენი თალის იმიტაციას თუ წარმოადგენენ. ჩრდილოეთისაში კამარა თითქოს ორ საბრჯენ თალს ეყრდნობა. ამ თალებს ქუსლები შედარებით მკაფიოდ მოჩანს, ხოლო შუაში ისინი თანდათანობით იკარგება კამარის სიბრტყეში.

ჯერის დასავლეთი მკლავისაგან ნაგების გამყოფი თალები და მათზე აღმართული კედლები დეფორმირებულია. არც თალის წრის მოხაზვაში და არც კედლების ზედაპირზე არ არის დაცული სიზუსტე, მთლიანად კედლების მიმართულებაც აღმაცერია და ისინი აღმოსავლეთისაკენ ვიწროვდებიან.

ორივე ნაგვი — სამხრეთისაში სამხრეთ კედელზე, ხოლო ჩრდილოეთისაში ჩრდილო კედელზე — ერთი საყურადღებო დეტალია. შერჩენლი: დასავლეთის კუთხეებში შემონახულია 50 სანტ. სიმაღლის გამბრჯენი თალის თუ ცილინდრული კამარის ქუსლები (თალი იწყება 1,60 სანტ. სიმაღლეზე; შერჩენილია სხვადასხვა სიგანით, სამხრ.—60 სანტ., ხოლო ჩრდ.—75 სანტ. თალი, როგორც ეტყობა, იწყებოდა უშუალოდ კედლის ვერტიკალიდან, ყოველგვარი შევრისლის გარეშე).

ყოველივე ზემონათქვამის შემდეგ შეგვიძლია უფრო კონკრეტულად აღვნიშნოთ ძეგლის რომელი ნაწილი მიეკუთვნება პირველ და მეორე სამშენებლო პერიოდს.

ყველაზე მეტად დაზიანებულია ჩრდილოეთის კედელი. იგი შესასვლელითურთ ახლადაა ამოყვანილი. ამას ამტკიცებს, უპირველეს ყოვლისა, ამ კარის გეგმის შედარება დანარჩენ ორ კართან. ამ შესასვლელის გვერდები პარალელურია, მაშინ, როდესაც ორი დანარჩენისა ცერადკვეთილია. გარდა ამისა, თვალში გეცემათ შესასვლელის აღმოსავლეთით სამი ქვედა რიგი, რომელიც უდავოდ ძველია, ე. ი. მეორე სამშენებლო პერიოდს ეკუთვნის, ხოლო ზემოთ, სარკმლის ქვედა დონემდე ნახშირია ძველი ქვებიც, მაგრამ წყობა XVII ს. და მესამე სამშენებლო პერიოდს მიეკუთვნება. შესასვლელის ზემოთ ხომ აშკარად ეტყობა აღდგენა. რაც შეეხება იქვე მდებარე კედლის პილონს, ესეც საკმაოდ ატარებს გადაკეთების ნიშნებს; ქვემოდან მეორე რიგში ჩატანებულია პროფილიანი ქვა; ამავე დონიდანვე იწყება წყობის არევა, სარტყელიც არ არის მკვეთრად მოცემული.

თუ დავუბრუნდებით ისევ ჩრდილო კედელს, იქ პილონსა და დასავლეთის კედელს შორის რამდენიმე თავდაპირველი რიგი უნდა იყოს შერჩენილი, დასავლეთის კუთხეში შემონახული თალის ნაწილის ჩათვლით.

შედარებით უკეთეს მდგომარეობაშია დასავლეთის კედელი-

როგორც აღნიშნულიც გვქონდა, აქ თავდაპირველია კედელი, მხოლოდ შესასვლელის თაღის დონის ჩათვლით და კედლის პილონებიც თაღის ქუსლამდე (სურ. 8).

ამათთან შედარებით უკეთეს მდგომარეობაშია საკუროთხევლის ნაწილი. მეორე სამშენებლო პერიოდიდან ხელუხლებელია აფსიდის მთლიანად, ხოლო ბემა დაზიანებულია (ბემის კედლებს, გვერდის გასასვლელის არეების გარდა, გადაკეთება არ შეხებია). ბემის კამარა მთლიანად აღდგენის დროისაა. კამარაზე კედელთან განსხვავებით, წვრილი ყორექვაა (სურ. 7), გარდა კამარის ჩრდილო ქუსლისა, სადაც 40—50 სანტ. კარგი თლილი კვადრებია (თუმცა მათი მიმართულებაც ისეთია, რომ წრეხაზს არ ექვემდებარება. სამწუხაროდ, ეს ნაწილი ფრესკით ისეა დაფარული, რომ მეტის გარკვევა არ ხერხდება). ბემის მოსაზღვრე გუმბათქვეშა თაღშიც ნაწილობრივ ნახმარია ახალი ქვები (შეიძლება ეს ძველი ქვებიც ხელახლა ნაწყობი იყოს, რადგანაც თაღის მთელი აღმოსავლეთი მხარე უსწორმასწორო ზედაპირს წარმოადგემს). საკუროთხევლის ჩრდილო კუთხის პილონის კაპიტელიც მხოლოდ ბრტყელი ფილაა, განსხვავებით მოპირდაპირე სამხრეთ კუთხისაგან, სადაც ხელუხლებელია როგორც კაპიტელი, ისე მთელი კუთხე.

ინტერესს მოკლებული არ იქნება იმ ფაქტის აღნიშვნა, რომ აფსიდის კონქის თაღი შედარებით ზუსტია, ხოლო ზედა, მეორე საფეხური ქუსლებით იჭრება ორივე მხარეს შიგ კედელში. მათ ქვემოთ 5—7 სანტიმეტრით თაღის ქუსლის ნარჩენია გამოშვებული, რომელსაც შედარებით არსებულთან უფრო მოკლე რადიუსი ჰქონია (ალბათ, კონცენტრული კონქისა). ამ გადაკეთებათა გამო ბემის კამარის ზიბრტყე შეუფერებელ მონაკვეთს ჰქმნის აფსიდის კონქთან, ვინაიდან კამარის წრიულობა არ არის დაცული.

როგორც წინა თავში აღვნიშნეთ, მალაქია გურიელმა ორჯერ მოახატვინა ეკლესია. პირველი პერიოდის მხატვრობა დაიღუპა მიწისძვრის დროს, ხოლო მეორე პერიოდის (1616—1619 წწ) მხატვრობის დიდმა ნაწილმა მოაღწია ჩვენამდე. ამ დროის ფრესკა პეტარავდა საყდრის შიდა ყველა ნაწილს, გარდა საღიაკენოსა და საიდუმლო ოთახებისა. ცენტრალურ და გვერდის პილონებზე გამოსახულია რამდენიმე სასულიერო და საერო პირი. მათ წარწერები არ შერჩენია, მაგრამ მსგავსება დიდია იმ ეპოქის სხვა მხატვრობასთან.

რადგანაც ფრესკა ან მისი კვალი ყველგანაა შერჩენილი, ეს კიდევ უფრო ამტკიცებს ჩვენს მიერ გამოთქმულ აზრს, რომ მალაქიას შემდეგ საყდრის შიდა კედლებს არავითარი ცვლილება არ გა-

ნუცდია; გრიგოლ ჩიქოვანის 1777 წ. შეკეთება მხოლოდ გარე ნაწილებს შეეხო.

პატრონიკე და საიდუმლო ოთახები. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პატრონიკე მოთავსებულია დასავლეთის მკლავის ზედა სართულში (სურ. 7, 9). იგი წარმოადგენს ცილინდრული კამარით გადახურულ აღმოსავლეთისაკენ ღია თაღის მქონე სადგომს. იატაკი ამჟამად ხისაა, ქვის თაღის დონიდან 20 სანტ. აწეული. ხისავე დაბალი მოაჯირია შემოვლებული აღმოსავლეთით, მთელ სიგრძეზე. დასავლეთ კედლის სამხრეთ ნაწილში საკმაოდ დიდი ზომის სარკმელია. კარი ერთი აქვს, სამხრეთის კედელში, ბრტყელი გადახურვით, რომელიც უშუალოდ უერთდება წვრილ ტალანს, უხვევს დასავლეთით, ებჯინება კედელს და გაღის დაბალი კარით სამხრეთ ნაწილში. აქ ამჟამად არსად ჩანს კიბის კვალი, მაგრამ ადგილობრივ მცხოვრებთ ჯერ კიდევ ახსოვთ ამ კარებზე მიშენებული ხის კიბე. თვით ვიწრო ტალანი ნათდება დასავლეთის კედელში დატანებული წრიული სარკმლით. ტალანის აღმოსავლეთი ბოლო ზემოთ ღიაა, სახურავზე ასასვლელად.

მთელი პატრონიკე XVII ს. აღდგენის დროსაა აგებული, აღმდგენელი ოსტატის უმწეობის გამო ყველა კედელი დაბრეცილია. სადგომის ზიგანე გაცილებით ნაკლებია გუმბათქვეშა თაღის სიგანეზე, რის გამოც თვით ეკლესიის შუა სივრციდან მოჩანს თაღის ქუსლებთან ამ კედლების ქვედა ნაწილი. სათავსოს გადამხურავი ცილინდრული კამარაც ოვალური ფორმისაა, ტალღობრივი ზედაპირით. ტალანი და მის ბოლოებში მდებარე ორივე შესასვლელი არ არის შელესილი, ამიტომ მოჩანს წყობაში ჩაყოლებული მეორე სამშენებლო პერიოდის მრავალი ორნამენტული ქვა. ასევე უფორმოა და ფრაგმენტებს შეიცავს დასავლეთის დიდი სარკმელიც.

როგორც აღვნიშნეთ, საიდუმლო ოთახები მოთავსებული ყოფილა საკურთხევლის გვერდითი სადგომების ზემოთ— მეორე სართულში (სურ. 6, 9). ჩრდილო ოთახი მიწისძვრის დროს დანგრეულა და არც უცდიათ მისი აღდგენა, ხოლო სამხრეთისა ხელუხლებლად შემონახულა, მაგრამ ძეგლის აღდგენის შემდეგ ისიც გამოხსულა ხმარებიდან. ეს სადგომი ოსეთივეა როგორც მისი ქვედა სართული. იგი განათებულია აღმოსავლეთის ფასადზე დღესაც არსებული მრგვალი სარკმლით. კედლები ამოყვანილია ფლეთილი, დაუმუშავებელი ქვით, რომელიც შეიძლება არასდროს არ შელესილა. ამ სადგომის შემოსვის მასალა და წყობის ხასიათი განსხვავდება მეორე და მესამე სამშენებლო პერიოდის კედლებისაგან. იგი

უქველად სადიაკნოსა და სამკვეთლოს მსგავსად პირველ ფენას მიეკუთვნება.

ამ სამხრეთ სადგომს შესასვლელი დასავლეთის კედელში ჰქონია დატანებული, მაგრამ დღეს იგი ამოვსებულია და საყდრის შიგნიდან მისი გარჩევა ძნელდება. ეს შესასვლელი დარბაზის იატაკის დონის საკმაოდ მაღლაა და ასეა, ალბათ, ზის მისადგმელი კიბით ხდებოდა (სურ. 6 ნახაზზე ჩანს ამოვსებული კარი).

ვფიქრობთ, ასეთივე უნდა ყოფილიყო ჩრდილოეთის ოთახიც. დღეს იქ უსწორო კედლებია. თავის პირვანდელ ადგილზე მხოლოდ აღმოსავლეთის კედლს ნაწილია ისეთივე წრიული სარკმლით, როგორც მეორეში ვნახეთ (სურ. 9).

ამ სადგომებს ერთი საყურადღებო დეტალი აქვთ: მათ ერთმანეთთან აერთებს ვიწრო „გვირაბი“ (40×60 სანტ.), რომელიც იწყება ორივე სადგომის საკურთხეველსაგან გამყოფ კედლებიდან და მიჰყვება აფსიდის მომრგვალებას. გვირაბის დონე ცენტრში უფრო მაღლაა, ვიდრე საწყის წერტილებში. გვირაბი გადახურულია საკმაოდ ფართო და ბრტყელი ორი კრამიტის ერთმანეთზე მიბჯენით მიღებული ისრული კამარით. ამ ხვრელში გასვლა მხოლოდ მუცელზე ხოხვით ხერხდება (სურ. 7). ეს გვირაბიც, უქველად, როგორც სათავესები, პირველ ფენას მიეკუთვნება.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ტაძრის კედლის მხატვრობა საკმაოდაა დაზიანებული, მაგრამ სქემებისა და სიუჟეტების დადგენა ბევრგან მოსახერხებელია.

ეკლესიის აღმოსავლეთის ნაწილში ზოგან ორი ფენა ჩანს. პირველი, ქვედა ფენა, უფრო მოსალოდნელია, რომ იყოს მალაქიას მიერ 1612 წ. შესრულებული მხატვრობის ნაშთი, ხოლო მეორე — 1616—1619 წლებში ხელმეორედ მოხატვის შედეგი. პირველ ფენაზე ვერაფერს ვიტყვით, რადგან მისგან მხოლოდ უმნიშვნელო ფრაგმენტებია, ხოლო მეორე ფენა თავისი ეპოქის კარგი ნიმუშია.

ფრესკის ქვედა რეგისტრზე მოთავსებული ყოფილა საერო პირთა გამოხატულება. მათგან მხოლოდ რამდენიმეა გადარჩენილი, მაგრამ არც ერთს წარწერა არ გააჩნია.

## ბ) ხუროთმოძღვრულ-მხატვრული ანალიზი

### 1. ცენტრალურ-გუმბათოვანი ძეგლების ევოლუციის საკითხისათვის

ის ტიპი, რომელსაც ცაიშის ტაძარი ეკუთვნის, ცენტრალურ-გუმბათოვანი ძეგლებს სახელწოდებითაა ცნობილი. მას რამდენიმე სახესხვაობა აქვს. ზოლო ის კერძო სახე, რომელიც ცაიშის ოსტატის წინამორბედებმა შექმნეს, XI ს. პირველ მესამედში მთლიანად ჩამოსხმულია. ამ დროს (ქუთაისის, სვეტიცხოველსა და ალავერდის კათედრალებთან შედარებით)<sup>1</sup> სამთავისის<sup>2</sup> და სამთავროს<sup>3</sup> ოსტატებმა შექმნეს ზომით მცირე, მოხდენილი და მეტად კომპაქტური გეგმის მქონე კომპოზიცია, რომელმაც — შეიძლება თამამად ითქვას — განსაზღვრა მომდევნო საუკუნეების შემოქმედებითი ტენდენცია. ეს ტიპი თითქმის ოთხასი წლის, ე. ი. XI—XIV საუკუნეების განმავლობაში, ყველაზე შესაფერისი გამოდგა საშუალო საუკუნოების მოთხოვნებისათვის. ეპოქიდან ეპოქაში ზღვებოდა ამ ტიპის ევოლუცია, მხოლოდ მცირედი ნიუანსებით და სხვა ტიპების გვერდით მას XIX საუკუნეშიაც იყენებდნენ.<sup>4</sup>

ამ ტიპის ასეთი ლიცოცხლისუნარიანობის მთავარი მიზეზი ის იყო, რომ განსხვავებულად გადაწყვეტილი ოთხი საყრდენით აღჭურვილი გუმბათოვანი შენობა, თავისი გეგმით მეტად ლაკონიურ ფორმამდე იქნა დაყვანილი. ტიპის კონსტრუქცია გამძლე და დახვეწილი იყო, — წინააღმდეგ შემთხვევაში ასეთი ძეგლთა უმრავლესობა ვერ მოაღწევდა ჩვენამდე. ისინი იმდენად მდგრადი იყო, რომ მათ საუკუნეები ვერაფერს აკლებდა, თუ მიწისძვრის ისეთ მკაცრ შემთხვევასთან არ გვეკონდა საქმე, როგორც ცაიშში: „იძროდა ვითარ წელი ერთ“. სტიქიის ასეთი მძლავრების დროსაც კი ძეგლი მთლიანად იშვიათად თუ აღმოიფხვრებოდა.

<sup>1</sup> გ. ჩუბინაშვილი. ქართული ხუროთმოძღვრება საშუალო საუკუნო-ებში და მისი სამი კათედრალი, „არილი“, 1925, გვ. 107.

<sup>2</sup> Н. Северов. Памятники грузинского зодчества, Москва, 1947, стр. 42—44, 178—179.

<sup>3</sup> Р. Шмерляги. Самтавро-памятник XI века. „ქართული ხელოვნება“, ტ. I, თბილისი, 1942, გვ. 49—76, ტაბ. 19—22.

<sup>4</sup> ცენტრალურ-გუმბათოვანი ძეგლების გენეზისსა და მასთან დაკავშირებულ საკითხებს აქ არ შევხებით, რადგანაც იგი, ისე როგორც სხვა საკითხებიც, გაშუქებულია ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში პროფ. გ. ჩუბინაშვილის მიერ.



როგორც სახელწოდებაც გვაშეცნობს, ცენტრალურ-გუმბათოვან-ძეგლთა ტიპის დომინირებულ ნაწილს ჯვრის მკლავებზე აღმართული ცენტრალური გუმბათი წარმოადგენს. მკლავებს შორის, როგორც შიგნით, ისე გარეთ ჯვრის ფორმის მკვეთრად მოსაცემად დაბალი, ერთქანობიანი სახურავის მქონე ნაწილებია. ამ ტიპის ძირითადი მასა გეგმაში თითქმის ყოველთვის ოთხკუთხედსა ქმნის, ტენდენციით კვადრატისაკენ (ცხადია, გამონაკლისს წარმოადგენს გამოწვეული აფსიდიანი ძეგლები, მაგრამ ამაზე ქვემოთ). ინტერესს მოკლებული არ არის ჯვრის მკლავების ურთიერთ-შეფარდებაც: მოკლე ღერძის მკლავები ყოველთვის ტოლებია, რაც არ ითქმის გრძივ ღერძზე. აქ სამი შესაძლებლობაა მოსალოდნელი, მაგრამ მხოლოდ ორ შემთხვევასთან გვაქვს საქმე: ან დასავლეთის მკლავი ოდნავ ქარბობს აღმოსავლეთისას, ან არა და თანატოლია; არასოდეს არ ხდება პირიქით, ე. ი. აღმოსავლეთისა არასოდეს არ ქარბობს დასავლეთისას (როგორც ამას მეზობელ სომხეთის ძეგლებზე ვხვდებით). ეს კანონი ძალაში რჩება გამოწვეულ აფსიდიან ძეგლებშიაც. ამით ჩვენ იმის თქმა გვინდა, რომ აღმოსავლეთით ღერძის წაგრძელება აფსიდით მხოლოდ შიგა სივრცეში ხდება შესაძენი. რაც შეეხება გარე მასებს, იქ გამოწვეულ აფსიდების სახურავი ყოველთვის გამოყოფილია ძირითადისაგან, რითაც იგი ხელს არ უშლის ძირითადი ჯვრის მკლავის მკვეთრი სურათის აღქმას.

განსახილველი ტიპის ძირითად კორპუსზე თითქმის ყოველთვის გვერდითი და დასავლეთის ფასადებზე ცალ-ცალკე მიშენებულია ხოლმე კარიბჭეები.<sup>1</sup> ამ მინაშენებს ხშირად ვხვდებით სამხრეთის ფასადზე, უფრო იშვიათად — დასავლეთისაზე და როგორც გამონაკლისი — ჩრდილოეთისაზეც. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მინაშენები იშვიათად გასდევს მთელ ფასადს, ისინი უფრო მოკლეებია, თუმცა არის შემთხვევა, როდესაც ისინი ფასადის ქვემო ნაწილს მთელ სიგრძეზეც ფარავს. ეს მინაშენები არ არღვევს ძეგლის მთლიანობას, პირიქით, ხელს უწყობს კიდევ მისი მთლიანობის აღქმას, თითქოს არბილებს კიდევაც ფასადების ერთიანი მთლიანი მასების სიმკაცრეს. ამდენად, კარიბჭეები ამ ტიპის ორგანულ ნაწილს წარმოადგენს.

კარიბჭეების საკითხის განხილვისას ისმება საკითხი; ისინი თავიდანვე ძირითად კორპუსთან ერთად იყვნენ თუ არა მოფიქრებულინი? ჩვენ ვნახეთ, რომ კარიბჭეები ტაძრების ძირითად კორპუს-

<sup>1</sup> შდრ. გ ბ ე რ ი ძ ე, ქართ. ხელოვნება, წიგნი 1, გვ. 105.

სებთან ერთად კომპაქტურ ნაგებობას ჰქმნის და არასოდეს ხორც-მეტად არ მოჩანს. ისინი ან ძეგლის ძირითად კორპუსთან ერთად შენდებოდა (ასეთ შემთხვევაში კედლები შეერთებულიცაა) ან არა და უშუალოდ მომდევნო მეორე რიგის სამუშაოს შედეგს წარმოადგენს. ასეთ შემთხვევაში ძირითადი კორპუსის დამთავრების შემდეგ, ხანდახან ცოტა მოგვიანებითაც, მიუშენებიათ კარბქები, მაგრამ აქაც, თუ ოსტატი უვიცი არ იყო, იშვიათად ირღვეოდა ნაგებობის საერთო კომპოზიცია.

როგორც ძეგლის აღწერისას ვნახეთ, ცაიშის ტაძრსაც ჰქონდა სამხრეთ ფასადზე მინაშენი, მაგრამ ჩვენ გარკვევით ვერაფერს ვიტყვით მასზე, რადგანაც დღემდე შენახული მონაცემები არ იძლევა ამის საშუალებას. ერთი რამ კი ცხადია: ეს სტოა, როგორც ეს აღწერაშიც აღვნიშნეთ, ძეგლის ძირითად კორპუსთან ერთად არ ყოფილა აგებული, ეკლესიის კედელზე არსებული მინაშენის კვალის მიხედვით ირკვევა, რომ მას ზოგადად ორსაფეხურიანი კომპოზიცია ჰქონია. სწორედ ასეთი მინაშენი იყო მოსალოდნელი ტაძრის აგების პერიოდისათვის.

ამ ტაძრის ტაძრებში შესასვლელების მოწყობა პრინციპული, სტილთან დაკავშირებული საკითხი იყო. ამ ტაძრის გუმბათოვან ტაძრებში შესასვლელები, როგორც წესი, ორი ან სამი კეთდებოდა (დღემდე ცნობილი ძეგლების შესწავლისას აღმოჩნდა, რომ თითქმის თანაბარ შემთხვევასთან გვაქვს საქმე), გამონაკლისს წარმოადგენს ფიტარეთის ძეგლი, რომელსაც მხოლოდ ერთი შესასვლელი აქვს სამხრეთით.

შესასვლელბის განლაგებას თითქმის ერთნაირი პრინციპულობა ახასიათებდა, როგორც ინტერიერის, ისე ექსტერიერის გადაწყვეტისას. ინტერიერის აღქმის საკითხში, სადაც საქმე გვაქვს შემსვლელზე ზემოქმედებასთან, შესამჩნევი როლი ენიჭებოდა იმას, თუ პირველ ნაბიჯიდანვე როგორ მიიღებდა შემსვლელი სივრცობრივ გადაწყვეტას და ცენტრისაკენ თანდათანობით სვლით აითვისებდა ინტერიერის კომპოზიციას.

ამ ეპოქის ძეგლების განხილვამ დაგვანახვა, რომ დასავლეთის შესასვლელი კეთდებოდა ჯვრის მკლავის ცენტრში (ცხადია, იყო ოდნავი გადახვევებიც, როგორც, მაგ.: საფარისა და ზარზმის შესასვლელების გადაწევა მარჯვნივ, მაგრამ ეს იყო გარეშე მიზეზებით გამოწვეული და ამდენად არ არის ტიპური). აქედან საკუთრთხვევლისაკენ სვლით თანდათანობით ძლიერდება მასათა თამაშით გამოწვეული პირველი შთაბეჭდილება, რასაც ხელს უწყობს განათების წყაროების კონტრასტული განლაგება: გვერდითი ნაწი-

ლები შედარებით ბნელია, ხოლო ცენტრი განათებულია მაღლა აზიდული კაშკაშა გუმბათით. რადიკალურად საწინააღმდეგოდაა გადაწყვეტილი გვერდითი შესასვლელები.

სხვადასხვა ეპოქის ოსტატებს სხვადასხვა ნაწილიდან შევყვართ ტაძარში: XIII—XIV საუკუნეების ოსტატები გაცილებით უფრო მარტივ გზას ირჩევენ, ვიდრე წინამორბედნი. XI—XIII სს. შესასვლელს გვერდითი, ნავის აღმოსავლეთ ნაწილში კრიანს, რის გამოც შესვლის მომენტში ინტერიერის ვერც ერთ ნაწილს ვერ ხედავთ თავისი მთლიანი სახით; თქვენს წინაა მრავალი, სულ სხვადასხვა მასშტაბის პლანი და მთლიანად აღქმის მოლოდინში აუცილებლად აღგებრებათ სურვილი სწრაფად წაიწიოთ წინ და საბოლოოდ ჩაწვდეთ ოსტატის ჩანაფიქრს. აღნიშნული შემთხვევის ილუსტრაციას წარმოადგენს სამთავრო, სამთავისი (გელათი, გეგმის თავისებურების გამო, გამონაკლისია), თიღვა, იკორთა, ლურჯი მონასტერი და სხვ.

ზემოაღნიშნული პერიოდის მომდევნო ხანაში, ე. ი. XII ს. ბოლოსა და XIII ს. დასაწყისში, ჩნდება ინტერიერის აღქმის ახალი ტენდენცია. თუ თავს გადავაგლებთ ამ პერიოდის ძეგლებს, ვნახავთ რომ პირველ ხანებში ჭარბობს საკითხისადმი ძველი მიდგომა (ზეთანია, ყინცვისი, ქვათახევი, ტომოთესუბანი, ახტალა, კოჯრის კაბენი, ჰუჯაბი და სხვ.), მაგრამ თანდათანობით შემოდის, ფეხს იკიდებს და საბოლოოდ მკვიდრდება საკითხის ახალი გადაწყვეტა. ამ დროს ოსტატებმა უარპყვეს წინამორბედთა რთული გზა და შედარებით მარტივ გზას დაადგნენ, — მათ შესასვლელი გადაიტანეს ჯერის გვერდითი მკლავის სივრცეში და მოათავსეს არა შუაში, არამედ ღერძის დასავლეთით (როგორც გამონაკლისი გვხვდება წულრულაშენში, იქ ჩრდილო კარი აღმოსავლეთითაა, მაგრამ ეს კონკრეტული გარემოებით უნდა იყოს გამოწვეული). აქედან მიღებული შთაბეჭდილება სულ სხვაა, ვიდრე წინა ძეგლებისა. შესვლისთანავე ხედებით გვერდებიდან და გუმბათიდან უხვად განათებულ სივრცეში, რაც გაცილებით აადვილებს სივრცის აღქმას. აღნიშნულის ილუსტრაციას ოზაანი, ფიტარეთი, წულრულაშენი, მეტეხი. ქართლს, მეტეხი თბილისის, საფარა, ზარზმა, ჰულე და მომდევნო ძეგლები წარმოადგენენ. ამ უკანასკნელ ჯგუფს მიეკუთვნება განსახილველი ცაიშის ტაძარიც.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ტაძარში შესასვლელის მოწყობის საკითხი ერთი ძირითადი საკითხთაგანი იყო ინტერიერის აღქმის საქმეში; რწმენით გამსჭვალულ მასაზე ტაძარში შესვლისას გრანდიოზულ სურათს თავისებური გავლენა უნდა მოეხდინა.

საშუალო საუკუნეების ცენტრალურ-გუმბათოვანი ტაძრების ევოლუციის განხილვისას უნდა შევეხოთ გამოწეული საკურთხეველს აფსიდისანი ძეგლების საკითხსაც, რამდენადაც განსახილველი ცაიშის ძეგლი, როგორ ვიცით, ამ კატეგორიის ძეგლებს ჯგუფს მიეკუთვნება.

როგორც აღწერისას აღვნიშნეთ, გამოწეული აფსიდი ნაყარნა-ხევია პირველი პერიოდის ძეგლის გადარჩენილი ფორმებით (შემოსვა და დეკორი კი მეორე პერიოდის მშენებლობას მიეკუთვნება). მეორე პერიოდის მშენებელ ოსტატს შეეძლო მისი მოშლა, მაგრამ მან იგი არ მოშალა, რადგანაც მისი პერიოდის მოთხოვნებს არ ეწინააღმდეგებოდა ასეთი ფორმა (ცხადია, აღნიშნულის გარდა იქნებოდა სხვა მიზეზებიც, როგორცაა: წმინდა „ნაკურთხი ადგილის“ ზღელშეუხებლობა, მისი უპირატესობა სხვა ახალ ადგილებთან, ნარჩენების მოშლით გამოწეული მატერიალური ზარალი და სხვ.).

ტაძრები გამოწეული საკურთხეველის აფსიდით ქართული არქიტექტურის განვითარების მთელს მანძილზე სხვადასხვა ჯანით და სხვადასხვა რაოდენობით გვხვდება. მაგრამ გამოწეული აფსიდისანი ტაძრები, ძირითადად, ადრინდელ-ფეოდალური ხანის დამახასიათებელია, იგი თანდათანობით ჰკარგავს წამყვანი ტიპის როლს და შემდეგში ორი სამკუთხა ნიშით ჩაჭრილი აღმოსავლეთის ფასადი ერთ სწორ ხაზზე ექცევა (თუმცა, შემდეგშიც ხანგამოშვებით ტრადიციით მეორდება ის ერთხელ შემუშავებული გამოწეული აფსიდის ფორმა).

X—XIII საუკუნეებში იყენებენ გამოწეულ აფსიდს, როგორც მსგავს, ისე პრინციპულად განსხვავებულ ვარიანტებში. ეს ითქმის როგორც აღმოსავლეთ (ნიქოზის მცირე ეკლესია, თბილისის ლურჯი მონასტერი, ოზაანის „ამალღება“, ტიმოთესუბანი, მეტეხი თბილისის და სხვ.), ისევე დასავლეთ საქართველოზედაც, სადაც ასეთი ძეგლები შედარებით მეტი რაოდენობითაა წარმოდგენილი (ისტორიული იმერეთი: გელათის დიდი და მცირე ტაძარი, ისტორიული სამეგრელო: ხობი, წალენჯიხა, ზუგდიდის მაცხოვრის ეკლესია, ნახარებაეო და ბოლოს აფხაზეთი: მოქვი, ლიხნე, ბზიფი, ალახაძე და სხვ.).

ზემოჩამოთვლილი სხვადასხვა დროისა და მხარის ძეგლები სხვადასხვა ფორმის აფსიდებითაა წარმოდგენილი. ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს მათი ანალიზი. ჩვენ მხოლოდ გვინდოდა აღგვენიშნა მათი არსებობის ფაქტი შუა საუკუნეებშიც.<sup>1</sup>

<sup>1</sup> აქ შეიძლება ერთი გარეშე დაკვირვებაც დავერთოთ, საქართველოს ტერი-

## 2. შინაგანი სივრცე

როგორც აღრევე აღვნიშნეთ, ცაიშის ინტერიერი რესტავრაციის შედეგად ისეთ მდგომარეობაშია, რომ არა გვაქვს საშუალება მთლიანად ვაწარმოოთ მისი შინაგანი სივრცის ანალიზი. ის მცირე, ღღემღე შემონახული ნაწილი კი შესაძლებლობას გვაძლევს ვაწარმოოთ მხოლოდ ნაწილობრივი ანალიზი.

ცაიშის ძეგლი შიგნით მთლიანად თლილი ქვის კვადრებით ყოფილა შემოსილი. ამან შეიძლება გვაფიქრებინოს, რომ იგი აღრეული ხანის ძეგლების მსგავსად არ ყოფილიყო განკუთვნილი შესაღესად და მოსახატად, მაგრამ ეს თითქმის შეუძლებელი უნდა იყოს, რადგანაც იმ ხანაში არქიტექტორს შინაგანი სივრცის გადაწყვეტა, მისი მთლიანობა, მხოლოდ მოხატვით წარმოედგინა.<sup>1</sup> დაახლოებით ცაიშის მსგავსადვეა შემოსილი საფარისა და ზარზმის ტაძრებიც. ამდენად, ტაძრის ასეთი სახით შემოსვა არც თუ ისე იშვიათი ყოფილა (არსებობს კიდევ რამდენიმე ძეგლი ასეთი შემოსვით, რომელიც ამ ხანას უნდა მიეკუთვნებოდეს, მაგრამ ისინი ჯერ საბოლოოდ დათარიღებული არ არის).

ცაიშის ძეგლის ინტერიერს კარგად შემონახულ ნაწილს საკურთხევლის მხარე წარმოადგენს. სამი სარკმლით კარგად განათებული საკურთხეველი ძირითადად ორი ნაწილისაგან შედგება: საკმაოდ გრძელი ბემისა და „ელიფსური“ მოყვანილობის აფსიდისაგან. უკანასკნელის კედელი ერთი საფეხურითაა გამოწეული ბემის კედლის სიბრტყიდან და კონქის თაღის ქუსლები რთული პროფილის კაპიტელებზეა დაყრდნობილი. აფსიდში სარკმლების ჯგუფის ორივე მხარეს საშუალო სიმაღლის ნიშები მოთავსებული. ამ ნახევარწრიული ნიშების შეწყვილებული ლილვაკით მოჩარჩობა მოგვაგონებს ზარზმის აფსიდში მოთავსებული ნიშების მოჩარჩობას. თუმცა მათ შორის განსხვავებაც დიდია იმ მხრივ, რომ ზარზმაში შეწყვილებული ლილვაკიანი ხუთი თაღი ერთიანია. ამავე დროს, ამ თაღედის კომპოზიციაში ჩაყოლებულა ერთადერთი სარკმელი და გვერდებზე ორი მალალი ნიშა. ცაიშის აფსიდის ასეთი გადაწყვეტის მიახლოებითი პარალელიც კი ჯერჯერობით ზარზმის გარდა არ გვეგულებება.

ცაიშის ინტერიერის შემორჩენილ ნაწილთაგან მორთულობის

---

ტორიაზე გამოწეული აფსიდიანი ძეგლების რიცხვი მატულობს აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ—აფხაზეთისაკენ.

<sup>1</sup> შდრ. გ. ჩუბინაშვილი და ნ. სევეროვი, ქართული არქიტექტურის გზები, გვ 83.

საინტერესო ელემენტს გუმბათის აღმოსავლეთის საყრდენი კუთხეების გადაწყვეტა წარმოადგენს. როგორც აღწერისას აღვნიშნეთ, ეს კუთხეები პილასტრებისა და ლილვების რთულ შენაერთს წარმოადგენს (სურ. 10). ეს კუთხის პილასტრები დამუშავებულია ჰორიზონტული გამყოფი ლილვებით და ამთავრებს დახვეწილი პროფილის მქონე კაპიტელი, ისევე როგორც ეს ვნახეთ გვერდის ნაწილის კედლის პილასტრებზე.

თუ შედარების მიზნით გადავხედავთ საშუალო საუკუნეების ძეგლებს, ვნახავთ, რომ ზემოაღწერილი ცაიშის საკურთხეველის კუთხეების გადაწყვეტის მსგავსი სისტემა გვაქვს ზარზმის ძეგლზე. ზარზმაში ამ სისტემაზეა აგებული არა მარტო საკურთხეველის კუთხეები, არამედ ამ ძეგლის გუმბათის ოთხივე საყრდენი. ცაიშისაგან განსხვავებით, აქ პილასტრების გამყოფი ჰორიზონტალური ლილვაკი მოცემულია ორ-ორი, შეწყვილებულად ერთ ჰორიზონტზე. ამ ორი ძეგლის აღნიშნული ელემენტების მსგავსება დიდია, რაც უდავოდ მიუთითებს ერთი და იმავე ეპოქის ოსტატთა შემოქმედებაზე. ზარზმის უწინარეს. აგებულ საფარის ძეგლზე ამ სისტემის წინა საფეხურია მოცემული: პილასტრები და კუთხის ლილვები მთელ სიმაღლეზე უწყვეტადაა მოცემული. როგორც ეტყობა, ჰორიზონტალური დაყოფა მომდევნო ეპოქის მიერაა შემუშავებული (საკურთხეველის, კუთხეების დამუშავების მიახლოებულ სურათს ვხედავთ, რამდენიმე ძეგლზე, მაგრამ მათ მრავალჯერ განუცდიათ გადაკეთება და ჯერჯერობით საბოლოოდაც არ არის შესწავლილი).

ცაიშის ძეგლის საკურთხეველის კუთხეებისა და გვერდითი კედლის პილონების გადაწყვეტა გვაფიქრებინებს, რომ იმავე პრინციპზე უნდა ყოფილიყო აგებული ძეგლის ჩვენამდე მოუღწეველი მონიშნული გუმბათქვეშა პილონებიც. ამ აზრსავე გვიკარნახებს შემომოყვანილი პარალელის, — ზარზმის ძეგლის განხილვაც.<sup>1</sup>

### 8. ფასადების მორთულობის სისტემა

აქაც უნდა შევნიშნოთ, რომ ძნელია წერა იმ ძეგლის ფასადების მორთულობის სისტემაზე, რომელსაც არ შერჩენია თავდაპირველი სახე. ცაიშის ტაძრის ავტორის მიერ შექმნილი ანსამბლი დარღვეულია. ერთწლიან მიწისძვრას შეუმუსრავი გადარჩენია მცირე

<sup>1</sup> რადგან ტაძრის ინტერიერში თავდაპირველი ნაწილები, ზემოაღნიშნულის გარდა თითქმის აღარ არის, ამიტომ დანარჩენ საკითხებს რეკონსტრუქციის დროს შევხებით.

ნაწილი, რომელიც საშუალებას გვაძლევს აღვადგინოთ ძეგლის კომპოზიციის ზოგადი სახე; ამის გარეშე არ მოხერხდებოდა განზრახული ანალიზი.

როგორც ძეგლის აღწერისას ვნახეთ, ყველაზე უკეთ გადარჩა აღმოსავლეთის ფასადი (ეს ასეც იყო მოსალოდნელი, რადგანაც თითქმის ყოველთვის მთელს ნაგებობაში საკურთხევლის მხარე ყველაზე მდგრად ნაწილს წარმოადგენს), გარდა ფასადის ჯვრის მკლავის ზედა ნაწილისა, რომლის აღდგენაც შედარებით ადვილია. დანარჩენი ფასადებიდან ნაკლებად დაზიანებულია სამხრეთისა; ჩვენამდე მოაღწია მთლიანად მისმა მარჯვენა ნაწილმა და მარცხენამ 1,5—2 მეტრის სიმაღლეზე, კარის ჩათვლით, უარქიტრაჟოდ; დასავლეთი ფასადის მდგომარეობა უფრო სავალალოა. აქ შერჩენილია მხოლოდ ცოკოლის მომდევნო ნაწილი ორ მეტრამდე, კარის ჩათვლით; ჩრდილო ფასადი ყველაზე მეტადაა დაზიანებული, აქ მხოლოდ ცოკოლია შერჩენილი და ზოგან წყობის ერთი-ორი რიგი.

ფასადების ეს შერჩენილი ნაწილები და აღდგენის დროს კედლებში ჩატანებული მორთულობის ცალკეული ელემენტები საშუალებას გვაძლევენ ისტორიულ ასპექტში გავიანზროთ ძეგლის მორთულობის სისტემის ზოგადი სახე, მოვახდინოთ მისი რეკონსტრუქცია (იხ. პროექტი) და ამის მიხედვით ცაიშის ძეგლს ქართული არქიტექტურის ევოლუციის გზაზე მოვუძებნოთ სათანადო ადგილი.

განზრახული ამოცანის განსაკუთრებული სირთულის გამო ჩვენ იძულებული ვართ მივმართოთ კვლევის შემდეგ მეთოდს: პირველად ორიოდე სიტყვით მოვხაზოთ ძეგლის მორთულობის ზოგადი სახე, შემდეგ გადავავლოთ თვალი საქართველოს საშუალო საუკუნეების არქიტექტურის ევოლუციას, რათა ზოგადად ნათელგყოთ ძეგლის ადგილი ამ ევოლუციაში და შემდეგ დავუბრუნდეთ ცაიშის მორთულობის კონკრეტულად განხილვას.

ცაიშის ძეგლის ყველა ფასადი (თვით აფსიდის შვერილის გარდა) წარმოადგენს ბრტყელზედაპირიან მასას, რომელზედაც განლაგებულია მორთულობის ცალკეული ელემენტები. მორთულობა ძირითადად თავმოყრილია კარ-სარკმლების ირგვლივ, ხოლო თუ განვიხილავთ მორთულობის კედლის სიბრტყეზე გამოსახვის წესს, ვნახავთ, რომ აქ ორ რადიკალურად განსხვავებულ მეთოდთან გვაქვს საქმე: მორთულობის უმრავლესობა კედლის ზედაპირზე რელიეფურად არის გამოსახული, დანარჩენი მცირე ნაწილი კი ფასადის სიბრტყეშია ჩაჭრილი, ე. ი. რელიეფი კედლის სისქეშია შექმნილი.

ქვემოთ ჩვენ ვნახავთ, რომ ასეთი ტიპი შენობისა შუა საუკუნეების მოგვიანო ხანას მიეკუთვნება.

როგორც მოსალოდნელი იყო, ქართულმა არქიტექტურამ მრავალსაუკუნიანი არსებობის მანძილზე განვითარების რამდენიმე საფეხური განვლო.

X—XI ს. მიჯნაზე უკვე ჩამოყალიბებულმა ამ ახალმა სტილმა მოგვცა ფასადების კომპოზიციის თავისებური გადაწყვეტა. ამ ხანაში, როგორც აკად. გ. ჩუბინაშვილი აღნიშნავს, „არქიტექტურის პირველ საზრუნავ საგნად იქცა ნაგებობის გარეთა გაფორმება“<sup>1</sup>; ხოლო ამ გაფორმებაში მთავარი ადგილი უჭირავს ფასადების თაღოვანი არეებით დამუშავებას. დეკორატიული თაღები, როგორც თვით სახელწოდება გვამცნობს, მოკლებული იყო არქიტექტონიკურ ფუნქციებს, რის გამოც იგი თანდათანობით იცვლება და ბოლოს სულ ქრება. ადრეულ ძეგლებზე იგი მთლიანად არ იყო მოკლებული ტექნიკრობას, — მაგ. ტბეთში. ამავე ნაგებობაში ვხედავთ მისი მოსპობის საწყის ნიშანს. მართლაც, თაღებს რომ კონსტრუქციული გამართლება არ ჰქონდა, ეს ნათლად ჩანს მისი შემდგომი განვითარების ერთ-ერთ სახეში, სადაც პილასტრების ღეროებმა გრეხილის სახე მიიღო; ამით ოსტატმა, ვ. ბერიძის სამართლიანი შენიშვნისა არ იყოს, „არკატურა გაათავისუფლა ყოველგვარი „საქმიანი“ მოვალეობისაგან“, და იგი იქცა მხოლოდ სამკაულად.

XI—XII საუკუნეების განმავლობაში თაღები თითქმის აუცილებელი ატრიბუტია როგორც გუმბათოვანი, ისე უგუმბათო ძეგლების ფასადების მორთულობაში. იგივე არ ითქმის მომდევნო ხანაზე.

XII—XIII საუკუნეების მიჯნაზე ფასადთა მორთულობის გაგებაშიც ითქვა ახალი სიტყვა. რამდენიმე ხნის განმავლობაში ახალი კომპოზიცია ებრძოდა ძველ, დრომოქმულ პრინციპებს და საბოლოოდ განდევნა იგი. ეს პროცესი ყველაზე მკვეთრად გამოვლინდა თაღების თანდათანობით, მაგრამ დაბეჯითებით უარყოფაში. ოსტატების მცირე პროცენტმა უცბად ვერ უარჰყო საუკუნეებრივი ტრადიციის და ეცადა მის ახლებურად გადამუშავებას,

<sup>1</sup> საშუალო საუკუნეების არქიტექტურული ძეგლების ფასადების მორთულობის საკითხი საკმაოდ კარგადაა გაშუქებული ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში და ამიტომ ჩვენ მასზე მხოლოდ ოდნავ შევიჩრდებით (იხ. გ. ჩუბინაშვილი და ნ. სეფეროვი. ქართული არქიტექტურის გზები, 1936 წ.; P. III м е р - л и н г. Самтавро.—памятник XI в. „ქართული ხელოვნება“, წ. 1, 1942 წ. ბერიძე. საგანე, იქვე, გვ. 98—99.



მაგრამ მაინც განწირული გამოდგა უკვე გადაგვარების ნიშნის მატარებელი თაღედი.

აღნიშნულ პერიოდში ტეხილი თაღედი, როგორც მორთულობის დროგადასული სისტემა, უკვე კანტიკუნტად გვხვდება, ისიც არა ყველა, არამედ მხოლოდ ზოგიერთ ფასადზე, ან ფასადთა ნაწილებზე. ასე მაგ. თაღედს ვხვდებით ქვათახევის ძეგლის მხოლოდ ჩრდ. ფასადის ცენტრალურ ნაწილში; კოჯრის კაბენის აღმ. ფასადზე (დანარჩენ ფასადებზე ვერაფერს ვიტყვი, რადგან მათი ფოტოსურათიც არ შეგვრჩენია); ქართლის მეტეხის გვერდითი და დასავლეთის ფასადების ჯვრის მკლავების მხოლოდ ზედა ნაწილებში; თბილისის მეტეხის (1278—1289 წ წ.) დასავლეთ ფასადის ჯვრის მკლავის აწეულ ნაწილში, როგორც გადანაშთი და ხობის ძეგლის დასავლეთ ფასადზე. ამ მომენტიდან ფასადების თაღედით დამუშავების ყოველგვარი სახე საბოლოოდ განიღვენა და ქართველი ოსტატი მას აღარასოდეს დაბრუნებია.

განვითარების ამ ეტაპზე, ე. ი. XII ს. ბოლოსა და XIII ს. დასაწყისში, ფასადები თითქოს „შიშვლდებოა“. ზუსტად მორგებული თლილი ქვის კვადრებით აწყობილ სწორ ზედაპირზე თითქოს მორთულობის „ლაქებია“ დადებული. ხუროთმოძღვარი განსაკუთრებული ოსტატობით იყენებს ამ „შიშველ მასებს და მასზე მხოლოდ ცალკეულ აქცენტებს აკეთებს. — ამ შემთხვევაში ფასადების მორთულობის კომპოზიცია ძირითადად შექმნილია კარ-სარკმლების მოკაზმულობისა და აღმოსავლეთის ნიშების დამუშავებით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უპირატესობა მოიპოვა ფასადებზე დეკორატიული ჯვრის გამოსახულებამ. თუმცა ასეთი ჯვარი უშუალოდ ამ ეპოქას არ შეუქმნია, მაგრამ სრულუფლებიანი და დამოუკიდებელი იგი მხოლოდ ახლა გახდა.

აქვე უნდა შევეხოთ ფასადებზე მორთულობის გამოსახვის ახალ მეთოდს, რაც გამოიხატება მორთულობის რელიეფის შექმნაში კედლის სიბრტყეში.

ეს ახალი მეთოდი, როგორც შესამჩნევი ხაზზე, პირველად XIII ს. დასაწყისში გვხვდება; შემდეგში, XIII საუკუნის ბოლოსა და XIV ს. პირველ მეოთხედში იგი „აქტიურ კიდილშია“ ძველ ტრადიციასთან, სძლევს მას და მომდევნო ხანებში საბოლოოდ უფლებამოსილი ხდება.

თვალი რომ გადავაელოთ უფრო ადრეულ პერიოდსაც, ვნახავთ, რომ XI—XII საუკუნეებში ფასადების მორთულობის ყოველი სახე, როგორც წესი, კედლის სიბრტყის ზემოთაა; XIII ს. დასაწყისიდან სურათი იცვლება: ამ საუკუნის პირველი ნახევრის ძეგლებ-

ში ჯერ ზოგიერთი სარკმლის მოჩარჩოება ჩადის კედლის სიბრტყეში (ეს შემთხვევა რამდენიმე ძეგლზე თითო-ორიოლა მაგალითითაა გამოვლენილი და ამიტომაც იგი თითქოს შეუმჩნეველიც ხდება). ასეთადაა წარმოდგენილი ახტალის აღმოს. ფასადის ნიშების სარკმლები, კოჯრის კაბენის ნიშების ქვედა რიგის სარკმლები და ქართლის მეტეხის ჩრდ. სარკმლის მხოლოდ საპირე. სხვა ძეგლებზე ეს მეთოდი არ არის გამოყენებული, მაგრამ, როგორც ეტყობა, გამოსახვის ეს ხერხი თავისთავში ატარებდა ეპოქის ტენდენციის მძლავრ ნიშნებს. წინააღმდეგ შემთხვევაში ის ვერ „დაიპყრობდა“ მომდევნო საუკუნეებს.

XIII საუკუნის მეორე ნახევარში ამ სისტემის გავრცელების დიაპაზონის წარმოსადგენად გვაქვს რამდენიმე ძეგლი. ერთი მათგანია თბილისის მეტეხი, რომლის დეკორის უმრავლესობამ ვერ მოაღწია ჩვენამდე, მაგრამ გადარჩენილ ნაწილებში ერთგან, სახელობრ, ჩრდილო აფსიდის სარკმლის საპირეში მაინც ჩანს აღნიშნული ტენდენცია, იმავე დროის მეორე ძეგლია ცაიშთან ახლო მდგარი ხობის ეკლესია, რომლის ოსტატმა გვერდი აუარა ამ ახალ ხერხს.

მომდევნო პერიოდის სამცხე-საათაბაგოს სამი დიდი ძეგლის ოსტატები უხვად იყენებენ ამ მეთოდს. ამ ძეგლებიდან ქრონოლოგიურად პირველის — საფარის (1380-იანი წ-ბი) ფასადების ოთხი მთავარი სარკმლიდან სამის მორთულობა კედლის სიბრტყეშია ჩაქრილი; აქედან, ჩრდ. სარკმელი — ჯვრით, აღმოსავლეთისა — მთლიანად, ხოლო სამხ. — მხოლოდ საპირეა ჩაქრილი კედლის სიბრტყეში. მეორე — ზარზმის (XIV ს-ის დას.) ძეგლზე დასავლეთის ცენტრალური სარკმლის მორთულობა კედელშია მთლიანად ჩამოგდარი, სამხრეთისაზე კი — მხოლოდ საპირე. მესამე, ქულეს ძეგლზე (1381 წ.), ორივე ხერხია გამოყენებული, მაგრამ ახალი მეთოდი გაცილებით სჭარბობს ძველს. ასე, მაგ., ჩრდილო და აღმოსავლეთის ფასადების სარკმლები მთლიანადაა ჩაქრილი, ცალკეული ორნამენტული კომპოზიციებიც გასწორებულია კედლის ზედაპირთან, ხოლო გუმბათის ყელის სარკმლები მოჩარჩოებით კედლის სიბრტყეშია ჩაქრილი, რაც საფარაში და ზარზმაშიც არ ყოფილა შემჩნეული.

ამ მეთოდის „საუკუნოებრივმა ბრძოლამ“ თითქოს თავისი გარტანაო და დაბის (1333 წ.) ძეგლი ამ პროცესის ლოდიკურ დამთავრებას წარმოადგენს.<sup>1</sup> აქ ფასადების ყოველი სახის მორთუ-

<sup>1</sup> Р. Шмерлинг — Постройка Моларетухунеса царя Георгия Блггстательного в сел. Даба, Боржомского района, „ქართული ხელოვნება“, ტ. 2, თბილისი, 1948, გვ. 111—122.

ლობა უკლებლივ კედლის სიბრტყეშია ჩაქრილი (მომდევნო ხანის შესახებ გარკვევით ვერაფერს ვიტყვით, სათანადო მასალების უქონლობის გამო, მაგრამ სავარაუდებელია, რომ ეს პრინციპი უნდა ყოფილიყო გავრცელებული).

ჩვენ მოვხაზეთ XI-XIV საუკუნეების ძეგლების ფასადების მორთულობის სისტემა, რათა განსახილველი, უთარილო ცაიშის ობიექტისათვის მოგვეძებნა ადგილი, ამ ეპოქის ხუროთმოძღვრების ევოლუციის გზაზე. ზემოთ წარმოებული მიმოხილვის შედეგად უფლება გვეძლევა განვაცხადოთ: ყოვლად შეუძლებელია, რომ ცაიშის ძეგლი ეკუთვნოდეს XI-XII საუკუნის ან XIII ს. პირველი ნახევრის რიცხვმრავალ ძეგლთა ჯგუფს; იგი ვერც თბილისის მეტეხისა და ხობის აგების ხანის შემოქმედებად ჩაითვლება; ამავე დროს იგი ვერავითარ შემთხვევაში ვერ ასცილდება დაბის ტაძრის აგების ხანას. მაშ, ცაიშის ტაძრისათვის გვრჩება დროის ის ინტერვალი, რომელიც ერთმანეთისაგან ყოფს ერთის მხრით თბილისის მეტეხს (1278—1289 წწ.) და ხობს, მეორეს მხრით — დაბას (1333 წ.).

ცაიშის ძეგლის ასეთი დათარიღებამდე მიგვიყვანს ქვემოთ მოყვანილი ფასადების ცალკეული მორთულობის ანალიზი და ორნამენტაციის განხილვა.

ასეთი ზოგადი მიმოხილვის შემდეგ გადავდივართ უშუალოდ ძეგლის ფასადების დეტალურ ანალიზზე.

როგორც აღვნიშნეთ, ცაიშის ფასადები ძირითადად წარმოადგენენ ბრტყელ, ერთიან ზედაპირს, რომლებზედაც მორთულობის აქცენტი დასმულია ძირითადად კარ-სარკმლების ირგვლივ. იქვე აღნიშნული იყო, რომ ცაიშის ფასადებზე გვაქვს მორთულობის გამოსახვის ორი ხერხი, ორი სახე. ერთი — როდესაც დეკორის უმრავლესობა კედლის ზედაპირის ზემოთაა, ხოლო მეორე, როდესაც მცირე ნაწილი კედლის სიბრტყეშია ჩაქრილი. ცაიშის ტაძრის მორთულობიდან ამ უკანასკნელ ჯგუფში შედის: აღმოსავლეთ ფასადის საიდუმლო ოთახების წრიული სარკმლები; აფსიდის ჩრდილო სარკმლის საპირე (რომელიც ცოტათი დაქანებულია შიგნითკენ); დასავლეთ ფასადის დიდი რელიეფური კომპოზიცია მოჩარჩოებით და ამავე ფასადის მთავარი სარკმლის შერჩენილი ნაწილიც (მისი შიდა საპირე 45°-თაა დაქანებული).

კედლის სიბრტყეში მორთულობის სხვადასხვა ელემენტების ჩაქრის ასეთი სიმრავლე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, XIII ს. უკანასკნელ ათეული წლებზე ადრე არ არის მოსალოდნელი.

სამწუხაროდ, ძეგლის გუმბათის ყელს თავისი პირვანდელი

სახით არ მოუღწევია ჩვენამდე და ამიტომ ვერაფერს ვიტყვით მისი მორთულობის სისტემაზე.

ცაიშის გვერდითი და დასავლეთის ფასადთაგან უკეთ შემონახულია სამხრეთისა. თუ ეპოქის სტილის თავისებურებიდან გამომავალთ, მაშინ ფასადის მორთულობა უნდა წარმოვიდგინოთ შემდეგნაირად: ფასადის ბრტყელი ზედაპირი და ცენტრალურ ნაწილში განლაგებული სამი ელემენტი. თავისთავად ეს სამი ელემენტი ასე წარმოგვიდგება: ქვემოთ — კარი თაღოვანი მოჩარჩოებით, შუაზე — სარკმელი შეწყვილებული გრეხილოვანი მოჩარჩოებით და მის ზემოთ — დეკორატიული ჯვარი. ამ ელემენტების აღსადგენად თითქმის ყველაფერი გვაქვს, — კარი და მისი მოჩარჩოება თაღის ქუსლამდე ადგილზეა, ხოლო ზედა ნაწილის აღდგენა დასავლეთი კარის მიხედვით შეგვიძლია; ფასადის ჯვრის მკლავის შუაზე მოთავსებული სარკმელი თუმცა ფასადის აღდგენილ ნაწილშია, მაგრამ იგი მთლიანად პირველადი ნაწილებისაგანაა აღდგენილი; რაც შეეხება მის ზემოთა დეკორატიულ ჯვარს, ჩვენ ვფიქრობთ, მის წარმოსადგენად საკმაო მონაცემები გვაქვს. მისი ფრაგმენტები გამოყენებულია კედლების შემოსილობაში (დეტალურად ფასადის აღდგენის საკითხზე იხ. „რეკონსტრუქციაში“).

ფასადების ასეთი კომპოზიცია XIII ს. მიწურულამდე არ არის მოსალოდნელი. სხვა მაჩვენებლებს რომ თავი დავანებოთ, საკმარისია ისიც, რომ საერთოდ ჯვრის მკლავში მოთავსებული ერთ-სარკმლიანი ფასადები პირველად გვხვდება XIII ს. პირველი ნახევრის ძეგლებში, ისიც მხოლოდ წულრუშაშენის ძეგლზე<sup>1</sup> (აქაც მხოლოდ გვერდითი ფასადებზეა ასეთი მდგომარეობა. დასავლეთისაზე კი ორი სარკმელია, შუაში მაღალი ჯვრით); XIII ს. ბოლოსა და XIV ს. ძეგლებზე (საფარა, ზარზმა, კულე) ასეთი მორთულობა თითქმის სავალდებულო კომპოზიციას წარმოადგენს. ცაიშის ფასადის მარცხენა ნაწილში მოთავსებული მრგვალი სარკმელი არ ეწინააღმდეგება ამ დროის ფასადების მორთულობის პრინციპებს.

მთლიანად ამ ფასადის სიბრტყეს ამთავრებს მაღალი ორნამენტირებული კარნიზი, რომლის პროპორციებიც საკმაოდ კარგად ეწყობა ფასადისას (ჯვრის მკლავის კარნიზი მთლიანად ახალია).

ასეთივე კომპოზიციით წარმოგვიდგება ძეგლის ჩრდილო ფასადიც. მისი ცალკე ანალიზი შეუძლებელია, რადგანაც თავდაპირველი თითქმის არაფერია შერჩენილი.

<sup>1</sup> კ. ზაქარაია, წულრუშაშენი, თბილისი, 1952, სურ. 13—16, ტაბ. XII—XVI.

სამსაფეხურიან მაღალ ცოკოლზე აღმართული დასავლეთ ფასადის ვრცელი ზედაპირი კომპოზიციურად დაყოფილი უნდა ყოფილიყო სამ ვერტიკალად (იხ. ფასადი და მისი რეკონსტრუქცია), სადაც სიმძიმის ცენტრი ცენტრალურ ღერძზე გადადიოდა. სამნაწევრიანი კომპოზიცია ესატყვისება როგორც შინაგანი სივრცის განლაგებას, ისე თვით ფასადის დანაწევრებასაც, — ჯვრის შუა აწეულ მკლავს და გვერდით დაბალ-ნაწილებს. ცაიშის დასავლეთის ფასადის კომპოზიციის ასეთი სახის პარალელი არ გაგვაჩნია, მაგრამ ფასადის სამნაწევრიანობა, — სამღერძიანობა, პრინციპში უფრო ადრეც იყო მიღებული (ასეთი კომპოზიციით არის წარმოდგენილი კერძოდ ზარზმისა და ქულეს ძეგლებიც).

დასავლეთის ფასადის მორთულობის ძირითადი ელემენტებიც კარ-სარკმლების საპირეებია, რომელთა დამატებანს ცალკეული ორნამენტოვანი კომპოზიციები შეადგენს. ცენტრალურ ღერძზე ასხმულია სამი, საკმაოდ დიდი ზომის სხვადასხვა ელემენტი: შესასვლელი, სარკმელი და რელიეფოვანი კომპოზიცია. შესასვლელი მარტივ პროფილიანი თაღოვანი მოჩარჩოებითაა, ხოლო თაღის ირგვლივ სამკუთხური განლაგებით დასმულია მოზრდილი კოპები. ღრმად ჩაფარდნილი შესასვლელის ტიმპანი დაუმუშავებელია (დღეს იგი შელესილი და მოხატულია). შესასვლელის ზემოთ ორმაგი საპირიანი ორნამენტირებული სარკმელია გვერდებზე ცალკეული კომპოზიციებით. ფასადის ფრონტონში ვხედავთ ბარელიეფს, რომლის მოჩარჩოებასაც სამკუთხა დამთავრება აქვს. ეს ბარელიეფი მთლიანად კედლის სიბრტყეშია ამოჭრილი. გვერდითი დაწეული ნაწილები სიმეტრიულად განლაგებული ორორი სარკმლისაგან შედგება. ქვედა ჰორიზონტზე მოთავსებულია ორმაგი გრეხილით მოჩარჩოებული და ორნამენტოვანი საპირიანი მაღალი სარკმლები; ზედა ჰორიზონტზე უნდა ყოფილიყო ორნამენტოვანი არშიებიანი პატარა წრიული სარკმლები (ვინაიდან ფასადი მეტისმეტად დაზიანებულია; ამიტომ ვჯერდებით ზემოთქმულს).

საფეხურიან ცოკოლზე აღმართული აღმოსავლეთის ფასადი, როგორც რამდენიმეჯერ აღვნიშნეთ, ძეგლის ყველაზე რთულ ნაწილს წარმოადგენს.

ცაიშის ოსტატს ხაზის გასმა განუზრახავს საკურთხეველისათვის. ამ მიზნით იგი იძლევა მეტად თვალსაჩინო კონტრასტს: ფასადის სწორი ზედაპირი და მისი გამოწეული ნაწილი დამუშავების მხრივ რადიკალურად განსხვავდება ერთმანეთისაგან. არქიტექტორს ფასადის სწორი ზედაპირისაგან შეუქმნია ფონი აფსიდის შევირლისა-

თვის, — სწორ ნაწილს იგი რთავს აუცილებელ ელემენტთა უმნაშენელო დეკორით, აფსიდას კი საზეიმოდ ამკობს.

დამჯდარი პროპორციის მქონე შეიდგვერდა აფსიდის შვერილი დამუშავებულია ხუთი თალით, სადაც მკვეთრად ხაზგასმულია აფსიდის ცენტრი. ცენტრში კვარცხლბეკზე შემდგარი მაღალი სარკმელი თაღოვანი არშიითაა შემოფარგლული. მოსაზღვრე გვერდებზე მდებარე სარკმლები შედარებით მცირე ზომისაა და წახნაგების შემომსაზღვრელი თაღებიც უფრო დაბალია. მათზე უფრო დაბალია მომდევნო თაღები და არეებიც დაუმუშავებელია. მათგან მხოლოდ სამხრეთისაზეა დიდი ორნამენტული როზეტი. კიდურა წახნაგებს არც თალი აქვს და არც დეკორის სხვა ელემენტი.

აფსიდის გვერდების სიგანე ცენტრიდან ბოლოებისაკენ თანდათანობით კლებულობს. ასევე, ცენტრიდან ორივე მიმართულებით დაბლდება თაღებიც; ცენტრალური თალი თითქმის კარნიზს ებჯინება, მაშინ როდესაც დანარჩენი შესამჩნევადაა მისგან დაცილებული. ამავე დროს მრავალგვერდას ყოველი წახნაგი ცალცალკეა დამუშავებული; მორთულობა როდია შექმნილი თაღების უწყვეტი სისტემისაგან, არამედ ყოველ არეს ჰქმნის ცალცალკე ბაზებზე შემდგარი შეწყვილებულ ლილვებზე აღმართული თალი. პილასტრებს შორის თავისუფლადაა დატოვებული ჩაჭრილი წიბო, რომელთა ზედა ნაწილზეც, თაღებს შორის, სხვადასხვა ზომის ორნამენტოვანი კოპია დასმული.

უნდა შევნიშნოთ, რომ აფსიდის როგორც თაღედი, ისე საერთოდ მორთულობა, მოკლებულია სიმკვეთრეს, დახვეწილობას; თაღები უფორმო წრეა, ზოგი კოპი თითქოს ცომისგან იყო გაკეთებული და გაჭყლეტილაო.

თუ გადავხედავთ საშუალო საუკუნეების ძეგლებს და ცაიშის გამოწეული აფსიდის დამუშავების ანალიზისათვის ანალოგიების მოძებნას შევეცდებით, ვნახავთ მხოლოდ ორ ძეგლს: გელათსა (აგებული დავით აღმაშენებლის მეფობის უკანასკნელ ხანაში) და ხობს. მხოლოდ, რადგანაც გელათისა და ცაიშის ტაძრების დამუშავება ძალიან მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისგან, ამიტომ მათ შორის პარალელის გავლება საჭიროდ არ მიგვაჩნია. რაც შეეხება ხობის ძეგლს, აქაც განსხვავება დიდია, მაგრამ ქრონოლოგიურად იგი უფრო ახლოს უნდა იყოს ცაიშის ძეგლთან. გარდა ამისა, ისინი ტერიტორიალურად ძალიან „ახლო მეზობლები“ არიან. ამიტომ საჭიროა მათ შორის პარალელის გავლება.

ხობის ძეგლის აღმოსავლეთი ფასადის დამუშავებაც კონტრასტ-

ზეა. აგებული. კედლის სწორი ზედაპირის სადა-ფონზე მრავალფეროვნად დამუშავებული გამოწეული აფსიდისათვის ოსტატს სადღესასწაულო იერი მიუცია; მალა აზიდული ხუთგვერდა აფსიდი მკვეთრი და სხარტი ფორმებითაა წარმოდგენილი, თითოეულ წახნაგის წიბოები მთელს სიმაღლეზე, ცოკოლიდან სახურავამდე, მკვეთრადაა გამოვლენილი; ცაიშში, პირიქით, წიბოები თითქმის უგულვებელყოფილია და იმდენად ღუნედაა მოცემული, რომ კოპების ჰორიზონტის ზემოთ მათ შორის საზღვრებიც კი იკარგება, რის გამოც კარნიზი თითქმის წრიულ ლენტას წარმოადგენს. ხობში ტექნიკურად ზუსტად შესრულებული თაღედი უწყვეტია, ე. ი. მოსაზღვრე თაღები ერთ იმპოსტზე ეყრდნობა და წიბოზე გაყოლებულ ორმაგ პილასტრებზე გადადის, ცაიშში კი ყოველი თალი საკუთარ იმპოსტებს ეყრდნობა და საკუთრივ პილასტრებზე გადადის და ამიტომაც აქ ყოველ წიბოს ორივე მხრით გასდევს მისგან დაშორებით განლაგებული შეწყვილებული პილასტრების ორი ჯგუფი. ხობში კიდური წახნაგებიც მოქცეულია მთლიან თაღედში, მხოლოდ თაღები კედლის კუთხესთან დაყრდნობილია იმპოსტებზე. ცაიშში კიდური წახნაგები დაუმთავრებელის შთაბეჭდილებას სტოვებს, რადგან ცალ მხარეს გვაქვს სხვა წახნაგების ანალოგიურად შეწყვილებული პილასტრი კაპიტელით, მაგრამ უთალოდ. ხობის თაღედი მთლიანად ერთი სიმაღლისაა და უშუალოდ კარნიზს ებჯინება, ცაიშში კი თაღედი ცენტრიდან კუთხეებისაკენ დაღმავალი სისტემითაა მოცემული. ორივე ძეგლში გამოწეული აფსიდის ცენტრალურ ნაწილს ხაზი აქვს გასმული სამი სარკმლის კონცენტრაციით, მაგრამ ხობში ყველა სარკმელი ერთი ტიპისაა, ცაიშში კი — სხვადასხვაა. ორივეგან შუა სარკმელი ლილვაკებიან კვარცხლბეკზეა შემდგარი. ცაიშში კოპები ქარბადაა, ხობში კი სრულიად არაა გამოყენებული. ხობში თაღედის იმპოსტები და ბაზები რთული ელემენტებისაგან შედგება; ცაიშში კი გაცილებით მარტივია; იქ ნამდვილი „სამაჯურების“ სისტემაა, აქ კი მას ოსტატი კატეგორიულად უარყოფს; ხობში ბაზისებისა და იმპოსტების ბურთობებში „გადატეხილი“ ფორმა იშვიათადაა ნახმარი და როგორც ეტყობა იგი ჯერ ახალი სახეა, ცაიშის ძეგლის მორთულობა კი მთლიანად ამ სისტემაზეა აგებული.

ასეთია ზოგად ხაზებში ამ ორი მეზობელი ძეგლის აფსიდების მორთულობის მსგავსება და განსხვავება. დეტალებზე აქ არ შეეჩერდებით, მათ საჭიროებისამებრ ქვემოთ მოვიყვანთ.

ჩვენ ზემოთაც აღვნიშნეთ, რომ ცაიშის მრავალგვერდას თაღედი არ არის წარმოდგენილი უწყვეტი სისტემით, ე. ი. ყოველ

გვერდზე გვაქვს თავისთავში ჩაკეტილი თალი, რომელთა შორის ვხედავთ თავისუფალ წიბოს. ცოტათი უნდა შევჩერდეთ ამ წიბოს დამუშავების საკითხზე, რადგანაც ამაშიც ჩანს განსაკუთრებული ზანა და ამდენად იგი ძეგლის დამთარილებელ მომენტსაც შეიცავს.

როგორც ნათქვამი იყო, ცაიშის აფსიდის პრინციპზე აგებულ და თაღედით დამუშავებულ მასას, სხვა ძეგლებზე მხოლოდ ორგან ვხვდებით, მაგრამ რადგანაც ანალიზის სწარმოებლად მარტო ესენი არ კმარა, ამიტომ იძულებული ვართ მივმართოთ პრინციპში მსგავს მასას — გუმბათის ყელს. ეს უკანასკნელი შედარებით ბევრია შერჩენილი და სურათიც უფრო თვალსაჩინო გახდება.

ჩვენ არ შევეხებით XIII ს. პირველ ნახევრის ძეგლებს, რადგანაც იქ ჩვენ პარალელები არ მოგვეპოვება, ხოლო, ამავე საუკუნის მეორე ნახევრისა და მომდევნო ხანის ძეგლების უმრავლესობა პირდაპირ ან ნაწილობრივ ამ სურათის ილუსტრაციას წარმოადგენს.

XIII ს. მეორე ნახევრის ერთადერთ დამთარილებულ ძეგლს, — თბილისის მეტეხს, გუმბათი არ შერჩენია, მაგრამ ამ პერიოდისათვის გვაქვს ხობის ძეგლი, რომლის აფსიდთან ზემოთ გავატარეთ პარალელი და აღვნიშნეთ, რომ ხობის აფსიდის თაღედი უწყვეტია, ე. ი. თაღედის იმპოსტებისა და ბაზისების ვერტიკალზე წიბო არ ჩანს და მასზე გადადის შეწყვილებული პილასტრი. ასეთი ტიპის თაღედის გამოყენებაში ეს ძეგლი, ჩვენთვის დღემდე ცნობილ ძეგლებიდან ქრონოლოგიურად უკანასკნელ შემთხვევას წარმოადგენს.

XIII ს. მიწურულსა და XIV ს. დასაწყისში სურათი იცვლება. წინა ეპოქებთან განსხვავებით, ამ დროს ძეგლების უმრავლესობის გუმბათის ყელი პრიზმულ მასას წარმოადგენს და, რაც მთავარია. პრიზმის წახნაგების დამუშავება საბოლოოდ შორდება ერთმანეთს; ამ ხანიდან თაღედი წყვეტილია და გადაბმული, ერთიანი თაღედის სისტემას ქართველი ოსტატი არასოდეს არ უბრუნდება. სწორედ ამ პერიოდში უნდა ვეძიოთ ცაიშის აფსიდის თაღედის სისტემის ანალოგიები.

ამ პერიოდის სამცხე-საათაბაგოს სამი დიდი გუმბათოვანი ძეგლი, მიუხედავად მათი ერთმანეთთან ქრონოლოგიური და ტერიტორიალური სიახლოვისა, იძლევა გუმბათის ყელის გადაწყვეტის ერთ პრინციპზე დამყარებულ სამ განსხვავებულ სახეს. ამათგან გუმბათის ყელის დეკორის გადაწყვეტის ახალ სისტემას პირველად საფარა გვაძლევს. მისი მაღალი და განიერი გუმბათის ყელი თექვსმეტწახნაგოვანია. თითოეული წახნაგი ცალ-ცალკეა დამუშავებუ-



ლი თაღოვანი არეებით, ხოლო წახნაგების საზღვრები, — წიბოებო თავისუფალია ყველაფრისგან, თვით კოპებისაგანაც კი, კოპები მოთავსებულია თაღების ზემოთ ღერძზე.

ზარზმის ძეგლი, საფარასთან შედარებით ამ სისტემის განსხვავებულ სახეს გვაძლევს. საფარა და ზარზმა ერთმანეთისაგან პროპორციებითაც განსხვავდება: საფარისა მაღალია, ზარზმისა კი „დამჯდარი“ პროპორციისაა. ზარზმაშიც გუმბათის ყელი წახნაგოვანიათითოეული წახნაგი ცალ-ცალკე თაღოვანი არეებითაა დამუშავებული, მაგრამ წიბოები, საფარასგან განსხვავებით, განსაკუთრებული ფორმითაა მოცემული: წიბო დამატებით გაფორმებულია სამკუთხა გეგმის მქონე, ორფერდა შვერილით, რომელთაც თაღების ზედა პორიზონტის დონეზე წერტილები უზით მონაცვლეობით კოპი და კვადრატული ზედაპირის მქონე მასა. წახნაგოვანი დამუშავების სწორედ ასეთ სისტემასთან გვაქვს საქმე ცაიშშიც, იმ განსხვავებით, რომ ცაიშში წიბოების ორფერდა დამუშავება ყველგან თანაბარი სიძლიერით არ არის გამოვლენილი, თანაც აქ ორფერდას ზემოთ ყველგან კოპია (ზარზმაში კოპები და კვადრატებია). წიბოც ცოკოლამდე დადის მაშინ, როდესაც ზარზმაში მომიჯნავე ბაზისების კვადრატული ნაწილები ერთმანეთს მჭიდროდ უერთდება და სწორედ ამ შეერთებაზე ეყრდნობა ორფერდა შვერილი.

ამ სისტემითვეა აგებული ზარზმის სამრეკლოს ზედა სართულის წიბოებიც. გუმბათის ყელის ზარზმის სისტემით დამუშავების სხვა მაგალითი ჯერ ჩვენ არ ვიცით.

ზემოთ დასახელებული ჯგუფის მესამე — ჰუღეს ძეგლის გუმბათის ყელი რადიკალურად განსხვავდება ორივე წინა ძეგლისგან. ჯერ ერთი გუმბათის ყელი ცილინდრულია და, რაც მთავარია, თითქოს დასრულდა საფარაში შემჩნეული ტენდენციის: გუმბათის ყელის თაღები გაჰქრა, მორთულობა სარკმლის გარშემო გადავიდა და სრულიად დამოუკიდებელ ელემენტად იქცა.

როგორც ვნახეთ, ცაიშის აფსიდის თაღების გადაწყვეტაც სწორედ საფარასა და ზარზმის ძეგლზე აღნიშნულ სისტემას შეეფერება, ამიტომ იგიც ქრონოლოგიურად მათ წრეში უნდა მოვაქციოთ, მაგრამ, ცხადია, ცაიში ზარზმასთან უფრო ახლოს დგას, ვიდრე საფარასთან.

ამავე ფასადის ერთ-ერთ საყურადღებო ელემენტს სარკმლების მორთულობა წარმოადგენს. მთელს ფასადზე სხვადასხვა ზომისა და ფორმის შვიდი სარკმელია. ამათგან სამი — აფსიდის ცენტრალურ წიბოებზეა, ხოლო ორ-ორი ფასადის გვერდით სწორ ნაწი-

ლებზე ვერტიკალურადაა განლაგებული (ქვემოთ დიდი და ზემოთ პატარა წრიული).

ყველაზე მაღალი და უკეთ მორთულია აფსიდის ცენტრალური სარკმელი (ტაბ. X). იგი შემკულია ფართო ორნამენტირებულ საპირითა და შეწყვილებული ლილვაკით. თაღოვან ლილვაკს მხოლოდ ბაზისები აქვს. ქვედა, ჰორიზონტალური ორი ლილვაკის შუიდან ვერტიკალურად ეშვება სამი ლილვაკი („ვერტიკალური“ პირობითი თქმაა, თორემ სინამდვილეში მას გეზი მარჯვნივ აქვს მიმართული) და ეყრდნობა ცოკოლზე აღმართულ სწორკუთხედს. სარკმლის ეს სურათი მთლიანად ისეთ შთაბეჭდილებას ქმნის, თითქოს იგი კვარცხლბეკზეა შემდგარი. „კვარცხლბეკზე შეყენებული სარკმელი“ პირველად XII ს. ბოლოში გვხვდება (წყვანე საყდარი, ბეთანიის მცირე ეკლესია, ასევე XII—XIII ს. მიჯნის „მაღალაანთ ეკლესია“, 1213—1222 წწ. დმანისის დას. კარბქე და სხვ.). მაგრამ მისი წარმოშობა, ჩვენი აზრით, უნდა დაუფკავშიროთ აღრევე შემქმნილ ტრადიციას, რომლითაც მუშავდებოდა აღმოსავლეთ ფასადის ცენტრალური ღერძი (ამგვარად დამუშავებული ღერძი პირველად სამთავისის ტაძარზე გვაქვს. მომდევნო ხანაში კი—იკორთა, ქვათახევი, კოჯრის კაბენი, ახტალა, ყანჩაეთის კაბენი და უფრო გვიან თბილისის მეტეხი). ჩვენი შემთხვევის უშუალო პარალელი კი გვაქვს XIII ს. მეორე ნახევრის ხობის ძეგლზე. აქაც აფსიდის შუა სარკმელი კვარცხლბეკზეა შემდგარი. უნდა შევნიშნოთ, რომ ხობის ოსტატი განსაკუთრებული გატაცებით ამუშავებს სარკმლის ქვედა ჰორიზონტში ახალი ელემენტის შეყვანის იდეას. ასე, მაგალითად, აფსიდის გვერდითი სარკმელთა ქვემოთ, ღერძზე მოთავსებულია საკმაოდ მოზრდილი როზეტები, რომელთა მომჩარჩოებელი ლილვიც უშუალოდ სარკმლის ქვედა ჰორიზონტალური ლილვიდან გამოდის. მეორე შემთხვევა იქვე დასავლეთის ფასადზე გვაქვს. მთავარი სარკმლის ქვედა ჰორიზონტის ორმაგი ლილვიდან ვერტიკალურად გამოდის ოთხი ლილვი, რთული სვლებით გადადის გვერდითი სარკმელებზე, გარს უვლის მათ, ისევ გამოდის ქვედა ჰორიზონტალური ნაწილიდან და ეყრდნობა შენობის ცოკოლს. იგივე სისტემაა გამოყენებული თბილისის მეტეხის აღმოსავლეთ ფასადზეც, შუა აფსიდის გვერდითი სარკმელებზე; ასევე უნდა ყოფილიყო გვერდითი აფსიდებზეც (ამჟამად დაზიანების გამო ძნელი გასარჩევია). ამ თემის ასეთი ვარიაციები შეიძლება ამ საუკუნის დამახასიათებლადაც მივიჩნიოთ.

რაც შეეხება ცაიშის აფსიდის ამ შუა სარკმლის მორთულობას, იგი არ წარმოადგენს გავრცელებულ სახეს. მაგრამ ამ ტიპის სარკმ-  
5. პ. ხაჭარაია

მღებს (ლაპარაკია ტიპის საერთო სახეზე და არა ზუსტ პარალელზე) ჩვენ ვხვდებით XIII ს. პირველ ნახევრიდან.

აფსიდის გვერდითი სარკმლები ერთი ტიპისა და თითქმის ერთი სიმაღლისაც არის. ორნამენტულ საპირეს აკრავს შეწყვილებული ლილვაკების ჩარჩო (ტაბ. XI, XII). ლილვაკები მორთულია ორნამენტირებული იმპოსტებითა და ბაზისებით. სარკმლის ეს ტიპი (მხედველობაში არ ვიღებთ დეტალებს) ძალიანაა გავრცელებული XII ს. ბოლოსა და XIII საუკუნის როგორც პირველ ნახევარში (ლორჯი მონასტერი, ბეთანია, ქვათახევი, ახტალა, ფიტარეთი, წულრულაშენი, მეტეხი ქართლის), ისე მეორე ნახევარში (ხობის ძეგლის აფსიდის სამივე სარკმელი ამ ტიპითაა წარმოდგენილი). ამ ტიპის სახესხვაობას იძლევა მომდევნო ხანაც (საფარა, ზარზმა).

სადიაკვნოს და სამკვეთლოს სარკმლები უსახოა (ტაბ. XIII, XIV) და რაღაც დაუმთავრებელის შთაბეჭდილებას სტოვებს. ორივეს ორნამენტული საპირე აქვს, მხოლოდ მათი მოჩარჩოება და საერთო პროპორციები განსხვავდება ერთმანეთისაგან. სადიაკვნოს სარკმელი სამკვეთლოსაზე მაღალია, თანაც იგი უფრო წესიერადაა შესრულებული, ვიდრე სამკვეთლოსი. ამ უკანასკნელის მოჩარჩოება თაღის იმპოსტებიდან ბაზისებისაკენ მეტად ულამაზოდ ვიწროვდება (ამას ზედ ერთვის ორნამენტაციის შესრულების მდარე ჭარისხიც). ასევე უფორმოა სადიაკვნოს სარკმლის შეწყვილებული ლილვაკების ბაზისები (იმპოსტები თაღს არ გააჩნია). ორივე სარკმლის შესახებ შეიძლება ერთი ზოგადი შენიშვნის გაკეთება, სახელდობრ იმისა, რომ არც ერთგან არა გვაქვს მოჩარჩოების ბაზისები და იმპოსტები იმ სახით, რა სახითაც იგი (საერთოდ წარმოგვიდგენია ადრეულ ძეგლებზე; აქ მხოლოდ ორნამენტული კვადრატული ნაწილია. უარყოფილია „სამაჯურებისა“ და ბურთობების რთული სისტემა, — ლილვაკები პირდაპირ ებჯინება კვადრატს. ასეთი გადაწყვეტა ჩვენ პირველად შევნიშნეთ საფარაში (მაგ. სამხრეთ სარკმლის ქვედა ჰორიზონტზე). ზარზმაში ძველი სისტემის გვერდით ეს ახალი ფორმაც ხშირად გამოყენებული (დასავლეთი ფასადის მთავარი სარკმლის მოჩარჩოების იმპოსტებთან ამავე ფასადის მარჯვენა სარკმელზე, გუმბათის ყელზე და სხვ.); იგივე სურათია დაბაში (ჩრდილოეთის სარკმელზე).

უნდა შევნიშნოთ, რომ ცაიშის სამკვეთლოს სარკმელს აქვს ერთი საინტერესო ელემენტი, რომელიც მხოლოდ ზარზმის ძეგლზეა შენიშნული. ესაა ამ სარკმლის მოჩარჩოებელი შიგა მესამე ლილვაკი, რომელიც ორ დანარჩენთან შედარებით წვრილია. ეს ლილვაკი გვერდს უვლის იმპოსტებს და პირდაპირ ებჯინება ქვედა ბა-

ზისებს. ასეთი სამლიღვიანი სისტემა გამოყენებულია ზარზმის ძეგლის დასავლეთის ფასადის მთავარ სარკმელზე. ზარზმის სამრეკლოს ზედა სართული ამ სისტემითვეა მთლიანად მორთული, მაგრამ ზარზმაში ცაიშისგან განსხვავებით, სამივე ლილვაკი ერთი ზომისაა. ამავე სისტემით, თუმცა უფრო ნაკლები რელიეფურობით, არის დამუშავებული ცაიშის აფსიდის ჩრდილოეთის სარკმელიც.

ფასადების მორთულობიდან განსახილველი დავგრაჟა კიდეც ერთი ელემენტი — კოპები. კოპებს, როგორც ფასადების მორთულობის ელემენტს, ადრევეც იყენებდნენ, მაგრამ XIII ს. დასაწყისიდან უფრო მეტადაა გავრცელებული სხვადასხვა კომბინაციით როგორც გუმბათის ყელზე, ისე სარკმლების თალის ირგვლივ (ფიტარეთი, წულრუღაშენი). უფრო გავრცელებულია ლილვმემოვლებული ფუძიანი ორნამენტირებული კოპები. ამავე დროს ჩნდება დაღარული, თევზისფხისებრი ზედაპირიანი კოპებიც, რომლებიც დროთა განმავლობაში თანდათან უფრო მეტი უფლებებით სარგებლობენ. ცაიშის ძეგლზე გვაქვს ორივე სახის კოპები, პირველი ჯგუფი უფრო მრავლად, ხოლო მეორე, ე. ი. ფხიანზედაპირიანი — ორიოდ. ცაიშის ოსტატი კოპებს მოხდენილად იყენებს სხვადასხვა კომბინაციაში, ასე მაგ: კარ-სარკმლების თაღების ირგვლივ, აფსიდის წიბოებზე და სხვაგან. საფიქრებელია, რომ მიწისძვრამ ფასადებისა და გუმბათის დარღვევისას ბევრი კოპი უკვალოდ მოსპო.

თუ ყოველივე ზემოთქმულს შევაჯამებთ, დავინახავთ, რომ განსახილველი ობიექტი მიეკუთვნება ძეგლების იმ განსაზღვრულ ჯგუფს, რომელიც ქრონოლოგიურად XIII—XIV საუკუნეების მიჯნაზე შეიქმნა, და მაქსიმალურ ზღვარს თუ ავიღებთ, მაშინ ცაიშში მოთავსდება ერთი მხრით თბილისის მეტეხსა (1278—1289 წწ.) და ხობსა, და მეორეს მხრით დაბის (1333 წ.) ძეგლებს შორის.

## გ) ორნამენტაცია და რელიეფები

ცაიშის ძეგლის ორნამენტაციისა და რელიეფების მხოლოდ მცირე ნაწილმა მოაღწია დღემდე თავდაპირველი სახით, დანარჩენი ფრაგმენტებს წარმოადგენს. მიუხედავად ამისა, მათი რაოდენობა მაინც დიდია. ხელუხლებელი და თავდაპირველი ნიმუშები გვაქვს აღმოსავლეთ ფასადზე; დანარჩენ ფასადებზე ისინი აღმდგენელი ოსტატის მიერაა განლაგებული ზოგი შესაფერ ადგილებზე, ზოგიც მხოლოდ როგორც შესამოსი მასალა. ამის გამო ჩვენ მოკლებული ვართ საშუალებას განვიხილოთ ძეგლის ხუროთმოძღვრის მიერ შექმნილი ორნამენტაცია და რელიეფები იმ მთლიანობაში, რო-

გორც მან გაიაზრა და აღბეჭდა იგი ნაგებობის ფასადებზე; ანსამბლი, რომელიც მან შექმნა, დღეს დარღვეულია. ძეგლის ასეთი მდგომარეობა გვიკარნახებს მორთულობის ეს გაფანტული ნაწილი განვიხილოთ ცალცალკე <sup>1</sup>.

## 1. ზოგადი მიმოხილვა

ცაიშის ძეგლის მორთულობა თავის დროზე უდავოდ მდიდარი იყო ორნამენტული მოტივებითა და ცალკეული კომპოზიციებით, მაგრამ აღნიშნული „სიმდიდრე“ სრულყოფილი როდია; რაოდენობით სიმრავლეს თან არ ახლავს ხარისხობრივი სიმალლაც, მაგრამ ცაიშის არქიტექტორს ამას ჩვენ ვერც მოვთხოვთ, იგი პირშშოა თავისი ეპოქისა და იგი ვერ იმოქმედებდა მის ხანაში გავრცელებული სტილის წინააღმდეგ; მან შეძლებისამებრ ასახა ამ სტილის თანადროული ფაზა.

ცაიშის ორნამენტაცია მიეკუთვნება XIII—XIV ს. მიჯნის საქართველოს არქიტექტურულ ძეგლთა შემკულობის ჯგუფს. ამიტომ ჩვენ არ შევუდგებით აღრეული ეპოქების ორნამენტაციის მიმოხილვას, აქ მხოლოდ ზოგადად აღვნიშნავთ ცაიშის ქრონოლოგიურ წრეში მდგომი ძეგლების ორნამენტაციისათვის დამახასიათებელ ხაზებს.

წინა ეპოქებთან შედარებით, აღნიშნულ ეპოქაში შესამჩნევად ჩქარი ტემპით ხდება ორნამენტაციის დაკნინება. ეს ეტაპი უამრავ გუმბათოვან თუ უგუმბათო ძეგლებზე, წარმოადგენს ორნამენტაციის მეტად მკაცრი სიმშრალის ილუსტრაციას.

განსახილველი ეპოქის წინა ხანის ორნამენტაციაში გეომეტრიული სახეებისკენ მიდრეკილება შესამჩნევია, მაგრამ მცენარეულ მოტივებს არანაკლები ადგილი ჰქონდა, დათმობილი. მომდევნო ეტაპმა ეს მიდრეკილება უფრო აშკარად გამოავლინა, — მცენარეული სახე თანდათანობით სტოვებს მოქმედების ასპარეზს და მცენარეული მოტივის მცირედ შემორჩენილი რაოდენობაც თანდათანობით ჰკარგავს „მცენარეულობას“, ხდება ფოთლის სქემატიზირება, გეომეტრიზირება.

გამოთქმული აზრის ნათელსაყოფად მივმართოთ ძეგლებს. ამ ხანის პირველი თვალსაჩინო ძეგლი არის თბილისის მეტეხი (1278—

<sup>1</sup> ძეგლის ფასადებზე თუ მის ირგვლივ გალავანში და სხვადასხვა ნაგებობაში ჩატანებული ფრაგმენტების მცირე ნაწილს იმდენად დაკარგული აქვს პირვანდელი სახე, რომ დღეს ყოვლად შეუძლებელი ხდება ამა თუ იმ მოტივის ელემენტის აღდგენა, ამიტომ ისინი განხილვის გარეშე დავტოვეთ.

№289 წვ.); მის ორნამენტაციაში გეომეტრიული სახეები ჰარბობს, ორნამენტი სქემატურია, რელიეფი დაბალი, ფოთლები უსიციოცხოლო, ღეროვანი ლენტი წვრილი და უსუსური. რაც მთავარია, აქ უკვე ვხედავთ ახალ ტენდენციას: ჩრდილო აფსიდის სარკმლის საპირისათვის წინასწარ არ არის მომზადებული რელიეფური ნიადაგი, — სარკმლის მორთულობა ყოველგვარი მოჩარჩოების გარეშე, ჩაჭრილია პირდაპირ კედლის შემოსვის ძიბრტყეში. ფასადების დათვალიერების დროს თვალი ოდნავ ჩერდება სარკმელზე, — ის თითქმის არ არღვევს აფსიდის გლუვ ზედაპირს.

დაახლოებით ამავე პერიოდის ხობის ძეგლებზეც გაცილებით მეტია გეომეტრიული მოტივები; უმნიშვნელო რაოდენობით მოცემული მცენარეული მოტივების (თვით ამ მცენარეული მოტივის შემადგენლობაშიც თითქმის გეომეტრიული წნული სქარბობს). ერთ ნაწილს მეტად მშრალი სახე აქვს, ხოლო დანარჩენი სქემატურია, მაგრამ მაინც იცავს ტრადიციით მიღებულ დამუშავებას. სწორედ ორნამენტაციის დამუშავების მხრივ ძალიან საინტერესოა ხობის ძეგლი. აქ პირველად ვამჩნევთ ფოთლის ისეთ დამუშავებას, რომელიც მომდევნო ხანის ძეგლებზე თითქმის ყველგან გვხვდება. ხობის აფსიდის მთავარი სარკმლის საპირის თვით მოტივი ძველთაგანვე ცნობილია. ჩვენთვის ამჟამად საინტერესოა მისი დამუშავება. აქ ორნამენტის ფოთოლი მეტად სტილიზებულია, მას დაკარგული აქვს „მცენარეული“ წარმოშობის ელემენტები, სახელდობრ, ფოთლის ტალღისებური ფორმა. ხობის ეს კერძო შემთხვევა ამ ტრადიციას უარყოფს. ფოთოლი აქ გარეთა სწორი ხაზებით და შიგნითა სამკუთხური ჩაღრმავებითაა შექმნილი, რაც მთელ ფოთოლს „ისრის“ ფორმას აძლევს.

განვითარების აღნიშნული ეტაპის თვალსაჩინო წარმომადგენლებია მომდევნო ხანის სამხრეთ-საქართველოს სამი დიდი გუმბათოვანი ძეგლი: საფარა, ზარზმა და ჭულუ. მათი ორნამენტაციის რეპერტუარის გაცილებით მეტი ნაწილი გეომეტრიულ სახეებისაგან შედგება. აქ ცალკე სულ არ გვხვდება მცენარეული მოტივები; არის მხოლოდ მცენარეულ და გეომეტრიულ მოტივთა შერწყმული სახე, სადაც პირველი მეორის დამატებას წარმოადგენს და არა პირიქით. თავი რომ გავანებოთ სხვა დამახასიათებელ ნიშნებს, ამ ძეგლების გეომეტრიულ სახეთა ასეთი პრიორიტეტი უკვე მიგვითითებს მათი აგების ეპოქაზე.

მშენებელი ოსტატების მაღალი ხარისხის მიუხედავად, ეს ძეგლები ეპოქის მიერ სტილის გაგების საზღვრებშია მოცემული. ორნამენტაცია მოკლებულია მიმზიდველობას, სურათიც მშრალია და

სქემატური, თუმცა, ვიმეორებ, მათ არ აკლიათ შესრულების ოსტატობა.

მცენარეული მოტივების ცალკე განხილვისას ვნახავთ შემდეგს: საფარის ძეგლზე ჭარბობს ტალღისებური მოხაზულობის ფოთლები; რამდენიმე მოტივში ფოთლები მოქცეულია მთლიანად ორმრუდ ან სწორ ხაზს შუა, ხოლო თვით ფოთლის სიბრტყე გადაგვარებული, სამკუთხური ჩაჭრითაა მოცემული (ჩრდილო ფასადის მთავარი სარკმლის შიდა საპირე, გუმბათის ყელის ერთ-ერთი საპირე), — ე. ი. აგებულია იმავე პრინციპზე, როგორც პირველად ხობის ძეგლზე შევამჩნიეთ. ზარზმის ძეგლიც, თუმცა არა ზუსტად, მაგრამ პრინციპში გვაძლევს მცენარეულ მოტივებში ფოთლოთა ასეთსავე გადაწყვეტას (დასავლეთის კარი). იგივე პრინციპია გატარებული ქულეს რიცხვმცირე ორნამენტაციაშიც (მაგ. სამხრეთ-სარკმლის გვერდითი როზეტები).

ზემოდასახელებული ძეგლების მორთულობის განხილვის დროს აღვნიშნეთ, რომ ამ ძეგლებზე გვაქვს ორნამენტაციისა და საერთოდ ფასადის მორთულობის კედლის სიბრტყეში ჩაჭრის თითქმის ჩამოყალიბებული მეთოდი, მაგრამ აქ გვერდ-გვერდ არსებობს ძველი და ახალი წესი; დაბის ძეგლში (1333 წ.) უკვე მთავრდება მორთულობის ევოლუციის ეს პროცესი, — საბოლოოდ ჩამოყალიბდა და დასრულდა ორნამენტაციის ჭრის ის წესი, რომელიც გამოიხატა ორნამენტის ფასადის სიბრტყეში ჩაჭრის ტენდენციით. აქ უკლებლივ ყველა არშია და ცალკეული ორნამენტი ოდნავადაც არ გამოდის ფასადის სიბრტყიდან. ორნამენტაციაც მთლიანად გეომეტრიული სახეებისაგან შედგება. მცენარეული მოტივი აქ უარყოფილია. მოტივად ვერ ჩავთვლით დაბის ძეგლის ამა თუ იმ კომპოზიციის გვერდებზე თითო-ოროდ გაბნეულ მეტად სტილიზებულ და თითქმის ურელიეფო ფოთლებს. ამ ცალკეულ ფოთლოთაგან ჩვენთვის ყველაზე საინტერესოა აღმოსავლეთ სარკმლის გარე საპირის ქვედა არშიაზე ჩაყოლებული მხოლოდ ერთი ფოთოლი და ამავე ფასადის შესასვლელის ტიმპანზე გაბნეული ფოთლები. ესენი წარმოადგენს გარე სწორხაზებში მოთავსებულ სამკუთხედებს, რომელთა ზედაპირიც იმდენად სქემატურადაა დადარული ზემოაღწერილ სამკუთხურ სიბრტყეებით, რომ ამათთან შედარებით, საფარის ამავე ტიპის ორნამენტები გაცილებით მეტად ატარებს მცენარეული წარმოშობის ნიშნებს.

ცაიშის ქრონოლოგიური ჯგუფის ორნამენტაციის დამუშავების ზოგად ხაზებში მოცემის შემდეგ, თუ დავუბრუნდებით განსახილ-

ველ ძეგლს, ვნახავთ, რომ ცაიშის ორნამენტაციის უდიდესი ნაწილი შესრულებულია ქვის სიბრტყეში ჩაჭრით, თუმცა ორნამენტულ არშიათა თავისებური მდგომარეობის გამო ყველგან შეუძლებელია ამის შემჩნევა, მაგრამ კარგად ჩანს სხვადასხვა სახის ბაზისებსა და იმპოსტებზე. იგივე მდგომარეობა გვაქვს ცალკეულ კომპოზიციებშიაც.

ცაიშის ძეგლის ორნამენტაციის დიდი უმრავლესობა გეომეტრიული სახეებისაგან შედგება. მცენარეულ და გეომეტრიულ ნაწილთაგან კომბინირებული მოტივი მხოლოდ სამია გამოყენებული, ხუთ ადგილას. მთელი ორნამენტაცია მშრალია, სქემატური და უსიცოცხლო. მცენარეულ მოტივთა ფოთლები მხოლოდ წარსულის კარგ ნიმუშთა აჩრდილს წარმოადგენს. ყველა ფოთოლი (მათ ცალ-ცალკე ქვემოთ განვიხილავთ) ერთ ტიპს ქმნის. მათი დამუშავება ერთ სისტემას ექვემდებარება. ეს ფოთლები მოქცეულია გარეთა ორ სწორ ან მრულ ხაზებს შორის, ხოლო მათი შიგნითა სიბრტყე დაღარულია ჩონჩხისებრ, სამკუთხური („პირამიდისებრ“) ჩაჭრით. როგორც აღნიშნული იყო, ფოთლის ასეთი სახე პირველად ზობის ძეგლზე გვხვდება. ამ დროიდან მოკიდებული, ამ სისტემას თითქმის მომდევნო ყველა ძეგლზე ვხვდებით სხვადასხვა სიძლიერით. ცაიშის ძეგლი უფრო ახლოს დგას საფარას, ზარზმასა და ქულეს ჯგუფთან. დაბის ძეგლი სტილის უფრო მეტი დაკნინების მატარებელია, ვიდრე ცაიში. ასე ხაზგასმით ჩვენ იმიტომ აღვნიშნავთ ამ მომენტს, რომ მას ცაიშის ტაძრის დათარიღების საკითხში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უჭირავს.

ცაიშის ორნამენტაციის რეპერტუარის შესადგენად ნაგებობის ავტორები უხვად სარგებლობენ წინა საუკუნეების მიერ შექმნილი მოტივებით, თუმცა აძლევენ მათ ეპოქისათვის სპეციფიკურ, თავისებურ სახეს. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ძეგლის ოსტატებს ახლის შექმნის საკმაო ფანტაზია აქვთ, მათ შექმნეს უამრავი ახალი ორნამენტი, როგორც ფასადებზე გაბნეული ცალკე კომპოზიციები, ისე სხვადასხვა ბაზისსა და იმპოსტებზე, მაგრამ მათი უმრავლესობა იმდენად თავისებურ, დაუმთავრებელ ორნამენტს წარმოადგენს, რომ მათ ჩვენ ვერ-დავარქმევთ მოტივებს; ისინი ავტორების ორიგინალობას უნდა მივაწეროთ. ამ თავისებურმა „მოტივებმა“ ვერ ჰპოვეს გამოძახილი მომდევნო დროში, — ყოველ შემთხვევაში ჯერ-ჯერობით ჩვენთვის უცნობია მათი პარალელები.

რაც შეეხება ცაიშის ძეგლის ორნამენტაციის შესრულების მანერას და კრის ტექნიკას, იგი შეიძლება დავყოთ ორ ნაწილად,



უკეთ, გარკვევით შეიძლება ითქვას, რომ ძირითადად აქ ორ შემსრულებელთან ან ორ არტელთან გვაქვს საქმე. ორივეს აქვს შესრულების თავისებური, ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებული მანერა, რომელიც ძეგლის დათვალიერებისთანავე თვალში გეცემათ. პირველი ოსტატი საუკუნეებით შემუშავებული ტრადიციის მიმდევარია, მეორე კი—ორიგინალობს, მაგრამ დაუდევრად. პირველის რეპერტუარი ძველია, მეორე კი — თვითონაა გამომგონებელი, ან თუ იყენებს ადრე შემუშავებულ მოტივს, იმდენად უცვლის სახეს, რომ ძალიან ძნელია მისი საწყისი სახის აღდგენა. პირველი ოსტატი გარკვევით მიისწრაფის ორლარიან ლენტასკენ, მეორე — ერთლარიანისკენ. პირველი ორნამენტს ღრმა რელიეფით იძლევა (ერთიდან ორნახევარ სანტიმეტრამდე), მეორე კი—დაბლით (მაქსიმუმი ერთი სანტ. სიღრმით); პირველი მიმართავს მცენარეულ მოტივებს, მეორე კი შეგნებულად გაურბის მათ; პირველი ცდილობს და შედარებით აღწევს ცალკე კომპოზიციების შექმნას, სადაც სურათის წაკითხვა შესაძლებელი ხდება, მეორეც არ ჩამოუვარდება კომპოზიციების შექმნაში, მხოლოდ წამკითხავზე ის არ ზრუნავს, გიმასპინძლებათ „ობობას ქსელით“.

როგორც ეტყობა, პირველ ოსტატს წამყვანი ადგილი სჭერია ძეგლის შექმნაში; მის მიერ შექმნილი ორნამენტები გაცილებით ჭარბობს მეორისას, თანაც პირველი ყველა საპასუხისმგებლო ადგილებს თვით ამკობს, მეორე კი რთავს შედარებით მეორეხარისხოვან ადგილებს. ჩვენ აქ შეგვიძლია ჩამოვთვალოთ მეორე ოსტატის ის ნამუშევრები, რომლებიც შედარებით ექვს არ იწვევს, ყველა დანარჩენს პირველ ოსტატს ან მის არტელს ვაკუთვნებთ. მეორე ოსტატის ხელს ეკუთვნის: აფსიდის პილასტრების ყველა ბაზისები (ტაბ. XX, XXI), გამოკლებით VI-ის კვადრატული ნაწილებისა; სამსხვერპლოს სარკმელი მთლიანად (ტაბ. XIV); აფსიდის ჩრდილო სარკმლის ქვემოთ მოთავსებული როზეტი (ტაბ. XII); ამავე სარკმლის მოჩარჩოების ბაზისი და იმპოსტი (იქვე) და აღმოსავლეთი ფასადის სხვადასხვა იმპოსტები და ბაზისები.

ცაიშის ორნამენტაციასთან დაკავშირებით ზოგადი მიმოხილვის დამთავრების შემდეგ გადავიდეთ მათ დეტალურ განხილვაზე.


## 2. ორნამენტული მოტივები

ცაიშის ძეგლზე, როგორც აღნიშნულიც გვქონდა, გეომეტრიული მოტივები ჭარბობს, მაგრამ არსებულ მცენარეულ მოტივთა მცირე

ჩაოდენობასაც მათი სპეციფიკურობის გამო საკმაოდ გარკვეული როლი ენიჭება.

შევუდგეთ მოტივთა განხილვას.

1. სადიაკნეს სარკმლის საპირედ გამოყენებული წრე-რომბების ხლართი თითქმის ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ მოტივთაგანია საშუალო საუკუნეების ძეგლებზე (სურ. 11, ტაბ. XIII). იმ ძრავალ ძეგლთაგან, რომელზედაც ეს მოტივი გვხვდება, იგი თითქმის ყველგან გამოყენებულია: კარ-სარკმლების საპირედ, მაგრამ არის გამოჩინებული, როდესაც ამ მოტივის იყენებენ სხვადასხვა კომპოზიციაში (ახტალის ეკვდერის ერთ-ერთ კოლონის ბაზისზე ეს მოტივი სამ პარალელურ კომბინაციაშია გამოყენებული და სხვ.).



სურ. 11.

არსებობს წრე-რომბების ხლართის რამდენიმე ვარიანტი, და იგი საკმაოდაა გაშუქებული ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში.<sup>1</sup> ამიტომ ჩვენ აქ არ შევუდგებით ორნამენტის საერთო სახისა და გენეზისის დადგენას, მხოლოდ, ვ. ბერიძის შრომაში განხილული ამ მოტივის ექვს ვარიანტს დაუშვებებთ მეშვიდეს, ცაიშში გამოყენებული ორნამენტის სახით.

ცაიშის ორნამენტი არ წარმოადგენს ამ მოტივის „კლასიკურ“ სახეს. აქ მოტივი იქმნება რამდენიმე თავისთავში „ჩაკეტილი“ ლენტის წნულისაგან. როგორც მისი სახელწოდებაც გვამცნობს, ორნამენტი შედგება ორი ელემენტისაგან: წრისა და რომბისაგან. ამ ორი ელემენტს ერთმანეთთან არა აქვს უშუალო კავშირი, თუ არ მივიღებთ მხედველობაში იმას, რომ ისინი ერთმანეთზე არიან „გადამჯდარნი“; წრე უკავშირდება ისევ წრეს, რომბი — რომბს და ამგვარად იქმნება უწყვეტი ჯაჭვი. მაგრამ თუ ამ მოტივის „კლასიკურ“ სახეში ერთი ლენტის ხლართი ქმნიდა მთლიანად ერთ რომბს და ორი მოპირდაპირე ნახევარწრეებს, აქ სულ სხვანაირადაა, — ყოველი რომბი იქმნება ერთი ლენტისაგან და თავისთავშია ჩაკეტილი, წრე შექმნილია ოთხი თავისთავში ჩაკეტილი ლენტის წნულისაგან, თითოეული ლენტი კი ორ მეზობელ წრეთა მეოთხედებსა ჰქმნის. წრე არსად არ უკავშირდება რომბს.

ცაიშის ამ ორნამენტის შესრულების ტექნიკა ვერ არის დამაკ-


<sup>1</sup> P. O. Ш м е р л и н г. Самтавро—памятник XI в. „ქართული ხელოვნება“, 1, 1942 წ. გვ. 60—70, ვ. ბერიძე, სვანაძე, იქვე, გვ. 115—116.

მაყოფილებელი. სურათს აკლია სიმკვეთრე. კარ-სარკმლების საპირის ორნამენტის ყოველგვარი (კუთხური თუ წრიული) მოხვევისა გადაწყვეტა ყველა დროის არქიტექტორისათვის თავისებურ გამოცდას წარმოადგენდა. როდესაც ხუროთმოძღვრება მაღალ დონეზე იდგა, მაშინ ხუროთმოძღვარი ამ ამოცანას ვირტუოზულად სწყვეტდა, ხოლო დანარჩენნი, რაკი ზედავდნენ რომ ეს მათ ძალა აღემატებოდა, თავს არ იწუხებდნენ, ორნამენტის ნახატი უხვევდამექანიკურად. ცაიშის ხუროთმოძღვარიც ამ უკანასკნელთა რიცხვში მიეკუთვნება.

ამ მოტივის ცაიშური სახე საშუალო საუკუნეებში აღრინდელ ძეგლებზე ჩვენ არ გვხვდება. იგი შემდეგი, მოგვიანო ხანის მიერაა შექმნილი. მას ვხვდებით საფარის ძეგლის აღმოსავლეთის ფასადზე, ჰულებს დასავლეთის ფასადის სარკმლის საპირედ და სხვ.

2. აფსიდის ჩრდილოეთი სარკმლის საპირე ერთმანეთში „გადამაჯღარ“ წრეების ორი უწყვეტი ჯაჭვისაგან შედგება (სურ. 12 და ტაბ. XII) ქართული ხუროთმოძღვრების მორთულობის რეპერტუარში ეს ორნამენტიც ერთ-ერთი გავრცელებული მოტივთაგანია. XI საუკუნიდან მოკიდებული იგი სხვადასხვა სიძლიერით, მაგრამ განუწყვეტლივ ჩანს XVIII ს. ჩათვლით.

ცაიშის ორნამენტი ამ მოტივის ტიპურ სახეს წარმოადგენს (თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ გარემოებას, რომელიც საერთოდ ახასიათებს ცაიშის ხუროთმოძღვარს: კიდური ლენტი, ცხადია, ოსტატის დაუღვერობით, ხან ორი ლარისაგან შედგება, ხან ერთისაგან). იგი იქმნება ორი მთლიანი ლენტისაგან, რომელიც ორნამენტის ორივე მხრით მიემართება ხლართვით, პატარა ნასკვითებების ერთმანეთს და ასე იქმნება მთლიანი სურათი.



სურ. 12.

შესრულების ტექნიკა საშუალოა. სარკმლის ქვედა კუთხეებშიც ნახატი მექანიკურად უხვევს; ერთ-ერთი წრე წყდება იქ, სადაც ებჯინება მოპირდაპირე ჩარჩოს.

საერთოდ ცნობილია ამ მოტივის რამდენიმე ვარიანტი. აქვე, ძეგლზე, გვაქვს ამ მოტივის მეორე სახე. აქაც იგივე სურათია, იმ განსხვავებით, რომ წრეებისაგან შემდგარი არშია არ არის შემოფარგლული პარალელური ლენტებით, და ამდენად მთელი ნახატი შედგება მხოლოდ უწყვეტი წრეებისაგან, რომლებიც მხოლოდ ცენტრში ენასკვება ერთმანეთს.


წრეების შექმნის სისტემა ძირითადად იმავე პრინციპზეა აგებული. როგორც ზემოთ ვნახეთ. ამ ორნამენტის მხოლოდ ფრაგმენტია შერჩენილი. იგი ჩატანებულია გალავანში ეკლესიის დასავლეთით.

როგორც ზემოთაც აღვნიშნე, მართალია, ამ ორნამენტის დასრულებული „კლასიკური“ სახე XI ს. პირველივე წლებში გვაქვს (ბაგრატის ტაძარი, ნიკორწმინდა), მაგრამ სტილის განვითარების პირველ ხანებში მან ვერ პოვა დიდი გამოძახილი. XIII ს. დასაწყისიდან ის უკვე თითქმის ყველა ძეგლის ორნამენტაციის აუცილებელი ელემენტია (ბეთანია, ქვათახევი, ფიტარეთი, წულრულაშენი, ქობერი, ზობი, საფარა, სამთავროს გუმბათის ყელზე და სხვა მრავალი). ცაიშის ორნამენტიც, ნახატის სიმშრალითა და საერთოდ შესრულების მანერით, უდავოდ ძეგლების უკანასკნელ ჯგუფს მიეკუთვნება.

3. მოტივი ძირითად კვადრატულ კომპოზიციას წარმოადგენს. ის უმთავრესად გამოყენებულია პილასტრებისა და კარ-სარკმლების მოჩარჩოების, ბაზისებისა და იმპოსტების კვადრატულ ნაწილებზე, იშვიათად — კარ-სარკმლების საპირედ და უფრო იშვიათად — კარნიზზე.

ასეთი მშრალი სქემის გეომეტრიული მოტივი წარმოიშვა საშუალო საუკუნეების იმ მონაკვეთში, როდესაც ორნამენტაციის მოტივთა რეპერტუარის მეტი უმრავლესობა უკვე დადგენილი და ყველასათვის ცნობილი იყო. ამ დროს იშვიათად იქმნება მცენარეულ მოტივთა ახალი სახე. ყურადღების ცენტრშია უფრო გეომეტრიული მოტივები, რადგან სქემატურობის გამო ისინი ყველასათვის მისაწვდომია. განსახილველ ორნამენტსაც პირველად XIII ს. დასაწყისში ვხვდებით, ხოლო მომდევნო ხანაში იგი თითქმის ყველა ძეგლზეა გამოყენებული.

ცაიშში ეს მოტივი ორი სახითაა მოცემული, — ერთი აფსიდის მეოთხე (მარცხნიდან მარჯვნივ) პილასტრის მარცხენა კაპიტელზეა (სურ. 14ა) მეორე კი ძეგლის დას. ფასადზეა ჩაყოლებული ფრაგმენტის სახით (სურ. 13). პირველი, ე. ი. პილასტრის კაპიტელი, ტიპურ კვადრატულ კომპოზიციას წარმოადგენს. სურათი შედგება სამი კონცენტრიული წრისა და წრეებზე დია-



სურ. 13.

გონალურად გარდამავალ „ოთხეუროსაგან“. წრეები სინამდვილეში არ არის კონცენტრული, მაგრამ შინც აღიქმება როგორც კონცენტრული წრეები; ამათგან გარეთა ორი წრე შედგება ოთხი ცალკე ნაწილისაგან; იგი თითქოს ოთხი რგოლისაგან შემდგარ ჯაქვს წარმოადგენს. თითოეული, ერთი მთლიანი ლენტისაგან შემდგარი რგოლი ორივე წრის მეოთხედსა ჰქმნის. ე. წ. კონცენტრულ წრეთა შესამე, შიდა წრე, ერთი უწყვეტი ლენტისაგან შედგება, მოტივის „ოთხეურა“ ნაწილი კი მიღებულია ერთი მთლიანი ლენტისაგან შემდგარ ნახევარწრეების კომბინაციით. ამ უკანასკნელის შემადგენელი ლენტი ჩაწნულია დანარჩენებთან ადრევე ცნობილი ხერხით: მოპირდაპირე ერთ ლენტს ზემოდან გადაუვლის, ხოლო მეორეს კი — ქვემოდან.


ამ ორნამენტის ზუსტ ანალოგიას ჩვენ ვხვდებით სხვადასხვა დროის ძეგლებზე, როგორც, მაგალითად, ახტალის აღმოსავლეთ ფასადის ნიშას შარცხენა პილასტრის კვარცხლბეკებზე, დაბის სამხრეთ სარკმლის ზემოთ მოთავსებულ მედალიონზე და სხვაგან. პირველი ორი ერთდარიანი ლენტითაა შესრულებული, დანარჩენი კი ისევე ცაიშისებური ორდარიანი ლენტით.

ამავე მოტივის მეორე სახე, როგორც უწინაც აღვნიშნეთ, ფრაგმენტის სახითაა მოთავსებული ძეგლის დასავლეთ ფასადზე (ტაბ. VI). დარჩენილი ნაწილის მიხედვით იგი რომელიღაც კარის (კარიბჭის?) საპირეს უნდა წარმოადგენდეს. მოტივი შედგება მხოლოდ და მხოლოდ დიაგონალურად განლაგებული „ოთხეურა“ ელემენტების კომბინაციისაგან; თითოეული „ყური“ ჩაწნულია მეზობელ „ყურში“ და ასე გრძელდება უწყვეტად (სურ. 13).

მოტივის ასეთ სახეს რამდენიმეჯერ შევხვდით სხვა ძეგლებზე, მაგ., მას ვხვდებით დაბის სამხრეთ სარკმლის ორმაგი საპირეთაგან გარეთაზე. ეს უკანასკნელი უმნიშვნელო დამატებითაა, ორნამენტის გასწვრივ ორივე მხარეს პარალელურად მისდევს ლენტი, რომელიც არავითარ მონაწილეობას არ ღებულობს წვნაში. ასეთივე სახეა გამოყენებული სამთავროს გუმბათის ყელის ერთ-ერთ სარკმლის საპირედ, იმ ნაწილში, რომელსაც ძეგლზე მონოგრაფიის ავტორი რ. შმერლინგი ათარიღებს XIII—XIV საუკუნეებით (იხ. „ქართ. ხელოვნება“, I, გვ. 69—71).

ტიპის ვარიაციათა დასადგენად ორნამენტის ამ მოტივის შესწავლისას ჩვენ მოგვიხდა მათი თანმიმდევრობითი აღნუსხვა. მივიღეთ თხუთმეტი სრულიად განსხვავებული სახე. მათი უმრავლესობა ტიპს წარმოადგენს, დანარჩენი კი მიუბაძავი რჩება, რადგან უსიციოცხლო სახეს წარმოადგენდა (სურ. 14).

. ყველა ზემომოყვანილი ვარიანტის გარჩევისას სურათის შემქმნელ ელემენტთა მიხედვით შეიძლება მივიღოთ ორი ჯგუფი: პირ-



სურ. 14.

ველს მიეკუთვნება მხოლოდ წერიული ლენტების სხვადასხვაგვარი კომბინაციისაგან მიღებული ორნამენტები. მეორე ჯგუფში შედის.

ის, სადაც წრიულ ნაწილებთან ერთად შეყვანილია სწორხაზოვანი კუთხური ლენტებიც, ცხადია, სხვადასხვა კომბინაციით, პირველი ჯგუფის უმრავლესობა გვხვდება უფრო ადრეულ ძეგლებზე (ბეთანია, ფიტარეთი, წულრულაშენი, მალალაანთ ეკლესია, ბოსლების სამება და სხვ.), მაგრამ მათი არსებობა არ არის გამორიცხული არც ერთ მომდევნო ეპოქაში. მეორე ჯგუფიც არსებითად დაახლოებით იმავე დროს იწყება (მაგ.: ჰუჯაბი, ბოსლების სამება), მაგრამ მეტ გავრცელებას ჰპოებს შემდეგ ხანაში (ხოზი — როგორც თვით ძეგლის ძირითად კორპუსზე, ისე დას. თავდაპირველ კარიბჭეზე, ზარზმა და სხვ.). პირველ ჯგუფს უფრო მეტი მოქნილობა და სურათის სისრულე ატყვია და სწორედ ამიტომ ისინი მეტი დიაპაზონისა აღმოჩნდა; მეორე ჯგუფს ცოტა ყავს მიმდევარი, ან არა და სრულიად განცალკევებულად დგას, — ისინი დასაწყისშივე თავიანთ თავში ატარებენ მომავლდინებელ ნიშნებს.

4. სამკვეთლოს სარკმლის საპირეც შედგება წრეების უწყვეტ ჯაჭვისა, გარე მომჩარჩოებელ ლენტებისა და წრის შუაგულში მოთავსებულ „ვარსკვლავებისაგან“. მათი სტრუქტურის განხილვისას ვხედავთ, რომ მთელი მოტივი შედგენილია ერთი და იმავე ფორმის ელემენტების ხლართვისაგან (სურ. 15, ტაბ. XIV).

ეს ორნამენტი მეტად დუნედაა შესრულებული; ზოგი წრის გვერდი სწორხაზოვანია, ზოგი ვარსკვლავი ოთხქიმიანია, ზოგიც ხუთი, ზოგი კი — ოთხნახევარი ან ხუთნახევარი და რალაც უფორმო ნაწილების დამატებით. ყველაფერი ეს არასასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენს მნახველზე.



სურ. 15.

მოტივის გენეზისის დადგენამ დაგვარწმუნა, რომ ისიც საკმაოდ სიცოცხლისუნარიანი ყოფილა. იცვლებოდა ორნამენტის საერთო სურათი, მაგრამ იცვლებოდა მხოლოდ მისი დამატებითი ელემენტი და არა ძირითადი; უკეთ — იცვლებოდა წრის შიგნითა არეზე მოთავსებული ელემენტი.

XI ს. პირველი წლების ძეგლებზე ჩვენ უკვე გვაქვს ორნამენტის ჩამოყალიბებული სახე. ნიკორწმინდის ჩრდილო კარის საპირეც ამ მოტივის ოთხი პარალელურად მიმავალი კომბინაციისაგანაა შემდგარი. აქ წრის შიდა სივრცე ცარიელია. ასეთივე სახე მეორდება რამდენიმე საუკუნის მანძილზე. მაგ.: სპეთი, ბეთანია, ფიტარეთი, საფარა და სხვ. სვეტიცხოვლის სამხრეთ ფასადის მარცხენა სარკმლის საპირეც ამ მოტივის მეორე სახეს გვაძლევს: აქ წრის ში-


და სივრცეში ოთხყურა ვარდულია მოთავსებული. მოტივის ზუსტად ასეთი სახე სიცოცხლისუნარიანობას მოკლებული აღმოჩნდა (მწვანე საყდრის პილასტრის ბაზისზე ამ სახის მსგავსი ვარიანტია მოცემული). წულრულაშენის ძეგლზე ეს მოტივი ორი ვარიანტითაა წარმოდგენილი: ჩრდილო ფასადის მთავარი სარკმლის საპირე ამ მოტივის ორი პარალელური ლენტისაგან შედგება. წრეების შიდა სივრცე მთლიანად ამოვსებულია კონუსური მასით; ასეთი სახე რამდენიმეჯერ გვხვდება სხვა ძეგლებზეც: ქვათახევის აღმოსავლეთის ფასადზე, მწვანე საყდარზე, კარზამეთის ძეგლზე და სხვ. ხობის ძეგლზე ამ სახის ორნამენტში კონუსური მასის ადგილას პატარა კობია ჩასმული; წულრულაშენის აღმოსავლეთის ფასადის მარცხენა მრგვალი სარკმლის საპირეზე მეორე განსხვავებული სახეა მოცემული, — აქ ორნამენტის წრის შუაში ჩასმულია დამუშავებული ზედაპირის მქონე ცილინდრული მასა. ამავე ტიპისაა გუდარეხის სამხრეთ ფასადის სარკმლის მოჩარჩოების ბაზაზე გამოყენებული ორნამენტი.

არც ერთი ზემოთ განხილული ვარიანტი არ გამოგვადგება ცაიშის მოტივის უშუალო პარალელად. ყველა ეს ვარიანტი ამ მოტივის სახესხვაობაა, ქრონოლოგიური ჩარჩოც სცილდება ამ საუკუნეს და ვიწროდ ვერ შემოფარგლავს ჩვენი მოტივის თარიღს. ამიტომ ამ საკითხის გადასაწყვეტად უნდა მივმართოთ საერთოდ ორნამენტის შესრულების მანერას და ქრის ტექნიკას. საკითხზე ზოგადად ორნამენტაციის შესავალ ნაწილში გვქონდა საუბარი. ამ საქმეში აგრეთვე ხელს შეგვიწყობს დამუშავების ის სახე, რომლითაც ცაიშის ორნამენტის წრის შუაგულია ამოვსებული. ასეთი თავისებური დამუშავება გვხვდება რკონის მცირე ეკლესიის კარიბჭის კამაროვანი გუმბათის თაღზე იმავე სახის მოტივში, იმ განსხვავებით, რომ იქ „ვარსკვლავის ქიმების“ რაოდენობა მეტია, მიუხედავად ამისა, განსხვავება დიდია, ვიდრე სხვა მოტივებში, ორნამენტის ცენტრის ასეთი სახის ზუსტ პარალელად შეიძლება მოვიყვანოთ დაბის დასავლეთ ფასადზე სახურავის კონქს ქვემოთ მდებარე და იქვე, სარკმლის შიგა საპირის ქვედა ჰორიზონტზე მოთავსებული მედალიონების ცენტრი. ცაიშის ორნამენტში გამოყენებული ოთხ და ხუთქიმიანი ვარსკვლავები ჯერჯერობით მხოლოდ იმათში კპოებს ანალოგიას. როგორც ვხედავთ, ეს ორნამენტიც მიეკუთვნება XIII ს. ბოლოსა და XIV ს. პირველ მესამედს.

5. ცაიშის ძეგლის შემოსილობაში ამ ორნამენტის ოთხი ფრაგ-



მენტია ჩაყოლებული: ერთი გუმბათის ყელში სამხრეთ-აღმოსავლეთით, მეორე ჩრდილოეთ ფასადის სარკმლის მარჯვენა წირთბ-



სურ. 16.

ლში და ორიც — დასავლეთის ფასადზე, დიდი რელიეფური კომპოზიციის ორივე მხრით (სურ. 16). ესენი უნდა შეადგენდეს ჩრდილო და სამხრეთ ფასადების სარკმლის ზემოთ მოთავსებული ჯვრის ნაწილებს (როგორც ეტყობა, ძეგლის აღმდგენელ ოსტატს არ ეყო ნაწილები ჯვრის აღსადგენად და ამიტომ იგი მხოლოდ საშენ მასალად გამოიყენა).

ორნამენტის მთავარ ელემენტს ერთ ღერძზე მდებარე, ერთმანეთისაგან დაცილებული


წრეები წარმოადგენს. მათ ერთმანეთთან აერთებს ერთი მთლიანი ლენტისაგან შემდგარი ოთხკუთხედები, რომლებიც წრეებს შუა ნაპირებზე არსებულ სიციარიელის შესავსებად ნასკვებს აკეთებს. წრეებისა და ოთხკუთხედების კომბინაციაში ზღართვითაა შეყვანილი მესამე ელემენტი, — სახელდობრ, კომპოზიციის შუაში ორი პარალელური ლენტაა გაყრილი. ქრის ღრმა რელიეფის გამო ორნამენტი მეტად მკვეთრია.

ორნამენტი თავიდანვე გრძელი კომპოზიციებისთვისაა განკუთვნილი. მას ძირითადად იყენებდნენ კარ-სარკმლების საპირეებად, კარნიზზე და უფრო ხშირად ფასადების დეკორატიული დიდი ჯვრების არშიად.

ეს მოტივი არ გვხვდება საშუალო საუკუნეების ადრეულ ძეგლებზე. იგი პირველად ახტალის ძეგლის დასავლეთ კარბიჭის კარნიზზეა გამოყენებული (სურ. 17 ა). ეს არშია, ცაიშის ორნამენტთან განსხვავებით, პარალელურად მიმავალი ორი წრისაგან შედგება. წრეების ერთი წყება მეორე წყებასთან ნასკვებითაა შეერთებული. მოტივის მეორე ელემენტი, ოთხკუთხედი, აქაცაა გამოყენებული. ის ორივე მეზობელ წრეებშია გაყრილი. მხოლოდ ნასკვს კი არ აკეთებს განაპირას, წრეებს შუა, არამედ სამკუთხურადაა ჩატეხილი. წრეების ორივე რიგში, ცალ-ცალკე, არშიის მთელ სიგრძეზე ზღართვითაა გაყრილი ორი პარალელური ლენტი.

ხოზის ძეგლზე ამ მოტივის ოთხი ვარიანტია. დასავლეთ კარის

საპირზე ძირითადში იხუთივე მოტივია. როგორც ზემოთ განხილული მე-2 შემთხვევა, ე. ი. გამოყენებულია ერთმანეთზე გადამჯდარი წრეები, იმ განსხვავებით, რომ აქ ისინი ლერძზე ერთმანეთს ნასკვებით კი არ უკავშირდებიან, არამედ ცოტათი დამორბეულნი



სურ. 17.

არაან და მთელ სიგრძეზე ორი პარალელური ლენტის აქვთ გაყრილი (სურ. 17ბ). ამ სახის ზუსტი პარალელი გვხვდება სამთავროს ნ. პ. ზაქარაია

გუმბათის ყელზე, სარკმლის საპირედ (XIII—XIV სს.). სამი პარალელური ლენტისანი ეს მოტივია გამოყენებული ხობის ძეგლის დასავლეთ კარიბჭეში (სურ. 17გ).

ამავე, ხობის ძეგლის დასავლეთ კარიბჭის კამარის სამხრეთ-აღმოსავლეთ თაღებზე მოცემულია ამ მოტივის სულ სხვა ვარიანტი. აქ უარყოფილია კომპოზიციის მესამე ელემენტი — პარალელური ლენტები. სამხრეთ-აღმოსავლეთის თაღზე ორმაგი წრეების შუა რიგს ერთმანეთთან აკავშირებს კვადრატი, გვერდებზე კი — სწორკუთხედი (სურ. 17დ). მეორეგან კი ერთმანეთზე ვერტიკალურად ფუძეებით მიბჯენილი სამკუთხედებია (სურ. 17 ე).

ზარზმის კომპლექსზე მოცემულია ამ მოტივის ორი ერთმანეთთან ახლო მდგომი ვარიანტი. ძეგლის ჩრდილოეთი ფასადის მარჯვენა მრგვალი სარკმლას საპირეზე წრეები ერთმანეთს მხოლოდ გარე საკონტურო ლენტებით უკავშირდება. აქაც ორნამენტს ორი პარალელური ლენტი გასდევს შუაში (სურ. 17 ვ). იქვე მდგარი სამრეკლოს ზედა სართულის კარნიშის ერთ-ერთ მოტივს შეადგენს ზუსტად ასეთივე ორნამენტი. ასეთივე მოტივია სამრეკლოს პირველი სართულის აღმოსავლეთ ფასადზე მდებარე დიდ ჯვარსა და სარკმელზე, მხოლოდ შემდეგი დამატებით: საკონტურო ლენტი წრეებს შორისა სიციარიელის ამოსავსებად ნასკვს აკეთებს (სურ. 17ზ). ამ უკანასკნელის ზუსტი პარალელი გამოყენებულია სხვა ძეგლებზედაც, რომელთა თარიღი ჯერ საბოლოოდ დადგენილი არ არის.


როგორც ორნამენტის განხილვიდან ირკვევა, იგი არ გვხვდება საშუალო საუკუნეების ადრეულ ძეგლებზე. მის პირველ ნიმუშებს ვხედავთ XIII ს. პირველ მეოთხედში, ისიც მხოლოდ ერთგან, — საქართველოს ტერიტორიის აღმოსავლეთ ნაწილში (ამჟამად სომხეთის ტერიტორიაა) მდგარ ახტალას ძეგლზე (როგორც ეტყობა, იგი ამ ხანაში ვერ პოულობს გავრცელებას), შემდეგ საქართველოს დასავლეთ ნაწილში — ხობსა და ბედიაში; სამხრეთ საქართველოში ზარზმაში და კიდევ ერთგან, საქართველოს ჩრდილოეთით განაპირას (ხევში) — ყაზბეგის სამებაში. უშუალოდ ეს მოტივიც თავსდება XIII ს. ბოლოსა და XIV ს. დასაწყისში.

6. დასავლეთ ფასადის მარცხენა სარკმლის ქვედა ოთხკუთხა ფრაგმენტის საპირე მხოლოდ ლენტოვანი წნუსლისაგან შედგება (სურ. 18, ტაბ. XVI). სურათის სქემა ერთმანეთზე „გადამჯდარ“ წრეების ჯაჭვისაგან იქმნება, თითოეული წრის ლენტები მეორე წრის შიდა სივრცეს წვნივთ ავსებს. ამ არშიის მიმართულების პირპენდიკულარულად მკლავები ნასკვებით მთავრდება. ერთის შეხედ-

ვით დაწვინაში თითქოს მხოლოდ ერთი ლენტი იღებს მონაწილეობას, მაგრამ იგი ოთხი ცალკე ლენტისაგან შედგება.

სხვა ძეგლთაგან ამ მოტივის ზუსტ განმეორებას ვხედავთ ფიტა-

რეთის ძეგლში, სამხრეთ ფასადის მარჯვენა სარკმლის საპირეზე (ერთ-ერთი მოტივი); ამავე ძეგლის აღმოსავლეთ ფასადის გვერდის დაბალი ნაწილების კარნიზი მოტივის მეორე სახეს გვაძლევს. ორნამენტის სქემა შეცვლილია: წრეების ჯაჭვში დამარებით შეტანილია რომბები: წრე წრეს ენასკება, რომში კი წვნით გადადის წრეზე და მის შუაში, კარნიზის მიმართულების პერპენ-



სურ. 18.

დიკულარულად ორნასკეს აკეთებს. ამ მოტივის ასეთი სახე გამოყენებულია კოჯრის კაბენის აღმოსავლეთ ფასადის მარჯვენა ქვედა სარკმლის საპირედ.


მალაღანთ ეკლესიის კარნიზის აღმოსავლეთ ფასადის სარკმლის საპირე ამ ორნამენტის ერთ-ერთ გავრცელებულ სახეს წარმოადგენს. აქაც სქემა წრეების ჯაჭვისაგან შედგება. წრე წრეს კი არ ენასკება, არამედ გადადის და მეორე წრის შუაში გრეხით იღებს ჯვრის ფორმას, იგი ზემოთ განხილული მაგალითებიდან მხოლოდ იმით განსხვავდება, რომ ჯვრის ყველა მკლავის შემადგენელი ლენტი მოპირდაპირე წრის ლენტას უერთდება. ორნამენტის ამ ვარიანტს არც მომხარჩობელი ლენტი აქვს.

ამ მოტივის მრავალსახეობათაგან შეიძლება დავასახელოთ ბეთანიის ტაძრის კარნიზის კარნიზი, ახტალის ჩრდილოეთ კარის გარე არშია, გულარეხის აღმოსავლეთ ფასადის სარკმლის საპირე და სხვ.


როგორც ვნახეთ, ამ ორნამენტს სხვადასხვა ვარიანტით XIII ს. დასაწყისიდან ვხვდებით და იგი საკმაოდ გავრცელებულია.

ცაიშის ორნამენტი ტექნიკურად საკმაოდ კარგადაა შესრულებული, — ღრმა რელიეფით, მკვეთრი სურათით.


7. სამრეკლოს დასავლეთ ფასადის შემოსვაში ჩატანებული ორნამენტი უდავოდ მთავარ ძეგლს მიეკუთვნება. შესრულების შანია, კრის ტექნიკა მას განხილულ ორნამენტთა ჯგუფს მიაკუთვნებს. იგი წარმოადგენს ვანიერ არშიას, რომელიც შეიძლება საპირედ იყო გამოყენებული ცაიშის ძეგლის სამხრეთ კარიბჭეში. ამ შემთხვევაში ამ საკითხს გადაწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს.



ა.



ბ



გ



დ

სურ. 19.

მოტივის სქემა შედგება ორიგად მიმავალ წრეების ჯაჭვისა და გარდიგარდმო გარდამავალ ლენტების წნულისაგან (სურ. 19ა). წრე სამი მხრიდან წრეებს ეკვანძება, ხოლო მეოთხე მხრიდან მომჩარჩოებელ ლენტს. თითო დიაგონალური ლენტი ორივე მიმართულებით წვნით გადადის წრეებზე, სწორი კუთხით ტყდება გარე მომჩარჩოებელ ლენტთან და წვეტით ებჯინება მას. ლენტი წრესთან არსად კვანძს არ აკეთებს. აღრეულ ძეგლებზე ვერა ვხვდებით ორნამენტის ასეთ სახეს.

მის უშუალო პარალელს მხოლოდ ზარზმის ძეგლი გვაძლევს, — ჩრდილო ფასადის საკამელი ამ ორნამენტითაა მორთული (სურ. 19გ); რაც შეეხება მოტივის ვარიანტებს, ისინი მრავლად პოიბოვება წინა საუკუნეების ძეგლებზე. XIII ს. დასაწყისიდანვე

მას სრულიად ჩამოყალიბებული სახე აქვს და მრავალ სახესხვაობასაც იძლევა.


ახტალის ძეგლზე ეს მოტივი რამდენიმე ადგილასაა გამოყენებული სხვადასხვა კომპოზიციაში. დასავლეთ შესასვლელის საპირედ იმავე სახის ორნამენტი, იმ განსხვავებით, რომ დიაგონალური ლენტი გარე მომჩარჩოებელ ლენტს ჰქმნის, ეკვანძება წრეს და პის შემდგენელ ლენტს წარმოადგენს (სურ. 19ბ). იგივე სახეა გამოყენებული აქვე უკვდერის სამხრეთ ფასადის პილასტრებზე და ბაზებზე, მხოლოდ ერთლარიან ლენტით.

ღმანისის დასავლეთ კარიბჭის დასავლეთ ფასადის მარჯვენა ნიშას მარცხენა პილასტრის ბაზისზე ამ მოტივის ერთ-ერთი კვადრატული კომპოზიციაა წარმოდგენილი. წრე წრესთან ორჯერ აკეთებს კვანძს, თანაც კვადრატის დიაგონალზე ორმაგი ლენტია ნასკვებით. დიაგონალები გარე მოჩარჩოებაში კვანძებით გადადის და წრეს ადგენს.

ამ მოტივის მრავალი ვარიანტი არსებობს (მაგ. ბეთანია, სურ. 19დ), მაგრამ მათ ჩვენ არ განვიხილავთ. აქ შევნიშნავთ მხოლოდ, რომ ცაიშის ორნამენტი დამუშავების მანერითა და ჰრის ტექნიკით უკანასკნელ პერიოდის ძეგლთა ჯგუფს მიეკუთვნება.

8. გამოყენებულია ამ გეომეტრიული მოტივის ორი სახე. ერთი მათგანით ორი მრგვალი სარკმლის საპირეა მორთული; პირველი სარკმელი სამხრეთ ფასადის მარცხენა ნაწილშია ჩასმული (სურ. 20 და ტაბ. XIX), მეორის ფრაგმენტი კი გამოყენებულია დასავლეთ ფასადის მარცხენა სხვადასხვა ნაწილებისაგან შემდგარ სარკმლის ზედა ნაწილად (ტაბ. XVI). მოტივის მეორე სახით მორთული ყოფილა დასავლეთ ფასადის მთავარი სარკმელი. დღეს მხოლოდ მისი ფრაგმენტებიაა შერჩენილი (ტაბ. XVIII).

ორნამენტი ლენტოვანი სამკუთხედების ორი რიგისაგან შედგება. რიგები ერთმანეთისკენ მიმართულია სამკუთხედების წვეროებით, თითოეული წვერო გადანასკეულია მომდევნო სამკუთხედის წვეროსთან. რადგანაც ცაიშის ორნამენტი მრგვალ სარკმლის საპირეს წარმოადგენს, ამიტომ მისი სწორხაზობრივი არ-



სურ. 20.

შიად გამოყენებისაგან განსხვავებით აქ საპირის გარე წრეხაზზე,

სამკუთხედის ფუძის შუაზე, თითო მარყუჟია დამატებული. ეს კარგად აქვს ოსტატს მოფიქრებული, თორემ აქ არასასიამოვნო სიცარიელე შეიქმნებოდა.

XIII ს. პირველი წლებიდანვე ეს მოტივი დიდი პოპულარობით სარგებლობს და შემდეგში მას განუწყვეტლად ვხვდებით ძეგლების უმრავლესობაზე.

ზემოგანხილულის უშუალო პარალელს კოჯრის კაბენი იძლევა. აღმოსავლეთ ფასადის მარცხენა ზედა სარკმლის საპირე ამ მოტივის ზუსტი პარალელია. ასეთივე კომპოზიციისაა ფიტარეთის კარიბჭის აღმოსავლეთ ფასადის მრგვალ სარკმელზე, მაგრამ რადგანაც მას სამკუთხედის გარე ფუძეზე არა აქვს დამატებითი მარყუჟები, ამიტომ ის ჩვენ შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც უფრო გავრცელებული სწორხაზოვანი შემთხვევა, როგორცაა ბეთანიის სამხრეთ კარის საპირე, ახტალის ეკვდერის სამხრეთ ფასადის ერთ-ერთ პილასტრის არშია, გუდარეხის ფრაგმენტები, საფარის დასავლეთ კარიბჭის მარცხენა სვეტის ერთ-ერთი არშია და სხვ.

მოტივის მეორე სახე, როგორც დასაწყისშიც აღვნიშნეთ, დასავლეთ ფასადის მთავარი სარკმლის ფრაგმენტზეა. ამ სარკმელზე ორი საპირე არშიაა: ერთი კედლის სიბრტყეზე და მეორე დაქანებულ ზედაპირზე. კედლის სიღრმეში. ამ უკანასკნელზე ზუსტად შემოთ განხილული სახეა, ხოლო მეორე გარე არშია ამ სახის რთულ კომპოზიციას წარმოადგენს. არშიის სიგანეზე ოთხი „სამკუთხედი“აა. განაპირა სამკუთხედები ერთი ლენტისაგან შემდგარი ტოლფერდაა. მხოლოდ ესაა, რომ შიდა ორს აქვს სამი კუთხე, მაგრამ მესამე გვერდი კი არა აქვს. ამის გამო თითოეული რიგის ასეთი „სამკუთხედებისა“ ერთ მთლიან ლენტს წარმოადგენს, (მხედველობაში არ ვიღებთ სარკმლის კუთხეში არშიის სწორკუთხურ მოხვევის დროს მიღებულ წყვეტას). ამ სამკუთხედების ერთი ბოლო ეკვანძება გარე სამკუთხედების შიგნით მიმართულ თავსუფალ ბოლოს, ხოლო ორი დანარჩენი თავისთავად აკეთებს მარყუჟს და ასე გრძელდება არშიის მთელ სიგრძეზე. ამრიგად მიღებულ ორნამენტის ორი მოპირდაპირე ნაწილი ერთმანეთთან დაკავშირებული არის არა უშუალოდ, არამედ მხოლოდ კომპოზიციურად; ასეთი სამკუთხედების ყოველი თავისუფალი ბოლო მოთავსებულია მოპირდაპირე სამკუთხედის ორ ბოლოებს შორის დარჩენილ არეზე, იმავე სწორ ხაზზე.

მოტივის ამ სახის უშუალო პარალელს ჯერჯერობით ვერ მივაკვლიეთ.

საერთოდ, ამ მოტივის მრავალი სახე არსებობს, მაგრამ რადგან

ნაც მათ უშუალო კავშირი არა აქვთ ჩვენს შემთხვევასთან, ამიტომ მათი განხილვა მხოლოდ დაამძიმებდა შრომას. მისი გავრცელების დიაპაზონის საჩვენებლად აქ საჭიროდ მიგვაჩნია მხოლოდ დავასახელოთ ამ მოტივის ერთ-ერთი, ნიკორწმინდის ძეგლზე მოცემული სახე. სამხრეთ ფასადის მრგვალი სარკმლის საპირე ორი ელემენტისაგან შედგება: სამკუთხედებისა და რომბებისაგან. არშის ორივე ნაპირზე მოსდევს სამკუთხედების ჯაჭვი, ხოლო მათ შუა რომბების, ჯაჭვია, რომელიც ნასკვებით აკავშირებს სამკუთხედების ორივე ჯაჭვს.

ცაიშის ორნამენტი ტექნიკურად კარგადაა შესრულებული, რელიეფიც საკმაოდ ღრმაა, მაგრამ მისი ზემოაღნიშნული ნიშნები მიუთითებს შესრულების გვიან ეპოქაზე.

9. ამ ორნამენტის მხოლოდ ფრაგმენტი მოგვეპოვება. იგი საშენ მასალადაა გამოყენებული სამრეკლოს სამხრეთ ფასადზე (სურ. 21). მოტივი სრულიად მარტივი სქემისაა. მარჯვნივ და მარცხნივ პარალელურ ლენტების ერთმანეთზე გადასვლით ბადეა მიღებული. ლენტები მხოლოდ გარე მოჩარჩოებაში ენასკვება ერთმანეთს. არშია მიღებულია ერთი ელემენტის განმეორებით. თვით ელემენტი ერთი ლენტისაგან შექმნილი ორი, წვეტებით ერთმანეთისკენ მიქცეული სამკუთხედი.

აქვეა ამ მოტივის მეორე ფრაგმენტიც: პალატის ჩრდილოეთის ფასადზე ჩატანებული ორმაგლილიან ფრაგმენტის გარე არშიაზეა მოცემული ამ მოტივის მეორე ფრაგმენტი, რომლის შესრულების ხარისხი პირველს გაცილებით სჯობს. მოტივის უშუალო პარალელები მრავლად მოიპოვება XIII—XIV ს. ძეგლებზე.



სურ. 21.

ზარზმის ტაძრის შესასვლელის (კარიბჭიდან არშიად გამოყენებულია დუნედ შესრულებული ეს ორნამენტი. უფრო კარგი შესრულებით ვხედავთ მას კულუს ძეგლზეც, აგრეთვე აბტალაში და დმანისის კარიბჭეზე.

ცაიშის ორნამენტის ტექნიკური მხარე არაღამაკმაყოფილებულია. ლენტები დაბრეცილია, კრა დაბალი და საერთოდ შესრულება დუნე, რაც ისევ აღნიშნულ ეპოქაზე მიუთითებს.

10. გუმბათის ყელის სამხრეთ-აღმოსავლეთ სარკმლის ზედა



ნაწილში ჩასმული ფრაგმენტი — ზემოთ განხილული მოტივის სახესხვაობაა. მისი ზოგადი სახე იგივეა, მაგრამ ნახატი სულ სხვა სახითაა მიღებული: რთული არშია ორი ლენტისაგან შედგება; თითოეული ლენტი მოძრაობს მარჯვნივ და მარცხნივ, მობრუნებისას ლენტი ნასკვს აკეთებს თავისთავთან. რადგანაც მომჩარჩოებელი ლენტი არა აქვს, ხოლო არშიის ღერძზე ისინი რიგრიგობით გადადგებიან ერთმანეთზე.

ეს მოტივიც საკმაოდ გავრცელებულია. იგი გამოყენებულია ნაგ., ბეთანიის მცირე ტაძრის დასავლეთ ფასადის მარჯვენა კარნიზზე, ქვათახევის გუმბათის ყელზე, აბტალის ეკვდერის ფასადებზე მრავალჯერ, პირღებულის კარნიზზე და სხვ.

11. ძეგლის აღდგენის დროს ფასადების შემოსვაში ჩატანებული ამ მოტივის ორი ფრაგმენტი: ერთი გუმბათის ყელის ჩრდილო სარკმლის ზედა ნაწილად, მეორე კი ჩრდილო ფასადზე სარკმლის მარჯვნივ. ისინი ერთიმეორის გაგრძელებას წარმოადგენენ. ეს ფრაგმენტიც თავდაპირველი გუმბათის ყელის სარკმლის ნაწილები უნდა იყოს.

მოტივი ერთლარიან ლენტისაგან შექმნილი რომბებსა ჯაქვს წარმოადგენს. აქ გვაქვს ერთმანეთში ჩაწვნილი რომბებისაგან შემდგარი ორი ჯაქვი. რომბების განაპირა წვეროები მარყუებობიანია. გარე მოჩარჩოება მათ არ აქვთ, თუმცა გუმბათის ყელის ფრაგმენტის მარცხენა ნაწილში, რომბების რელიეფს ქვემოთ, გამოლებულია თითქმის შეუქმნეველი ლენტის მსგავსი რამ.

მოტივის უშუალო პარალელს ბეთანიის ძეგლი გვაძლევს. აღმოსავლეთ ფასადის მრგვალი სარკმლის საპირე ზუსტად ისეთვე ერთლარიანი ლენტისაგან შექმნილი ორნამენტია, როგორც ცაიშში.

მოტივის სურათის სქემის მიხედვით უშუალო პარალელს გვაძლევს აგრეთვე ფიტარეთის ძეგლიც. აღმოსავლეთ ფასადის მთავარი სარკმლის სათაური მთლიანად ასეთი ორნამენტისაგან შედგება. (განსხვავება მხოლოდ ლენტის ღარების ჩაოღენობაშია: ცაიშში ერთლარიანია, აქ — ორლარიანი). აბტალის ეკვდერის ფასადებზეც რამდენიმეჯერაა გამოყენებული ეს მოტივი. იქაც ზოგიერთს მომჩარჩოებელ ლენტისმაგვარი რაღაც გააჩნია, მაგრამ ისიც ორნამენტის რელიეფის ქვეშაა.

სხვა ძეგლებზე ამ მოტივის კიდევ ორი სახესხვაობა არსებობს. პირველს, კარგი შესრულებით ჩამოყალიბებული სახე, ეკორთის ძეგლზეა. საკურთხევლის სარკმლის არშიის ძირითადი სქემა რომბების ერთ ჯაქვს შეიცავს; ზემოთ განხილულ სქემისაგან მხოლოდ იმით განსხვავდება, რომ რომბის კიდური წვეროები აკეთებს არა

მარყუქს, არამედ კვანძს, რომლიდან გამოსული ლენტის ქმნის მოჩარხოებას. თითოეული ლენტი ორ მეზობელ რომბთა ნახევრებსა ქმნის. ეს სახე ძალიან გავრცელებულია მომდევნო ხანაში, მაგ. წულრულაშენის (ჩრდილო მინაშენის ჩრდილო ფასადის მარჯვენა სარკმლის საპირე), ბოსლების სამების (სამხრეთ ფასადის სარკმლის მოჩარხოების მარცხენა კაპიტელი), საფარის (სამსხვერპლოს აღმოსავლეთ სარკმლის საპირე, დასავლეთი კარიბჭე), ზარზმის (დასავლეთი ფასადის სარკმლის არშია) და სხვა ძეგლებზე.

ამ მოტივის მეორე სახეს დაბის ძეგლი გვაძლევს. დასავლეთი ფასადის სარკმლის შიდა საპირე ორნამენტი ზემოთ განხილული იკორთის შემთხვევაა, მხოლოდ ორჯერ გამეორებული (ე. ი. ერთი ჯაჭვის ნაცვლად აქ ორია; ყოველი ჯაჭვის რომბები მეორის რომბებშია ჩაქსოვილი). ამ სახის ზუსტ პარალელს რამდენიმე დაუთარილებლო ძეგლზედაც ვხვდებით. ცაიშის ორნამენტის შესრულების ტექნიკა მეტად მშრალია და სხვა თვისებებითაც იგი უკავშირდება გვიანდელ ჯგუფს.

12. ეს ორნამენტი აფსიდის სამხრეთ სარკმლის საპირედაა გამოყენებული (სურ 22, ტაბ. XI). მას S-ების მოტივს უწოდებენ. იგი საკმაოდაა გაშუქებული ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში და გენეზისი დადგენილია, ამიტომ ჩვენ არ შევუდგებით მის დეტალურ განხილვას.<sup>1</sup>



სურ. 22.

შეიძლება ითქვას, რომ საშუალო საუკუნეების ხუროთმოძღვართათვის ეს მოტივი ყველაზე საყვარელი მოტივია. XI ს. დასაწყისიდან (ბაგრატის ტაძარი, ნიკორწმინდა, სვეტიცხოველი, სამთავრო ოა სხვ.) იგი, ხორცშესხმული და დახვეწილი, თან სდევს ხუროთმოძღვრებას და მასთან ერთად განიცდის ცვლილებებს — იგი თანდათანობით ჰკარგავს „კენარეულობას“, ხდება მისი სტილიზირება. თუმცა, უნდა ითქვას, რომ მისი სახე არასოდეს არ ჰკარგავს მიმზიდველობას.

<sup>1</sup> Г. Чубиниш. Сюрбесский царковъ (Христ. восток. т. IV, вып. II. 1915), стр. 180—181; გ. ჩუბინაშვილი და ნ. სვეროვი. ქართ. არქ. გზები გვ. 107, რ. შმერლინგი, „ქართული ხელოვნება“. I. გვ. 64, 66; ვ. ბერიძე. იქვე, გვ. 112—113; პ. ზაქარაია. წულრულაშენი, გვ. 55.

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ამ მოტივის სტრუქტურა ძირითადად არ შეცვლილა შემდეგ ხანაშიაც, მაგ.: ახტალა, ფიტარეთა, წულრულაშენი ინარჩუნებს დადგენილ სახეს; ასევე უფრო გვიანდელ საფარის ძეგლზეც მას უკვე ერთხელ მიღებული ფორმისადამოგვეცემს ოსტატი (დას. სარკმლის თავსართზე).


ცაიშის განსახილველ მოტივს ანალოგია არ გააჩნია. იგი განცალკევებითა დგას დღემდე ცნობილ ძეგლებიდან. ამიტომ საკითხავია, რომელ საუკუნეს უნდა მივაკუთვნოთ იგი? მას შერჩენილი აქვს ამ მოტივის ზოგადი სახე, მაგრამ მასში ვერც ერთ კვანძს ვერ ამოვხსნით წესიერს; აქ თუ რომელიმე რტოზე (ამ შემთხვევაში ლენტზე), ფოთლისებრი სამყურის დამუშავება წესიერად აღმა მიდის, უცბად ლებულობს სრულიად საწინააღმდეგო მიმართულებას; ამავე დროს, ეს „კაუქი“ უშუალოდ კი არ გამოდის მთავარი ტოტიდან, ისე როგორც ეს საერთოდ ხდებოდა, არამედ პირდაპირ ზედ ებჯინება მას, ამიტომ იგი სრულიად ცალკე ელემენტის სახეს ლებულობს, რომელიმე გვერდიდან მიდგმულს. გარდა ამისა, რამდენიმე „კაუქი“ შედგება ორი სხვადასხვა მხრიდან გამოსული ნაწილებიდან, რომლებიც ერთმანეთს მხოლოდ წვეტებით ეხება, რის გამოც ეს ნაწილი ორმხრივი კაუქის ფორმას ლებულობს. ზოგან ლენტი წყდება. და მის მაგივრად სხვა მხრიდან აღმოცენდება. ჩუქურთმის სქემის ასეთი ტრაქტოვკის გამო მოტივს მეტად ქაოსური სახე აქვს.

ჩვენი მოტივის დასათარიღებლად მხოლოდ მისი დამუშავების მანერა და გადაწყვეტის საერთო პრინციპი თუ დაგვეხმარება. ეს კი ორგანულადაა დაკავშირებული ძეგლის მთელ დეკორთან და მათთან ერთად თარიღდება.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ S — ორნამენტის ელემენტი რამდენიმეჯერაა გამოყენებული ძეგლის წრიულ კომპოზიციებში, მაგრამ მათ ჩვენ ვერ ჩავთვლით მოტივის სახესხვაობად, რადგანაც აქ მხოლოდ ორნამენტის წრიული ლენტის „სამყურა“ (ჩვენს შემთხვევაში „ორყურა“) ნაწილია გამოყენებული. ასეთი კომპოზიციები გამოყენებულია ცაიშის ძეგლის ფასადის შე-პილასტრის ორივე ბაზისზე, მე-3 პილასტრის მარჯვენა ბაზისზე და აფსიდის ჩრდილო სარკმლის მოჩარჩოების მარჯვენა კაპიტელზე. ხსენებული ელემენტი ყველგან მხოლოდ გარე მომჩარჩოებელ ლენტზეა, დანარჩენი შიდა სივრცე კი დაფარულია სხვადასხვა სახის წნულით.

S—ორნამენტის გამოყენებას წრიულ კომპოზიციებზე იშვიათად ვხვდებით, მაგ., დმანისის დასავლეთ კარბჭის ერთ-ერთი კვარცხლებეკი მთლიანად დაფარულია ამ მოტივის თავისებური კომბინაციით.

ჰ3. მოტივი გამოყენებულია აფსიდის კარნიზის მთელს სიგრძეზე (სურ. 23, ტაბ. XVII<sub>1</sub>). როგორც ეტყობა, ეს ორნამენტი მთლიანად გასდევდა თვით ძეგლის მთავარ კორპუსს. დღეს მხოლოდ სამხრეთ-აღმოსავლეთ ჯვრის მკლავებს შორის დაწეულ ნაწილს შერჩენია იგი ხელუხლებლად. ორნამენტის ფრაგმენტებია აღდგენის დროს სამხრეთ ფასადის დასავლეთ ნაწილის კარნიზზე (კარნიზის ფრაგმენტები ჩაყოლებულია აგრეთვე გალავნის კედლებში, საშენ მასალად).



სურ. 23.

ამ მოტივის უშუალო პარალელს, ყველა მისი დეტალით, ჯერ-ჯერობით ვერ მივაკვლიეთ. მისი გენეზისის ზოგადი სახის დასადგენად მოგვიხდება მოკლე ექსკურსის გაკეთება ადრეულ საუკუნეებში. ცაიშის ორნამენტი პირველია თავისი ეპოქისა. ყველა ია ნიუანსი, რომელიც მან განიცადა, საკმაოდ დიდ გზას მოიცავს.

ცაიშის მოტივი წნულისა და მცენარეული ორნამენტის ერთ-ერთ კომბინაციას წარმოადგენს. მოტივის საერთო სქემა პორიზონტალური განლაგებით ძირითადადში ორი ნაწილისაგან შედგება: ქვედა ბადისებრ წნულისაგან და ზედა გრეხილნარევე ფოთლებისაგან. მოტივის სქემის გასარჩევად უნდა ავიღოთ ორ მეზობელ ფოთლების ვერტიკალურ დერძებს შორის მოთავსებული ნაწილი. ამ მონაკვეთში „ბადე“ შედგება ერთი მთლიანი ამოუხლიანი ლენტისაგან, რომლის ორივე ბოლოც ფოთლების ფუძეებში აკეთებს კაუქს და მათ ეხორცება. ფოთლებს შორისი ვერტიკალური საკვანძოვანი

ლენტოვანი გრეხილი იმ ლენტის ნაწილია, რომელიც კარნიზს ზემოდან მთელს სიგრძეზე უწყვეტად გასდევს. იგი კარნიზის ზედა კონტურს შემოწერს, დაბლა ჩამოდის ვერტიკალური გრეხით და ექაჰვება ბადის ლენტის ამოწეულ ნაწილში. -

ცაიშის მოტივთან ახლო მდგომი ანალოგიები საშუალო საუკუნეების გვიანი ხანის ძეგლებზე გვხვდება, მაგრამ სურათის სქემის საერთო სახე პრინციპში ძველია. — უკეთ, ჩვენ მას XI ს. პირველი წლებს ძეგლებზედაც ვხვდებით (სურათის საერთო ს. ხეზი ლაპარაკის დროს ვგულისხმობთ მის ორ ძირითად ნაწილს). ორნამენტის ქვედა ნახევარი ლენტოვანი წნულია, ზედა კი — მცენარეული. მაგ. ნიკორწმინდაში სამხრეთ პორტალის მოჩარჩოების ორნამენტის (აღმოსავლეთ და სამხრეთ ფასადების დეკორატიული თაღების შიგნითა არშია) ქვედა ნახევარი შედგება წრეების ხლართისაგან, ზედა კი მათზე გამოშვებული ფოთლებისაგან. ზუსტად ასეთივეა საეანეში (სამხრეთ პორტალის გარეთა საპირე და დასავლეთ სარკმლის საპირე). გართულებული სახით გვაქვს აქვე ამ სახის რამდენიმე ვარიანტი. იმავე და მომდევნო საუკუნეებშიც მოტივის ასეთი სქემის მრავალგვარ სახესხვაობას ვხვდებით. დროთა განმავლობაში ორნამენტის ასეთი სახე თანდათან უფლებებს იღებდა და მას უფრო ხშირად მიმართავდნენ.

ცაიშის ორნამენტის ჩამოყალიბებულ სახეს პირველად კოჯრის კაბენში ვხვდებით. აღმოსავლეთ ფასადის მარცხენა ნიშის ზედა მარჯვენა სარკმლის საპირის ერთი ნაწილი ამ მოტივისაგან შედგება. აქაც ქვედა ნახევარი მხოლოდ წნულია. ზედა კი მათზე აღმართულ ფოთლებისა და მათ შორის ვიწრო ლენტოვანი წნულის ვერტიკალისაგანაა შემდგარი (აქ ვერტიკალურ გრეხილს ლენტი კი არ ექაჰვება ქვედა წნულს, როგორც ცაიშში, არამედ გრძელდება და მონაწილეობს წენაში). აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ მცენარეულ მოტივში ფოთლებს შორის ვიწრო, ლენტოვანი გრეხილის აღმართვის დადგენილი სახე უკვე იკორთის ძეგლზე გვაქვს (სამხრეთ ფასადის აწეული ნაწილის სამ სარკმელთაგან მარჯვენის საპირე). ამისივე სახესხვაობას იძლევა ქვათახევის ოსტატი (აღმოსავლეთ ფასადის კარნიზის ფრაგმენტები). ამ მოტივის კიდევ ერთ სახეს გვაძლევს ფიტარეთის შემთხვევა. ქვედა ნაწილი მთლიანად ერთმანეთზე გადაბჯდარ წრეების ექაჰვება შედგება. ყოველი მეორე წრიდან ლენტოვანი გრეხილი ამოდის, თითოეულ გამოშვებით გრეხილი ჩაკეტილია, მეორეს ზემოდან ჩამოდის ორივე მხარეს ნახევარფოთლები. ამ ხანაში გავრცელებულ ერთ-ერთ სახეს კიდევ მოვიყვანთ. დმანისის დასავლეთ კარბიჭის

კარნიზის ფრაგმენტზე უფრო რთული ვარიანტია; ორნამენტის ქვედა ნაწილი წრეების ჯაჭვისაგან შედგება, რომლიდანაც სათითაოდ და ამოსული ფოთოლი. ფოთლებს შორის არის მეტად ელანათონ ლენტოვანი-გრეხილი, რომელიც რატომღაც ყოველი წრის შარჯვენა ნაწილიდან გამოდის. ფოთლებსა და გრეხილს შორის, ზედა ნაწილში, იმავე ლენტისაგან პატარა ნაკეთებულები კეთდება. ორნამენტის ქვედა წრის შიგნით საკმაოდ ფართო ფოთოლია. რომლის საწყისი ლენტებიც მონაწილეობენ საერთო წვანაში.

მომდევნო ხანის ძეგლებიდან საფარის მოტივსაც დავასახელებთ. საფარის, დასავლეთ კარიბჭის კარნიზის ორნამენტი განხილული ტიპისაა, მაგრამ სურათი გაცილებით უფრო რთულია. ქვედა შორი-ზონტი ლენტების წნულის ბადეა, რომლიდანაც რიგრიგობით ამოდიან ფოთოლი და ლენტი. ორმაგი ლენტი სწვრივად ადის და სინჯლის ნახევარზე ერთდება; მასზე გამობმულია ლენტი, რომელიც მაშინათვე ნახევარ ფოთლებს ქმნის ორთვე მხარეს. მათ მოხრილ თავებს შუა კიდევ ერთი სამკუთხა-ფოთოლია. ეს რთული კომბინაცია ორნამენტის სტრუქტურის წესების ზუსტი დაცვითაა შესრულებული (იგი «ეპოქის სიმშრალეს» მაინც არაა მოკლებული).



სურ. 24.

როგორც ვნახეთ, ცაიშის მოტივის ტიპი იქმნება XIII ს და გრძელდება მომდევნო ხანაშიც, ამიტომ მისი უფრო ზუსტი თარიღის დასადგენად უნდა მივმართოთ შესრულების მანერას და ქრის ტექნიკას. ამ ნაწილის შესაჯავლში

ჩვენ აღვნიშნეთ ცაიშის კერძო შემთხვევის თავისებურებაც (სადაც მცენარეული მოტივების ანალიზი ვაწარმოეთ), ვნახეთ, რომ ოგ მთლიანად ექვემდებარება XIII—XIV ს. მიჯნაზე შექმნილ სტილის თავისებურებებს. ეს მოტივი ყველაზე მკვეთრად მიუთითებს აღნიშნულ ეპოქაზე.

14. მოტივი ორგანოა გამოყენებული საკუროთხევლის ცენტრალური სარკმლისა (სურ. 24, ტაბ. XVIII) და სამხრეთი ფასადის მთავარი სარკმლის საპირეებთან (სურ. 25, ტაბ. XV). ეს ორნამენტიც ერთი სიცოცხლის უნარიანთაგანია ქართული არქიტექტურის ძეგლებზე. დროთა ვითარებაში იცვლებოდა მისი პროპორციები, მაგრამ სურათის საერთო სახე, მისი სქემა ძირითადად უცვლელად

ლი რჩებოდა. მან თავის გამოჩენის პირველივე ხანებში მოგვცა კლასიკური სახე ბაგრატის ტაძარსა და ნიკორწმინდაზე. შემდეგში მისი გამოყენება ცოტა ნელდება და ისევ XIII საუკუნის დასაწყისიდან ორნამენტაციის რეპერტუარში თითქმის ყუცილებელი ელემენტი ხდება (ბეთანია, ჭეათახევი, მალალაანთ ეკლესია, აბტალა, ფიტარეთი, წულრულაშენი,<sup>1</sup> დმანისი, ჰუჯაბი, უფრო გვიან ზობში და სამთავროს გუმბათის ყელზე გვხვდება და სხვ.).



სურ. 25.

ეს ორნამენტი ლენტოვანი წნულისა და მცენარეულ ელემენტისაგან შედგება. ლენტოვანი წნული კომპოზიციის სამკუთხედსა ჰქმნის, ხოლო სამკუთხედის შუაში ერთმანეთის შოპირდაპირედ განლაგებული მცენარეული ელემენტი. ორნამენტის ყოველი დეტალი ოთხი ცალკე ელემენტისაგან შედგება; პირველი გრძელი ლენტია, რომელიც სამკუთხური გადატეხით უწყვეტად გრძელდება საპირის მთელ სიგრძეზე. მეორე ლენტი ფოთლის წვეტის გასწვრივ „აბაჰს“ მთავარ ლენტს და თვითონაც შეკრულია სამკუთხედად, მესამე ლენტი ამ მეზობელ პატარა სამკუთხედებს ერთმანეთთან აკავშირებს და თვითონ მრავალყურა ფოთლის აღმოსაყენებელ „ნიდაგს“ წარმოადგენს. რაც შეეხება ფოთლის ყურების რაოდენობას, იგი ცვალებადობდა ხუთის, შვიდისა ან ცხრის ფარგლებში. ქვედა მოპირდაპირე ორი „ყური“ უფრო ხშირად მოგრებილი ლენტის კონცენტრულნი წრეებისაგან იქმნება, მომდევნოები კი უფრო წესიერ სტილიზებული ფოთლის ყურებს წარმოადგენს. ასეთი სახით ცოცხლობდა ეს მოტივი საუკუნეების მანძილზე. ცაიშის არქიტექტორმა დაარღვია ეს ტრადიცია, მაგრამ არა უკეთესისაყენ, არამედ უარესისაყენ; ლამაზმა მოტივმა მიიღო უსიცოცხლო, მშრალი სახე. ორნამენტის მრავალყურა მცენარეული მოტივი ოსტატმა შოაქცია ორ ხაზს შუა, სადაც ხაზი ან სწორია ან ცოტათი ოვალური, ხოლო მათ შუა მოთავსებული არე დაპყრო სამკუთხურად ჩაჭრილ სიბრტყეებად. ამ ჩაღრმავებული „სამკუთხედების“ რიცხვი ექვსიდან თექვსმეტამდე ცვალებადობს.

ცაიშში ერთ ჯადახვევასთანაც გვაქვს საქმე, სახელდობრ, ხაშხარეთი სარკმლის ორნამენტი იცავს ძველ ტრადიციულ აქ აღწერილ

<sup>1</sup> პ. ხაჭარაია. წულრულაშენი, გვ. 52-53.

სქემას, მაგრამ აბსიდში ასე არაა, — აქ, ლენტოვანი წნული მთლიანად ერთი ლენტის ზღართვითაა მიღებული. ამის გაპო ფოთლისთვის განკუთვნილი სამკუთხა არე ფუძეგამილილი. სამკუთხედია და ცარიელი ნაწილები მეტი რჩება, რაც, ცხადია, კომპაქტურობას უკარგავს ორნამენტს.

ამ მოტივის ცაიშური სახის უშუალო პარალელი არა გვაქვს, მაგრამ აქ მოცემული ფოთლის თავისებურება ჩვენ განვიხილეთ ორნამენტაციის შესავალ ნაწილში, სადაც იმ დასკვნამდე მივდივით, რომ იგი უნდა ეკუთვნოდეს XIII ს. დასასრულსა და XIV ს. დასაწყისს.

№5. მოტივი ამკობს ორ კაპიტელს: აფსიდის პირველი პილასტრის მარცხენას (ტაბ. XX) და IV-ის მარჯვენას. ორივე ერთი და იმავე ოსტატის მიერ თანაბარი სიზუსტითაა შესრულებული. კომპოზიცია წრიულია, მაგრამ რადგანაც ისინი კვადრატულ ქვაზეა მოთავსებული, ამიტომ კვადრატის კუთხეებში სიციარიელის მოსასპობად, დანარჩენი კაპიტელების მსგავსად, აქაც რაღაც ფოთლის მაგვარი დამუშავებაა.

ეს ორნამენტი მცენარეული ელემენტისა და ლენტოვანი წნულისაგან შედგება. კომპოზიციის მთავარ ელემენტს გვარედინად განლაგებული, ერთმანეთისკენ წვეროებით მიმართული ოთხი ფოთოლი შეადგენს. ფოთლების ფუძეს ქმნის საწინააღმდეგო მხრით მიმართული ორი ლენტი. თითოეული მათგანი ქმნის ორ მეზობელ ფოთოლთა ნახევარ ფუძეს, ხოლო ლენტი ერთიდან მეორეში გადასვლამდე ქმნის რთულ ზღარს, გარე მოჩარჩოებას და ავსებს მთელი კომპოზიციის მეოთხედს.

ეს მოტივი, ღლიდან მისი წარმოშობისა, მეტად სიცოცხლისუნარიანი გამოდგა. თითქმის ოთხი საუკუნის განმავლობაში ქართული არქიტექტურის ძეგლების ფასადთა დეკორში მას ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უჭირავს. იგი ძირითადად გამოყენებული იყო კარ-სარკმლების საპირეებად, ხოლო XIII—XIV ს. მას იყენებენ ცალკე კომპოზიციებადაც მედალიონებზე, კაპიტელებზე და სხვ. ორნამენტის „კლასიკური“ სახე უკვე XI ს. პირველი წლების ძეგლებზე გვაქვს, როგორც ბაგრატის ტაძარზე, ნიკორწმინდაზე, სვეტიცხოველზე და სხვაგან. შემდეგში მისი სახე თანდათან ხდება სტაბილიზებული და XIII ს. პირველი ნახევრის ძეგლებზე აქა-იქ გვხვდება ძალიან მშრალი სახით (ახტალა). ამავე საუკუნის მეორე ნახევრიდან მისი უკვე მხოლოდ და მხოლოდ სქემატური და მშრალი სახე გვხვდება. ასე მაგ.: მეტეხში (თბილისის); ხობში, საფარა-



ში და სხვა დაუთარილებელ ძეგლებზე. ჩვენი ორნამენტიც ამ უკანასკნელთა ჯგუფს ეკუთვნის.

ახლა, ჩვენ შეგვიძლია საკითხის კონკრეტისა ციხისათვის დავსვათ კითხვა, თუ რაში მდგომარეობს ცაიშის მოტივის თავისებურება? ცაიშის ორნამენტის თავისებურება და, შეიძლება თამამად ითქვას, მისი დამთარილებელი მომენტი. სწორედ ფოთლების დამუშავებაში მდგომარეობს. როგორც შრომის ამ ნაწილის შესავალშიც აღვნიშნეთ, აქ ფოთლებს დაკარგული აქვს მცენარეული სახე და სტალიზირებულ, სქემატურ და მეტად მშრალ სურათს იძლევა. დაახლოებით ასეა დამუშავებული ხობის ორნამენტი (აფსიდის მთავარი სარკმელი და იმავე ჰარკმლის მოჩაჩხოების მარცხენა ბაზისი, საფარას ძეგლის ორნამენტაცია (ირდილო სარკმლის შიდა საპირე და თვით ძეგლის დასავლეთ კარის საპირე არშიაც) და სხვა ძეგლების ორნამენტაცია. უკანასკნელი სამი მცენარეული მოტივი ყველაზე მკვეთრად მიუთითებს ძეგლის აგების აღნიშნულ თარიღზე — XIII—XIV სს. მიჯნაზე.

### 3. მედალიონები და ჯვრები

ცაიშის ფასადთა მორთულობა, ზემოთ განხილულ ორნამენტთა გარდა, მრავალ სხვადასხვა ელემენტს შეიცავს. ამქაშად მათი უმრავლესობა, ყოველგვარი წინასწარი მოფიქრებით განლაგების გარეშე; გაბნეულია ფასადებზე. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს აღმდგენელ ოსტატს შეჭბრალებია მისი წინამორბედის ნაამაგარი და მიწისძვრის შემდეგ გადაარჩენილი ფრაგმენტები შეუქედლებია ფასადების შემოსვაში. ახლა ზედმიწევნით შეუძლებელია მსჯელობა იმაზე, თუ როგორ კომპოზიციებს ქმნიდნენ ისინი, ან რა მხატვრულ-ფუნქციონალურ დანიშნულებას ასრულებდნენ ფასადების მორთულობის საერთო გადაწყვეტაში.

ამ ნაწილში ჩვენ განვიხილავთ როზეტებსა და ჯვრებს. პირველი შედარებით მრავლადაა წარმოდგენილი, მეორე კი მცირეა.

1. ყველაზე დიდი და ლამაზი როზეტი მოთავსებულია აფსიდის სამხრეთის მეორე წახნაგზე (სურ. 26, ტაბ. XIX). იგი კარგად აქვს მოფიქრებული არქიტექტორს. აფსიდის სამი წახნაგის სარკმლებით მდიდრულად მორთვის შემდეგ განაპირა წახნაგები ძალიან ცარიელად მოეჩვენებოდა მნახველს, ამიტომ თვალისათვის ადვილად აღსაქმელ ადგილას არქიტექტორმა მოათავსა მოჩუქურთმებული ფართო როზეტი. იგი არ მოერიდა იმას, რომ კომპოზიციურად ყოველგვარი „დამაგრებების“ გარეშე ამ როზეტს შეიძლება „ეკურა-

ვა“ ასეთ დიდ საბრტყეზე, — მან იგი მიანდო მხედველობის ნორ-  
მალურ წერტილს (თავისი გასამართლებელი საბუთი აქვს იმასაც,  
თუ ოსტატი ჩრდილოეთითაც რატომ ასევე არ მოიქცა).

ეს მედალიონი შემორკალულია ერთლარიანი წვრილი გრები-  
ლით, მისი შიდა სივრცე მთლიანად დაფარულია ლენტოვანი წრე-  
ების ჯაჭვით, ცენტრში მოთავსე-  
ბული ერთი ლენტისაგან შექმნი-  
ლი ოთხყურა კომბინაციით ამ  
წრეების ჯაჭვში ჩაწვეულია ორი  
ლენტოვანი კვადრატი (თუმცა,  
წვნა ზუსტად არ იცავს კანონებს).

ამ მოტივის კომპოზიციის ასე-  
თა სახის წარმოშობა, ჩვენი აზ-  
რით, მრგვალი სარკმლის თავისე-  
ბურებას უნდა მიეწეროს. მართ-  
ლაც, მას პირველ ხანებში მრგვა-  
ლი სარკმლის საპირეებში ვხვდე-  
ბით და უფრო გვიან — როზეტე-  
ბად. ამ მოტივს პირველად ნიკორ-



სურ. 26.

წმინდის ძეგლი გვაძლევს (სამხრეთ ფასადის მარჯვენა მრგვალი  
სარკმელი). სამთავისის ტაძრის როზეტი სურათის სქემით ზუსტი  
პარალელია ცაიშისა. განსხვავებით მისგან აქ იგი შედგება ერთმა-  
ნეთზე მკვიდროდ მიდგმული კონცენტრული წრეებისა და პარალე-  
ლური ლენტებისაგან (ჩრდილო ფასადის მრგვალი სარკმელი).  
კორთის ძეგლზე ცოტათი განსხვავებული სახეა, — კვადრატების  
მაგიერ იქ რვაქიმიანი ვარსკვლავია (დასავლეთ ფასადის მარჯვენა  
მრგვალი სარკმელი). ასეთივე სახეა ახტალის დასავლეთ კარიბჭე-  
ზე. წულურულაშენში ჩვენი მოტივის მსგავსი ორნამენტი გამოყენე-  
ბულია პილასტრის ბაზისზე (სამხრეთ ფასადის სარკმლის მოჩარ-  
ჩობებში). ასევე უფრო გვიან ზარზმის კომპლექსში ეს მოტივი  
ორი სახითაა წარმოდგენილი. ერთი სახე ამ მოტივისა გვაქვს მთა-  
ვარი ძეგლის დასავლეთის კარის ტიმპანის მარჯვენა როზეტზე. აქ  
წრეების რაოდენობაც განახევრებულია და კვადრატებიც სხვანაი-  
რადაა განლაგებული: ისინი ერთმანეთზე კი არ გადადის, როგორც  
საერთოდ, არამედ ერთიმეორეშია ჩასმული, ერთმანეთის მიმართ  
45° მობრუნებული; მეორე შემთხვევა ზარზმის სამრეკლოს აღმო-  
სავლეთ ფასადის მრგვალ სარკმელზე გვაქვს. აქ კვადრატი ერთია.

როგორც ვნახეთ, XI საუკუნის დასაწყისიდან სამ საუკუნეზე  
მეტი ხნის მანძილზე იყენებდნენ ამ მოტივს, ჯერ მხოლოდ მრგვა-

ლი სარკმლის საპირედ, მერე კი — ცალკე კომპოზიციადაც. მიუხედავად იმისა, რომ ის ასე დიდხანს იყო გამოყენებული, ცაიშის შემთხვევის დათარაღება შესაძლებელი ხდება უფრო როზეტის შესრულების ტექნიკის თავისებურებით.

2. აფსიდის ჩრდილო სარკმლის მარჯვენა კუთხის ქვემოთ მოთავსებული როზეტი გლუვი ლილეაკითაა მოჩარჩოებული (ტაბ. XII). როზეტის კომპოზიციას ლენტოვანი ჯვრისა და მის მკლავებს შორის განლაგებულ ფოთლებისაგან შედგება. მოტივი მეტად გავრცელებულ სახეს წარმოადგენს საშუალო საუკუნეების ძეგლებზე. ცაიშის როზეტი შესრულების მანერით იმდენად მდარე ხარისხისაა, რომ პარალელად მხოლოდ ბედიის ტაძრის ნანგრევში მოთავსებული ორნამენტი შეგვიძლია დავასახელოთ.

3. სამხრეთ ფასადის სარკმლის მარჯვენა როზეტი შემოწერილია სამკუთხა ღარებიანი გრებილით (სურ. 27, XV). მისი შიდა სივრცე დაფარულია ლენტოვანი წნულით, სადაც არშიის მთავარი სქემა წრეების ჯაჭვისაგან შედგება. ამ წრეების შუაში პატარა



სურ. 27.

კოპებია სამკუთხა ღარებით და შუაში ღრმა წერტილით. უფრო დიდ კოპს ვხედავთ კომპოზიციის ცენტრშიც. ამ როზეტზე დატული არ არის წვნის ელემენტარული წესები, მაგრამ ამას ძნელად თუ შეამჩნევთ. სხვა მხრივ იგი ღრმა რელიეფითაა შესრულებული.

ეს ორნამენტი ძირითადად განკუთვნილი იყო მრგვალი სარკმლის

მოჩარჩოებისათვის, როგორც ეს აქვე, დასავლეთ ფასადზე კარს ზემოთ მოთავსებულ მრგვალ სარკმელზეა (სურ. 28).

ამ როზეტის მოტივის ცოტათი განსხვავებული სახეა წულრულაშენის ძეგლზე (აღმოსავლეთ ფასადის მარცხენა მრგვალი სარკმელი).


4. სამხრეთის სარკმლის მარცხნით, იმავე დონეზე, მოთავსებულია მეორე, თითქმის ისეთივე ზომის როზეტი (სურ. 29 ტაბ. XX) ისიც იმავე სახის გრებილითაა შემოსაზღვრული, ხოლო შიდა ორნამენტის ლამაზი სახის მოტივი ლენტოვანი წნულია.

ამ როზეტის ორნამენტი ზუსტად გამოყენებულია პილასტრის ბაზისის კვადრატზე. ეს ბაზისი, როგორც ფრაგმენტი, მოთავსებულია დასავლეთ ფასადის დიდი რელიეფის მარცხნით.

5. დასავლეთ ფასადის მთავარი სარკმლის მარჯვენა წირთხლის

შემდგენელად გამოყენებულია როზეტის ფრაგმენტი. ეს როზეტიც ზემოგანხილულ როზეტის მსგავსადაა მოჩარჩოებული, ხოლო შიგა ზედაპირი ლენტოვანი წნულითაა დაფარული. ლენტები სამ კვადრატს ქმნის, — ორი მათგანი ტოლია და ერთმანეთთან 45°-ით არის დახრილნი, მესამე კი მათ შუაშია. რელიეფი ღრმაა, წვნი წესიერი.

6. ზემოგანხილული როზეტის მარჯვნივ მოთავსებულია დიდი კომპოზიციის. შემცველი როზეტი (სურ. 30). სამწუხაროდ, მისი გარენაწილი ისეა დაზიანებული, რომ აღდგენა მხოლოდ მიახლოებით ხერხდება. ამ როზეტის ცენტრი ეჭირა საკმაოდ დიდ, როგორც ჩანს, ორნამენტირებულ კოქსს, რომელსაც ფუძეზე წვრილდარიანი გრეხილი აქვს შემოვლებული. ამის კონცენტრულად, 10 სანტიმეტრის დაცილებით, ასეთივე გრეხილია. მათ შუა წრე-რომბებისაგან შექმნილი ორნამენტული არშიაა ჩაყოლებული. გარე გრეხილის ირგვლივ თექვსმეტი თანაბარი ზომის, წრიული სახის გრეხილები ყოფილა შემოვლებული (ახლა მთავარი გრეხილის მიჯნებზე ამ წრეების მცირე ნაწილია შერჩენილი), სადაც თითოეულ წრის შუაზე პატარა კოპი მდგარა.



სურ. 28.




სურ. 29.

ასეთი ორიგინალური კომპოზიციის როზეტი ჩვენ სხვა ძეგლებზე არსად შეგვხვებოდა. შესრულებს დაბალი ტექნიკის მიუხედავად, იგი მაინც მიმზიდველი უნდა ყოფილიყო თავის დროზე.

7. ორიგინალურია ამავე ფასადის მარცხენა სარკმლის ზემოთ მოთავსებული როზეტიც. (სურ. 31, ტაბ. XVI). გლუვი ლილვაკით მოჩარჩოებული როზეტის შიდა ამობურცული სივრცე მკიდროდ და-

ფარულია წრეების ორი ჯაჭვისაგან მიღებული არშიით. კომპოზიციის ცენტრში იმავე ლენტებისაგან იქმნება პატარა წრე, რომლის შუაში დგას, ჩვენთვის ცნობილი, დაღარული კოპი. ამ მოტივის წრიულად განლაგების გამო მის გარე ნაწილში რჩებოდა შედარებით ცარიელი ადგილები, რომელიც ოსტატს ამოუვსია; გარე მოჩარჩოებელი ლენტის ორი. მხრიდან შემოყვანით; ლენტების კაუ-



სურ. 30.

ქიანი ბოლოები ფოთლის „გადაგვარებულ“ ფუძეს წარმოადგენს.

როზეტის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ მისი ცენტრალური ნაწილის ლენტებს შორისო ადგილი მთლიანად დაჩვრეტილია. ეს ცხადად მიგვითითებს როზეტის დამხმარე ფუნქციაზე. იგი, ალბათ, წარმოადგენდა იმ ტიპის სარკმლებს, რომლებითაც ანათებდნენ მეორეხარისხოვან სათავსოებს (ამ შემთხვევაში, რო-



სურ. 31.

გორც ეტყობა, სარკმლისათვის ღრუს გაკეთება ეწინააღმდეგებოდა ოსტატის კონცეფციას).

ზემოგანხილული შვიდი როზეტი თავიანთ პარალელებთან შედარებისას გვიჩვენებს შესაფერ ეპოქას. ამ მხრივ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს დამუშავების მანერა და ქრის ტექნიკა. ეს ეპოქაა სხვა ადგილებში მრავალჯერ შენიშნული—XIII ს. ბოლო და XIV ს. დასაწყისი.

ჯერების შესრულების ტექნიკა ისეთივეა, როგორც როზეტების მეორე ჯგუფისა. ისინი კედლის სიბრტყეში არის ჩაპრილი. ორივე


ჯვარი ჩაყოლებულია დასაღვთო ფასადის შემოსვლაში, — ერთი დიდი რელიეფური კომპოზიციის მარცხით ზემოთ, მეორე კი მის მარჯვნივ, მოშორებით. ეს ზომით მცირე ჯვრები ერთი ტიპისა არის. კომპოზიციის აბრისი პირველთან წრეს უახლოვდება, მეორეგან კი — კვადრატს. მათი მომჩარჩოებელი ორღარიაანი ფართო ლენტი კუთხეებში მარყუჟს აკეთებს. ორივეგან კომპოზიციის ცენტრი ჯვარს უჭირავს. ფორმით ორივე უბრალო სქემატურ ჯვარს წარმოადგენს; პირველი ოღნავ რელიეფურია, მეორე კი ღრმადაა ჩაჭრილი. მათს პარალელებს გერგეჯობით ვერსად მივაკვლიეთ.

#### 4. ბაზისები და იმპოსტები

ცაიშის ძეგლის ორნამენტაციის ზოგადი მიმოხილვისა და ცალკეული მოტივების გარჩევის შემდეგ აქვე უნდა შევეხოთ ამ ძეგლზე არსებულ ბაზისებისა და იმპოსტების ტიპის რაგვარობის საკითხს.

ბაზისები და იმპოსტები ამ ძეგლზე არ არის წარმოდგენილი ერთი რომელიმე სახით, — ისინი ოთხი სხვადასხვა სახისაა. პირველი ყველაზე მარტივი სახე, შეწყვილებული პილასტრების დამთავრებ ა მარტო ორნამენტირებული კვადრატით („კვადრატი“ პირობითი აღნიშვნაა, თორემ სინამდვილეში ადგილი აქვს გადახვევებს). ასეთებია საღიაკენოს და სამკვეთლოს სარკმლების მოჩარჩოებისა და აფსიდის შუა სარკმლის „კვარცხლბეკის“ ბაზისები (ტაბ. XIII, XIV). ასეთი გადაწყვეტა, როგორც წინათაც აღვნიშნეთ, მხოლოდ მოგვიანო ხანის ძეგლებზე გვხვდება (საფარა, ზარზმა, დაბა). განსახილველ ობიექტზე ეს პირველი სახე მხოლოდ რამდენიმეჯერაა გამოყენებული, რაც არ ითქმის ბაზისების და იმპოსტების მეორე და მესამე სახეზე; ეს სახეები ტაძარზე დომინირებულია. ასეთადაა მორთული აფსიდის სამივე სარკმელი (ტაბ. X—XII). ყველა პილასტრის ბაზისები (სურ. 33, ტაბ. XX), სამხრეთი სარკმელი (ტაბ. XV) და დასაღვთო ფასადის დიდი კომპოზიციური რელიეფის გვერდებზე ჩაყოლებული ორი ბაზისი (ეს ბაზისები ჩვენ ჩრდილო სარკმლის პირველადი ფორმის კუთვნილებად მიგვაჩნია). თუმცა ჩვენ ზემოთ მეორე და მესამე სახე ცალცალკე დავასახელებთ, მაგრამ უფრო სწორი იქნებოდა, თუ მათ ერთი სახის სხვადასხვა ვარიანტებად ჩავთვლით, რადგანაც განსხვავება მეტად უმნიშვნელოა. პირველში ერთი ელემენტი ორჯერ მეორდება, მეორეში კი — ერთხელ. პირველი ასეთია: წვრილი ორნამენტული ლენტი პატარა

საფეხურით, შემდეგ „ბურთობი“ და ისევ პირველი ელემენტი შებრუნებით, ბოლოს ორნამენტული კვადრატი. მეორე ვარიანტს პატარა საფეხური აქვს; არ გააჩნია კვადრატის მომდევნო ლენტი. განსახილველი პირველი სახე (უსაფეხუროდ) გავრცელებულია XIII ს. პირველი ნახევრის ძეგლებზე როგორცაა: ფიტარეთი,




სურ. 32.

დმანისის კარიბჭე, წულრულაშენი და გვიან—საფარაშიცი; აქ უნდა შევნიშნოთ, რომ ცაიშში ორნამენტული ლენტი ორივე პილასტრზეა შემოვლებული გაკვიმულ მდგომარეობაში, ხოლო სხვა დასახელებულ ძეგლებზე ე. წ. „სამაჯურისებური“ სისტემაა, ე. ი. ლენტი მიჰყვება პილასტრების რელიეფს. ზემოთ დასახელებული სახის მეორე ვარიანტი უფრო იშვიათ მოვლენას წარმოადგენს. იგი გვხვდება („უსაფეხუროდ“) საფარაზე, ზარზმაზე და სხვა ძეგლებზე.

უკანასკნელ, მეოთხე სახეს გვაძლევს აფსიდის თაღედის იმპოსტები: პილასტრებზე სამაჯურისებურადაა შემოვლებული ვიწრო

გრეხილი (სურ. 32), შემდეგ „ბურთობი“ და ისევ გრეხილი (ეს „გრეხილი“ უფრო ვერტიკალური კბილანაა, ვიდრე გრეხილი, თანაც იგი ექვსი იმპოსტიდან მხოლოდ სამს აქვს) და ბოლოს, — ჩვეულებრივი ორნამენტული კვადრატი. ასეთი სახე იმპოსტისა თუ ბაზისისა ორიგინალურია და იშვიათად გვხვდება. მას მხოლოდ ერთხელ შევხვდით ქობერის ძეგლზე, საკურთხევლის სარკმლის მოჩარჩოებაში, სადაც იგი მხოლოდ ერთი გრეხილითაა წარმოდგენილი.

ცაიში უკლებლივ ყველა იმპოსტსა და ბაზისზე ერთ ღირსშესანიშნავ შემთხვევას გვაძლევს ერთ-ერთი ელემენტი, ე. წ. „ბურთობი“, არ წარმოადგენს გავრცელებულ სახეს, იგი მხოლოდ მოკლე პერიოდის დამახასიათებელია.



სურ. 33.

ცაიშის ეს „ბურთობი“ არ შეიცავს ისეთს სფერულ ზედაპირიან მასას, როგორსაც აღრეულ ძეგლებზე ვხვდებით, — იგი შედგენილია ერთმანეთზე ფუძეებით მიდგმულ ორი წაკვეთილი კონუსისაგან.

ასეთ ფორმას, ძველი გავრცელებული სახის გვერდით, პირველად ხობის ძეგლზე ვხვდებით, უფრო დამჯდარი პროპორციით,



რითაც იგი „სფერულ ბურთობს“ უახლოვდება. შემდეგ მრავლადაა გამოყენებული ზარზმის ძეგლებზეც, იქვე მდგარ სამრეკლოზე კი მხოლოდ და მხოლოდ ეს სახეა გამოყენებული. სახეა ძეგლებიდან ასეთი ფორმა გამოყენებულია კულის სამრეკლოზეც (ასეთივე სახე გამოყენებულია: ბეღია, სხალთა, ბიეთი და სხვა ძეგლებზე).

ახლა, ზოგადად თუ გადავავლებთ თვალს შუა საუკუნეებში ბაზისებისა და იმპოსტების ევოლუციას შევამჩნევთ, რომ ადრეულ ხანაში შექმნილი რთული ფორმები გვარდება და თანდათანობით ისპობა. ასე, მაგალითად, XI—XII სს. ძეგლებზე იმპოსტები და ბაზისები რთული ელემენტებისაგან შემდგარ „მრავალსართულს“ წარმოადგენს; XIII ს. პირველ ნახევარში იგი უკვე შედარებით მარტივდება; ამავე საუკუნის მეორე ნახევრის ხობის ძეგლი ძველი ტრადიციით ზოგან ისევ იმეორებს რთულ ფორმებს, მაგრამ უფრო მეტად მარტივს ხმარობს. საფარაშიც შედარებით მარტივი სახითაა იგი წარმოდგენილი, მაგრამ ამავე ძეგლზე პირველად ვხვდებით ერთელემენტოვან ბაზისს, თუ იმპოსტს, სახელდობრ მხოლოდ მის კვადრატულ ნაწილს. ეს სახე თანდათან უფრო მეტად ვრცელდება (ცაიში, ზარზმა და სხვ.), ბოლოს ისიც ჰქრება (მაგ. დაბაში; აქ მთელ ძეგლზე მხოლოდ ერთხელაა ნახმარი კვადრატული ბაზისი ჩრდილო სარკმელზე). ცხადია, იგი შეიძლება საბოლოოდ არ სტოვებდეს მოქმედების ასპარეზს, მაგრამ თუ იყენებენ, მხოლოდ ტრადიციით, — მას ჩვენ ამა თუ იმ ეპოქის დამახასიათებლად ვერ ჩავთვლით.

## 5. რელიეფები

რელიეფები გაფანტულია ძეგლის სხვადასხვა ადგილას. მათი უმრავლესობა ძალიან დაზიანებულია. ეს მეტად სამწუხაროა, ერთი მხრით იმიტომ, რომ მათ მთლიანად ან ნაწილობრივ დაკარგული აქვთ მხატვრული ღირსება და მეორე მხრივ, შეიძლებოდა მათში წარმოდგენილი ყოფილიყვნენ ისტორიული ბირებიც.

როგორც აღნიშნული გვექონდა, ზომით ყველაზე დიდი ბარელიეფი მოთავსებულია დასავლეთ ფაშადის ცენტრალური სარკმლის ზემოთ (ტაბ. VI). მისი კომპოზიცია შედგება ორი ელემენტისაგან: მოჩარჩოებისა და თვით ბარელიეფისაგან. ამ კედლის სიბრტყეში ჩამჯდარი მოჩარჩოების გლუვზედაპირიანი სამი ლილვაკი ზემოთკენ მთავრდება სამკუთხედის ფორმით, სადაც მოჩარჩოების ოთხკუთხა ნაწილში ჩადგმულია ერთი მთლიანი რაღაც ბარელიეფური, გაოსასაზღვრებიანი ქვა. გამოფიტვით დაშლისა და სხვა მიზეზების

გამო ქვა დღეს ისეა დაზიანებული, რომ მასზე გარკვევით ვერაფერს ვიტყვით, ბარელიეფზე ადამიანის გამოსახულება უნდა ყოფილიყო ნახევარი ტანით. შედარებით კარგად ჩანს სამოსლის წელსქვემო კონტური, რომელიც ქვემოთკენ განივრდება. წელზე გარკვეულად რაღაც ღარიანი დამუშავებაა (მარჯვენა ხელის თითები?). დანარჩენგან, მხოლოდ თავისა და მხრების ადგილას ზოგადი კონტურის შემჩნევა ხერხდება (ამ ბარელიეფის დაკარგვა მეტად სამწუხაროა, რადგანაც შესაძლოა მასზე ქტიტორი ყოფილიყო გამოსახული).

ამ კომპოზიციის მოჩარჩოების ზედა ნაწილში გვიან ჩაუსვამთ მხედარი წმ. გიორგის გამოსახულება. ბარელიეფი მეტად პრიმიტიულია. არანორმალურად გრძელ და მასიურ ცხენზე ზის წმ. გიორგი (თუ საერთოდ ამ მდგომარეობაზე ითქმის, რომ წმ. გიორგი „ზის“ ცხენზე, რადგანაც უნაგირზე რაღაც ფეხისპაგვარი რელიეფია გამოსახული, ხოლო უშუალოდ უნაგირის ზემოთ წმ. გიორგის მხოლოდ თავი en face). რომელმაც შუბი ჩასცა ცხენის ფეხქვეშ გაწოლილ გველეშაპს. ეს კომპოზიცია სტატიურადაა გადმოცემული, მიუხედავად იმისა, რომ ცხენოსნის სამოსელი ძალიან აფრიალებულია.

ძეგლის აღმოსავლეთ ფასადის მარჯვენა ნაწილში, მრგვალი საბრკმლის ზემოთ, აფსიდის კარნიზის ჰორიზონტზე მოთავსებულია მცირე ზომის კვადრატული ქვა რელიეფით (ტაბ IV). ამ რელიეფის კომპოზიცია მეტად პრიმიტიულადაა შესრულებული. ჩვენი აზრით, რელიეფზე გამოსახული უნდა იყოს იონას თავგადასავალი. მთელი ტანით, ხელებგაშლილი, იონა თავდაღმაა მოცემული, მის პერპენდიკულარულად, მარჯვნივ, შეუსაბამოდ წერილი გველეშაპი ღია პირით ეხება იონას თავს. გველეშაპის ზემოთ, იონას მარცხენა ხელის თითებთან. თავი დაუღუნავს როშელიდაც ცხოველს. მათ შუა ხე უნდა იყოს (დღეს ცხოველის თავი და ხე მთლიანად მოშლილია, მაგრამ ე. თაყაიშვილის ექსპედიციის მიერ გადაღებულ ფოტოზე (1913 წ.) იგი შედარებით კარგად ჩანს). ეს რელიეფი ბრტყელია, თითქმის სწორი კუთხითაა ამოკვეთილი, გარდა გველეშაპისა, რომელსაც გლუვი ზედაპირი აქვს.

განხილული კომპოზიციების გარდა, ძეგლზე მოგვეპოვება რამდენიმე ფრინველის გამოსახულება. მათში ყველაზე კარგი დასავლეთის ფასადზეა ფრაგმენტის სახით (ეს ფრაგმენტი ფასადის დიდი ჯვრის ზედა მკლავს უნდა წარმოადგენდეს). აქ გრეხილიან ლილვაკზე ორი მტრედი ჩამომსხდარა (სურ. 16). პროფილში მოცემული მტრედები დამუშავებულია ელასტიკური ღარებით;

წინა მტრედს თავი არ შერჩენია, მოჰდევნოს კი პატარა, კობტა თავი აქვს.

ამავე ფასადზე, დიდი რელიეფის მარჯვნიდან ცოტა მოშორებთ, მოთავესებულა რომელიღაც ფრინველის ძალიან დაზიანებული გამოსახულება. შემორჩენილია ფრინველის მხოლოდ კონტურის ნაწილი. იგი გრეხილიან ლილეაკზეა (ხის ტოტზე?) შეკვდილი. ლილეაკი იმავე სისტემითაა დაუშვებელი, როგორც წინა კომპოზიციაში ვნახეთ. ორივე კი უშუალოდ ფასადების სხვა გრეხილთა ჯგუფს ეკუთვნის.

მესამე ფრინველი, ისეთივე დაუშვებელი, როგორც იონას კომპოზიცია იყო, ჩაყოლებულია ნალესობის ქვეშ ძეგლის შიდა შემოსევაში. სამხრეთის კედლის პილონის შუა ლილვის უშუალოდ ზემოთ მეტად სქემატური ფრინველი ფარშავანგს უნდა გამოსახავდეს. ფარშავანგის წერილი და გრძელი სხეული, საკუთხა ქოჩრით წვრილნიკარტიანი თავითა და ოთხთითა ღილებივით დამთავრებული კუდით მეტად სტილიზირებულია.

დაავრჩა კიდევ ერთი, სამრეკლოს ქვედა სართულის ჩრდილო-ფასადზე, კარის მარცხნით ჩაყოლებული ბარელიეფი (ტაბ. XXII). მისი სადაურობის გარკვევა ზედმიწევნით შეუძლებელია, მაგრამ მაინც განვიხილავთ.

ამ ბარელიეფს შეიძლება ეწოდოს ქტიტორთა ბარელიეფი, რადგანაც სამთაღედში შუაში ეკლესიის გამოსახულებაა, ხოლო გვერდებზე თითო ფიგურაა, მთელი ტანით. აქ გამოხატული ეკლესია ერთნაგვიან შენობას წარმოადგენს. ეკლესია წარმოდგენილია მხოლოდ დასავლეთი ფასადით, ფრონტალურად. სამსაფეხურიან ცოკოლზე შემდგარი ვიწრო, მაღალი ფასადი ორფერდა სახურავით მთავრდება. ფასადის ღერძზე განლაგებულია კარი და სარკმელი. მაღალი, ვიწრო კარი მხოლოდ ჩაღრმავებითაა ნაჩვენები, სარკმელი რელიეფურადაა მორთული, მაგრამ რელიეფი ქვის გაპოფიტვის გამო დაზიანებულია. სარკმელზე თაღოვანი მოჩარჩოება უნდა იყოს უშუალოდ მასზე მდებარე შვერილგვერდებიანი თავსართით. თუ ეს ასეა. მაშინ, ცხადია, უფრო ადრეულ საუკუნეებთან გვაქვს საქმე, ვიდრე ცაიშის ძეგლია (იგულისხმება მეორე პერიოდის ეკლესია).

ისეთი შთაბეჭდილებაა, თითქოს ქტიტორების გამოსახულებაში ქალი და კაცი უნდა იყოს, — მარცხნივ კაცი და მარჯვნივ — ქალი (ცოლ-ქმარი?). ორივე მოცემულია მთელი ტანით en face მარცხენა უფრო წვრილია, მარჯვენა კი „დამჯდარი“ ტანისაა. ორივე ფიგურას ფეხის წვერები ცენტრისკენა აქვს მიქცეული,

რაც უშუალოდ მათ მიმართულებას გადმოსცემს. ღილები სპავკარ და მუშავეების (ძვირფასი ქვები?) თავწასაკრავი ორივეს ყურებ: ქვემოთა აქეთ ჩამოცილებული. მარჯვენასთან შედარებით მარცხენას უფრო დიდი და გრძელი სახე აქვს; შეიძლება ვეფიქრა, რომ ეს სახე წვერებიან მამაკაცს გამოსახავს. ორივე ფიგურას მკერდზე აქეთ მოხრილი ხელები. ორივეს თითქმის ერთნაირად აცვიათ. მხოლოდ მარცხენას წამოხურული აქვს წინ გაშლილი წამოსასხამი.

თაღების გრეხილი პილესტრები ნაპირებში თითოა. შიგნით კი ორ-ორი. თაღები შედგება ორ-ორი სამკუთხა ზედაპირიანი ღილებისაგან, რომლებიც ფილოვან იმპოსტებზე ეყრდნობა. პოლასტრებს ბაზისებიც უნდა ჰქონოდა, მაგრამ დღეს მათ გარკვევა ძნელია.

მეტად სავალალოა, რომ საკმაოდ კარგად შენახულ, მდიდრულ კტიტორულ ჯგუფს არ გააჩნია წარწერა, რომელიც, იქნებ ბევრი რამის მთქმელიც ყოფილიყო.

## დ) გუმბათოვანი ტაძრის რეკონსტრუქცია

ცაიშის ძეგლის რეკონსტრუქცია ხაძნელოა, რადგანაც აქ საქმე, გვაქვს შენობის ფორმების რადიკალურ შეცვლასთან. ტაძრის დღევანდელი სახე ძლიერ განსხვავდება მის პირვანდელი სახისაგან (აქ და ქვემოთაც ძეგლის თავდაპირველ სახეში ვგულისხმობთ მეორე სამშენებლო პერიოდს). მიწისძვრას პირველადი სახით გადაურჩა ზოგიერთი ნაწილი, რაც რეკონსტრუქციისათვის შეიცავს ხელმოსაქმედ მასალას.

ძეგლის თავდაპირველი სახის აღსადგენად ძირითადად ვეყრდნობით ორ რამეს: პირველი და მთავარი ეს იქნება ძეგლზე შემონახული ფაქტიური ნაწილები და მეორე, ჩვენ მიერ ადრევე წარმოებული ხუროთმოძღვრული - მხატვრული ანალიზი, სადაც ჩვენ გარკვევით შემოვწერეთ ქრონოლოგიური ფარგლები და იმ ძეგლების ჯგუფი, რომლებთანაც სტილისტიკურ ურთიერთობაში იმყოფება ცაიშის ძეგლი.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ, რომ ცაიშის დღევანდელი ძეგლი ძირითადად სამ სამშენებლო პერიოდის ნაწილებს შეიცავს. (ჩვენ სამშენებლო პერიოდად არ ვთვლით 1777 წ. ცაიშელ გრიგოლ ჩიქოვანის მიერ წარმოებულ სამუშაოებს, რადგანაც მას ძეგლისათვის არსებითად ფორმები არ შეუცვლია. ეს იყო, თუ შეიძლება ასე ითქვას, მიმდინარე შექმნება, ისიც გარე ნაწილებ-

ში). ამ სხვადასხვა პერიოდის მშენებლობამ სხვადასხვა სიძლიერით განსაზღვრეს ტაძრის მთლიანი სახე. ყოველი მომდევნო ხუროთმოძღვარი შეზღუდული იყო წინამორბედი ავტორის შემოქმედების ნარჩენით, მაგრამ არც ერთ მათგანს არ უცდია ძეგლის აღდგენა მის პირველად ფორმებში. არსებულ მასალებზე დაყრდნობით ძეგლისათვის პირველადი ფორმების დაბრუნება შესაძლებელი არც იქნებოდა.

დღეს, ჩვენს წინ მდგარ ძეგლზე, თვალსაჩინოა მხოლოდ ორი — მეორე და მესამე პერიოდი. პირველი პერიოდი ჩამალულია მეორე პერიოდის ჩონჩხში; მან მეტად არსებითი როლი ითამაშა მეორე პერიოდის ძეგლის შექმნაში და ჩვენ არ შეგვიძლია მას ხაზი არ გავუსვათ. ჩვენს პირდაპირ მიზანს წარმოადგენს იმ ძეგლის რეკონსტრუქცია, რომელიც მოიცავს მშენებლობის მეორე პერიოდს. ეს მეორე პერიოდი, როგორც ვნახეთ, ჩვენი განსაზღვრით XIII-XIV სს. მიჯნას მიეკუთვნება.

ცაშის კომპლექსში შემონახული ძეგლები ნათლად გვეუბნება, რომ ეს ადგილი ადრევე საკულტო ნაგებობათა ადგილსამყოფელს წარმოადგენდა.

პირველი ძეგლი, რომელიც ასევე ადრეულ პერიოდზე მიგვითითებს, არის დღევანდელი სამრეკლოს ჩრდილოეთ კედელზე ჩატანებული ქტიტორთა ბარელიეფი ეკლესიის მოდელით.<sup>1</sup>

მეორე ობიექტია დღევანდელი ღვთისმშობლის ეკლესიის ალაგას მდგარი ეკლესია (ჩვენს მიერ პირველ სამშენებლო პერიოდად წოდებული). მისი ისტორია ჯერჯერობით აბსოლუტურად უცნობია, მაგრამ უნდა ვიგულისხმოთ, რომ ის ძეგლი რაღაც შიზენით დაშლილა და მისი ერთი ნაწილი გამოყენებულია დღევანდელ ძეგლში (მომდევნო დროის მესვეურების მიერ ძველ, წმინდა, — „ნაკურთხ“ ადგილზე ეკლესიის ხელახლა აშენება ჩვეულებრივი მოვლენა იყო). ამ შერჩენილ ნაწილს ქვემოთ შევხებით.

როგორც აღჩვენებთ, XIII—XIV საუკუნეების მიჯნაზე შექმნილი ძეგლიდან დღემდე ხელუხლებლადაა მოღწეული სამსაფეხურიანი ცოკოლი და მასებიდან — აღმოსავლეთი და სამხრეთი ნაწილები (დეტალურად იხ. აღწერაში). ჯერ ვეცდებით წარმოვადგინოთ შიდა სივრცის თავდაპირველი სახე და მერე გადავალთ გარე მასების რეკონსტრუქციაზე.


შიდა სივრცეში პირველადი ცენტრალურ-გუმბათოვანი ტიპის ტაძრის აღსადგენად ხელს გვიშლის გვიანი (მალაქია კათალიკოსის

<sup>1</sup> იხ. ზეპოუ, გვ. 106—107.

მიერ აღდგენილი) დასავლეთის პილონები და ჯვრის დასავლეთ-მკლავში მოთავსებული პატრონიკე. ექვს გარეშეა, რომ აღსადგენი ძეგლის ავტორი არც ასეთ მასიურ პილონებს და არც ჯვრის დასავლეთის მკლავში პატრონიკეს არ გააკეთებდა. მაშ, როგორი უნდა ყოფილიყო მდგომარეობა? არ შეიძლება მსჯელობის საგნად გავხადოთ ამ ალაგას პატრონიკეს არსებობა, რადგანაც იგი პრინციპშივე ეწინააღმდეგება ჯვარ-გუმბათოვან ძეგლთა შექმნის ოდესას; ეს მკლავი თავისუფალი უნდა ყოფილიყო ყოველგვარი ჰორიზონტულ დაყოფისაგან, იგი ისეთივე თავისუფალი და იმავე სიმაღლის უნდა ყოფილიყო, როგორც დანარჩენი მკლავები. რაც შეეხება პილონებს, ამ ალაგას პილონი აუცილებლად იქნებოდა, მაგრამ არა იმ ზომისა და ფორმისა როგორც დღესაა. მოსალოდნელია, რომ აქ ყოფილიყო ისეთივე ფორმის პილონები, როგორთაც დამუშავებულია მოპირდაპირე, საკურთხევლის მხარე. აქ კი სულ სხვა სურათი გვაქვს. როგორც უფრო შორეული, ასევე ცაიშთან ქრონოლოგიურად ახლო მდგომი ძეგლები გვიკარნახებს იმ აზრს, რომ საკურთხევლის კუთხეები და საყრდენი პილონები მსგავსი უნდა ყოფილიყო. ასეა ისტორიულ სამცხე-საათაბაგოს სამ დიდ ძეგლზე. ამათგან კი ტიპით ცაიშთან უშუალოდ ახლო დგას საფარისა და ზარზმის ძეგლები. ამ დასავლეთი პილონების კოორდინატების განსასაზღვრავად უნდა მივიჩნიოთ კედლის პილონები და გუმბათქვეშა კვადრატი (სურ. 34). თვით ამ კვადრატის გვერდის განმსაზღვრელად კი უნდა მივიღოთ საკურთხევლის პილასტრებს შორის მანძილი; რომელიც თავდაპირველია. თუ აღნიშნული პრინციპით ავაგებთ პილონებს და მათ მოპირდაპირე კედლის პილონებთან თაღებით შევავრთებთ, ვნახავთ, რომ ყველაფერი ზუსტად ლავდება, თუ არ მივიღებთ მხედველობაში იმას, რომ დასავლეთი კედლის ჩრდილო პილონი ოციოდე სანტიმეტრით უფრო ჩრდილოეთით მდებარეობს (ასეთი ცდომილება არ არის მხედველობაში მისაღები, რადგანაც თვით მშენებელი ხუროთმოძღვრები ხშირად გაცილებით მეტ თავისუფლებას იჩენდნენ მასებისა თუ მორთულობის განლაგებაში).

რაკი უკვე დავადგინეთ გუმბათქვეშა კვადრატი, ახლა შევიძლია შევეუდგეთ თვით გუმბათის ყელის აღდგენასაც. გუმბათქვეშა კვადრატიდან, ცხადია, გუმბათზე გადასვლა ხდებოდა აფრული წესით, ხოლო გუმბათქვეშა თაღების დონისა და ფორმის დასადგენად უნდა მივმართოთ ისევ საკურთხევლის მხარეს. ჩვენ აზრით, თუ აქ არსებული თალი თავდაპირველი არ არის, ყოველ შემთხვევაში იგი აღდგენილ უნდა იყოს იმავე ნაწილებიდან და იმავე ფორ-

ნებში, რადგანაც საეკურთხეველის სამხრეთი პილასტრი და კაპიტელი ხელუხლებელია, თალი არ შეიძლება დაწყებულიყო კაპიტელზე მალა. ამასვე გვიყარნახებს თავდაპირველი აფსიდის კონქი. ამ თალის მსგავსად აღგება დანარჩენი გუმბათქვეშა თაღ-



1 0 1 2 3 4 5 მ.

სურ. 34. ტაძრის რეკონსტრუქციის პროექტი. გეგმა.

ბიც, რის შემდეგაც საშუალება გვეძლევა აღვადგინოთ თვით გუმბათის ყელიც.

გუმბათის ყელის პროპორციები და სარკმლების სიმაღლე უნდა განისაზღვროს ფასადებზე. გუმბათის ყელის ცილინდრის ბო-

ლოებში ჩვენ გამოვიყენეთ დღევანდელი გუმბათის ლილვაკები, რადგანაც ასეთი დამუშავება არ ეწინააღმდეგება იმ ეპოქის პრინციპებს (ასეა საფარაში და ქულეშიც).

ახლა, როდესაც უკვე ავაგეთ გუმბათის ყელი, მივიღეთ ისეთი პროპორციები, რომელსაც ჩვეულებრივ არ მიმართავდნენ (სურ. 35). გუმბათის ყელის სიმაღლე თითქმის შენობის ქვედა ნაწილის ტოლია; მოსალოდნელი იყო, იგი უფრო დაბალი ყოფილიყო, მაგრამ სხვაგვარად მისი აღდგენა შეუძლებელი არის, რადგანაც მის სიმაღლეს, როგორც ვთქვით, ფასადები განსაზღვრავს.

ისმის კითხვა, თუ რამ გამოიწვია გუმბათის ყელის ასეთი პროპორციები?

ტაძრის შინაგანი სივრცის ასეთი პროპორციები ნაკარნახევია აქ არსებული პირველი ეკლესიიდან გადაარჩენილი ნაშთით.

პირვანდელი ძეგლას გადაარჩენილი ნაწილი შეიცავს საკურთხეველის აფსიდს მთლიანად და ბემისა და გვერდის სადგომების მეტ ნაწილს. მომდევნო ხუროთმოძღვარმა არ მოისურვა ასეთი მასის მოშლა და იგი ჩააქსოვა მის მიერ აგებული შენობის ჩონჩხში (აფსიდის კედლის სისქე შენობის დანარჩენი კედლას სისქეს 40 სანტიმეტრით აღემატება). ამ უდავო პირობის მიღების შემდეგ გასაგები ხდება ტაძრის შიდა მასების ასეთი პროპორციები და ჯვრის მკლავების ზემოთ შექმნილი უჩვეულო სიციარილეები.


საკურთხეველის გვერდის კომპარტიმენტების აღდგენის დროსაც ჩვენ ვეყრდნობით გადაარჩენილ ნაწილებსა და გადაკეთების აშკარა კვალის მატარებელ ადგილებს. ამთგან, საღიაკვნოს აღდგენა შედარებით ადვილად ხდება: აქ უახლოესი დროისა და ასავლეთის შესასვლელის თალი, სადაც უნდა ყოფილიყო დაბალი კარი არქიტრავული გადახურვით. რაც შეეხება საკურთხეველთან მის შემაერთებელ კარს, იგი ტრადიციის მიხედვით შეიძლებოდა არ ყოფილიყო (თუ დავუშვებთ მის არსებობას, მაშინ ისიც დაბალი და სწორი გადახურვით უნდა ყოფილიყო, რადგან მისი თალიც აშკარად ატარებს გადაკეთების კვალს).

სამსხვერპლოს აღდგენა უფრო ძნელია, ვინაიდან მას მეტი ცვლილებები განუცდია. ბემის კედელში გაჭრილი გასასვლელი თავდაპირველია, მხოლოდ თალის მაგიერ არქიტრავი იქნებოდა. რაც შეეხება დასავლეთ კედლის მშენებლობის რამდენიმე ფენას, უნდა მივიღოთ მხედველობაში კედლის ორივე ბოლოებში ჩატანებული ძველი კედლის დარჩენილი ნაწილები და ის ტრადიცია, რომ სამსხვერპლო დარბაზს არასოდეს არ უერთდებოდა ისეთი. დიდი, რომელიც ახლა არსებობს. ჩვენს მიერ ზემოთ წარმოებულ



აღწერაში აშკარად ჩანს, რომ იგი გადაკეთებულია. ამიტომ ამ კედელშიც, დანარჩენის მსგავსად, დაუშვით ერთი ჩვეულებრივი გასასვლელის არსებობა სწორი გადახურვით.

საიდუმლო ოთახების აღდგენა შედარებით ადვილია, რადგანაც თუ სამხრეთი სადგომის დასავლეთ გასასვლელიდან გვიან ჩაღვმულ



სურ. 35. ტაძრის რეკონსტრუქციის პროექტი. განაკვეთი სამხრეთით.

ქვას გამოვიღებთ, მივიღებთ სრულ სახეს. უნდა მივიღოთ, რომ ასეთივე სადგომი იქნებოდა ჩრდილოეთითაც, მხოლოდ რადგანაც მათ შუა არსებობს ვიწრო გვირაბი, შეიძლება მის დასავლეთ კე-

დელში კარი არც ყოფილიყო (თუმცა ამ კარის არსებობაც თითქმის არაფერს ცვლის).

თუ გადავალთ ჯვრის გვერდის მკლავების განხილვაზე, აქ დიდი სიძნელეები არ გვხვდება, რადგანაც სამხრეთი კედელი შედარებით კარგადაა დაცული. აქ შესასვლელი და სარკმლის ქვედა ნაწილი ხელუხლებელია. თუ მივიღებთ მხედველობაში სარკმლის გარეთა ორნამენტული მოჩარჩოების მთლიანობას, მაშინ შეგვიძლია დავუშვათ, რომ მოპირდაპირე ჩრდილო-კედელიც ასევე იყო დამუშავებული. ამ მკლავების ზედა ნაწილი უეჭველად ცილინდრული კამარით იქნებოდა დამთავრებული.


რაკი დასავლეთის ჯვრის მკლავში შესასვლელი და კედლის პილონები თავის ადგილზეა, ამიტომ შედარებით მტკიცედ შეგვიძლია მივიღოთ, რომ იგი სხვა ძეგლების მსგავსად, გვერდითი ნავთან შეერთებული უნდა ყოფილიყო ერთი მთლიანი თაღით და ნათღებოდა ერთი დიდი სარკმლით, რომლის ნაწილი ახლაცაა შერჩენილი დასავლეთის ფასადზე.

გვერდის ნაგებსაც მეტად უცვლიათ სახე. მათში შერჩენილი ერთი დეტალის მიხედვით ისინი ორსართულიანი უნდა ყოფილიყო. როგორც აღწერაშიც აღვნიშნეთ, ორივე ნავის განაპირა კედლების დასავლეთ კუთხეებში სხვადასხვა სიგანის (სამხრ. კედელზე — 60 სმ., ხოლო ჩრდილოეთისაზე — 75 სმ.) თაღის თუ კამარის, ქვედა ნაწილია შემონახული. ორივე იწყება ერთ და იმავე დონიდან (2,60 სმ.), უშუალოდ კედლის სიბრტყიდან. თუ ამ თაღის მრუდს აღვადგენთ, მაშინ იგი ზემოდან გადაუვლის ჩრდილო ნავის სარკმელს, რაც ბუნებრივია, რადგან ეს სარკმელი თავის პირვანდელ ადგილზეა, ხოლო სამხრეთისას გადაკრის. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ეს სარკმელი გვიანდელია და ამ ნავში სარკმელი უნდა ყოფილიყო იმავე დონეზე, როგორც ჩრდილოეთისაშია. ფაქტიურ მასალებში არ არსებობს პირდაპირი პასუხი იმის შესახებ, თალი იყო აქ თუ კამარა; ამიტომ ანალოგიური ძეგლების მოშველიებით ეს საკითხი დადებითად გადაწყდება.

განსახილველი ტიპის ძეგლების გვერდის ნაგები ორსართულიანიც კეთდებოდა, მაგრამ ეს არ ყოფილა აუცილებელი. შეიძლება ცაიშის ოსტატმაც გვერდითი ნაგებში პატრონიკები მოაწყო. თუ ასეთ აღდგენას არ მივიღებთ, მაშინ იქ, მხოლოდ თაღის არსებობას გაცილებით ნაკლები გამართლება ექნება. ამიტომ ჩვენ მომხრე ვართ პატრონიკეს აღდგენისა.

შიდა სივრცის რეკონსტრუქციის დამთავრების შემდეგ თუ შევუდგებით გარე მასების აღდგენას, აქ, უპირველეს ყოვლისა, უნდა, მ. პ. ზაქარაია

ვეცადოთ აღვადგინოთ საერთო მასები. ამისათვის აუცილებელია ამ ცენტრალურ-გუმბათოვან ძეგლს დაეუბრუნოთ თავისი ტიპიური სახე, ე. ი. ჯვრის აწეული მკლავები და გუმბათი.



სურ. 36. ტაძრის რეკონსტრუქციის პროექტი. აღმოსავლეთის ფასადი.

აღდგენას ვიწყებთ ყველაზე კარგად შემონახულ აღმოსავლეთის ფასადიდან (სურ. 36). აქ აფხიდს და ჯვრის მკლავის ქვედა ნაწილს არავითარი შესწორება არ სჭირდება გარდა ჩრდილო კუთხისა,

რომელიც საჭიროა გადაიწიოს ათი სანტიმეტრით და გასწორდეს ქვედა შერჩენილი ნაწილის მიხედვით. ფასადის ჯვრის მკლავის შემადლებისა და მისი ფუძის განსაზღვრა შეუძლია ფასადის შერჩენილ კარნიზს. ეს კარნიზი სწორედ იქ წყდება (მხედველობაში ვლებულობთ ძეგლის შიგა რეკონსტრუქციას და გუმბათის ყელის კედლის სისქეს), სადაც ჯვრის შემადლება უნდა დაწყებულიყო, ხოლო ფრონტონის სიმაღლე და გუმბათის ყელი ერთმანეთს განსაზღვრავენ; აქ ვეცადეთ დაგვეშვა შიგნითა რეალური და აღდგენილი მასათა პროპორციებისაგან გამომდინარე მინიმალური ზომები.

რაც შეეხება თვით გუმბათის ყელს, რადგანაც მის აღსადგენად არ გაგვაჩნია საკმარისი ფაქტიური მასალა, უნდა მივმართოთ ისევ მასთან ქრონოლოგიურად ახლო მდგომ ძეგლთა ჯგუფს, მაგრამ ამ შემთხვევაშიც ძირითადი დასაყრდენი თვით ცაიშის აფსიდის პრიზმული მასაა, რომლის შედარებითი ანალიზი ადრევე საკმაოდ ვრცლად ვაწარმოეთ.

აქ ჩვენ არ ვუშვებთ იმ აზრს, რომ ცაიშის ძეგლის გუმბათის ყელს სხვა ფორმა ჰქონოდა ვინემ პრიზმისა, რადგანაც იმ პერიოდში გავრცელებული იყო მხოლოდ ასეთი ფორმა. ამასვე გვეუბნება მისი უშუალო პარალელები: საფარა და ზარზმა. ხოლო პრიზმის წახნაგების რაოდენობის განსაზღვრისას ისევ გამოვდივართ უფრო გავრცელებული სახიდან და თორმეტი წახნაგის არსებობა დავუშვით. ამ წახნაგებზე ამდენივე სარკმელი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ვინაიდან იმ პერიოდის ძეგლები — საფარა, ზარზმა, კულე, ბიეთი, ყაზბეგის. სამება და სხვა იძლევა ფორმით იმდენივე სარკმელს, რამდენიც წახნაგია, ხოლო სინამდვილეში კი მათი ნახევარი ცრუ სარკმლებია, ნახევარი კი — ნამდვილი, ამიტომ აღნიშნული გარემოება მივიღეთ მხედველობაში და თორმეტიდან მხოლოდ ექვსი ნამდვილი სარკმელი დავუშვით.


პრიზმული გუმბათის ყელის მორთულობას საფუძვლად დავუდეთ ისევ ცაიშის პრიზმული აფსიდისა და სარკმლების დამუშავება და თითოეული წახნაგი ცალ-ცალკე დავამუშავეთ.

დასავლეთის ქაოსური ფასადის მოწესრიგება უფრო ძნელია. მისი მასები აღვადგინეთ ადგილობრივ შერჩენილი ნაწილებისა და აღმოსავლეთისა და სამხრეთის ფასადების არსებულ ნაწილებზე დაყრდნობით (სურ. 37).

აქ, როგორც ვიცით, თავდაპირველ ადგილზეა მხოლოდ შესასვლელი კოპებით და მარცხენა სარკმლის ქვედა ნაწილი. დანარჩენი ყველაფერი აღსადგენია.

ცენტრალური ღერძის აღსადგენად ყველაფერი ამავე ფასად-

ზეა. ახლანდელი შთავარი სარკმლის ქვედა ნაწილში მოთავსებული  
 სარკმლის ორნამენტული ნაწილი საშუალებას გვაძლევს აღვად-



სურ. 37. ტაძრის რეკონსტრუქციის პროექტი. დასავლეთის ფასადი.

გინოთ ეს სარკმელი გარე ლილვების დამატებით. ძეგლზე შერჩე-  
 ნილი სარკმლები გვაფიქრებინებს, რომ სარკმლის ზედა ნაწილი


თაღოვანი ფორმისა უნდა ყოფილიყო. მის ზემოთ ვათავსებთ დიდ რელიეფურ კომპოზიციას, რადგანაც ფორმის მიხედვით იგი სწორედ ამ ალაგასაა მოსალოდნელი. ფრონტონის უკანასკნელ წერტილში ვათავსებთ ამავე ფასადის მარცხენა ნაწილში მოთავსებულ ორიგინალურ სარკმელს (ამ სარკმლის ორიგინალობა იმაში მდგომარეობს, რომ მისი ზედაპირი მთლიანად მოჩუქურთმებულია, ნოლო ჩუქურთმის ღეროებს შორისო ადგილი ქვის მთელ სისქეშია ამოღებული და ამდენად მალულ სინათლის წყაროს წარმოადგენს). ეს თავისებური სარკმელი ალბათ იმიტომ დასკირდა ოსტატს, რომ ფასადებზე არ უნდოდა გამოჩენილიყო ჯვრის მკლავებსა და სახურავს შორის შექმნილი დიდი სიციარილე. ამავე დროს კი სადგომებს სჭირდებოდა განათება. მანაც ასეთ ხერხს მიმართა.

როგორც ტაძრის ინტერიერის რეკონსტრუქციის დროს ვნახეთ, ამ ფასადის გვერდითი დაბალი ნაწილები ორიარუსიანია. ამასვე გვიკარნახებს მარცხენა სარკმლის ასე დაბლა მოთავსება ქვედა ნაწილის გასანათებლად, რადგანაც ზემო ნაწილი აღმოსავლეთი ფასადის მსგავსად ცალკე იქნებოდა განათებული. ამ ნაწილის გასანათებლად ჩვენ გვაქვს ფასადებზე გაბნეული სამი მრგვალი სარკმელი: ორი დასავლეთის ფასადზე (ერთი ფრაგმენტის სახით მარცხენა სარკმლის ზედა ნაწილშია გამოყენებული კედლის შესამოსავად, გათლილი ზედაპირით, მეორე კი — ცენტრალური სარკმლის მარჯვნივ), მესამე — სამხრეთისაზე. მათგან ორ სარკმელს ვათავსებთ პატრონიკების გასანათებლად (მესამე შეიძლება ჩრდილო ფასადზე იყო გამოყენებული, მსგავსად სამხრეთ ფასადისა). ასეთ აღდგენას თუ დაეუშვებთ, ფასადის ამ განაპირა ნაწილებში მივიღებთ ორ-ორ სარკმელს: ქვემოთ — მაღალ სარკმლებს თაღოვანი გადახურვით და ზემოთ — მცირე ზომის მრგვალ სარკმლებს.

აღსადგენი დაგვრჩა გვერდითი ფასადები. ამ ფასადთაგან შერჩენილი ნაწილების მიხედვით მხოლოდ სამხრეთის აღდგენა შეიძლება. მოპირდაპირე ფასადის შესახებ კი უნდა დაეუშვათ, რომ მასაც დაახლოებით ისეთივე სახე ექნებოდა (სურ. 38).

დანარჩენი მასების აღსადგენად უნდა ვიხელმძღვანელოთ სამხრეთ ფასადის შერჩენილი მარჯვენა ნაწილით. მასების აღდგენის შემდეგ ვლებულობთ ძალიან მაღალ ჯვრის მკლავს (რაც, როგორც უკვე ვნახეთ, გამოწვეულია მეორე პერიოდის ოსტატის შიერ შიდა სივრცეში თავდაპირველი აფსიდის ფორმებისთვის ანგარიშის გაწევით). ფასადის ამ ცენტრალურ ნაწილში განლაგებული უნდა ყოფილიყო შესასვლელი, სარკმელი და დეკორატიული

ჯვარი (სურ. 38). პირველი მათგანის — შესასვლელის მხოლოდ ზემო ნაწილია აღსადგენი, რადგანაც მისი ქვედა ნაწილის მოჩარჩოება მსგავსია დასავლეთის შესასვლელისა, ამიტომ შეგვიძლია დავუშვათ, რომ ესეც ისეთივე უნდა ყოფილიყო. მის ზემოთა



სურ. 38. ტაძრის რეკონსტრუქციის პროექტი. სამხრეთის ფასადი.

სარკმლის ხერელი, როგორც ვიცით, აღგილზეა. ის მოჩარჩოება, რომელიც მას აქვს, თუმცა დანგრევის შემდეგაა აღდგენილი, მაგრამ ქვედა ჰორიზონტისა და კუთხეების კვადრატების გამოკლებით, ძველი ნაწილებისაგანაა შედგენილი. სარკმლის გვერდებზე

ვათავსებთ იმ რიზეტებს, რომლებიც ახლაც დაახლოებით იქვეა მოთავსებული.

სარკმლის ზემოთ შექმნილი დიდი სივრცე და მუშავებული უნდა ყოფილიყო დიდი დეკორატიული ჯვრით, რომლის რამდენიმე ფრაგმენტიც გაფანტულია აღდგენილი ფასადების შეპოსვაში (იხ. გვ. 79—81). ამ ჯვრის ზედა ნაწილი უნდა სკეროდა დასავლეთის ფასადზე მოთავსებული რელიეფით მორთულ ფრაგმენტს ორი მტრედით. დეკორატიული ჯვრის არსებობა ამ ფასადზე, ჩვენი აზრით, ეპოქალურადაც გამართლებულია.

სახურავის ქვეშ მოქცეული სივრცის გასანათებლად ჯვრის ზემოთ ფრონტონის კუთხეში და საერთოდ ყველა ფასადებზე ვათავსებთ ისეთივე მთლიანად ორნამენტით დაფარულ სარკმელს, როგორც დასავლეთისაზე ვნახეთ.

ამით ვამთავრებთ ცაიშის ტაძრის რეკონსტრუქციაზე მსჯელობას. ჩვენ ვეცადეთ რეკონსტრუქციის პროექტი წარმოგვედგინა ადგილზე არსებულ მასალებზე და ანალიზზე დაყრდნობით, რაც შეიძლებოდა სრულყოფილად.



### III. პლაგია


ცაიშის კომპლექსის უძველესი ნაგებობა დგას გალანის გარეთ ჩრდ-დასავლეთის კუთხეში. მას ადგილობრივი მცხოვრებნი „პალატს“ უწოდებენ. იგი ტაძრის ეზოდან არ ჩანს, რადგანაც ხევის ფერდობზეა მიშენებული და ერთადერთი ღია ჩრდილო ფასადის დანახვაც მხოლოდ ხევიდან შეიძლება. გვერდითი ფასადები ცოტათი მოსჩანს სამკუთხედის ფორმით. ფასადები უბრალოდაა შემოსილი. მის შემოსილობაში აქა-იქ ეკლესიის ფრაგმენტებია გამოყენებული. მაგრამ შესვლისთანავე თვალს ხვდება კონტრასტი, ინტერიერსა და ექსტერიერს შორის. ინტერიერის შესრულების ტექნიკის მაღალი ხარისხი და ნალისებური თალები ადრეულ საუკუნეებს მოგაგონებთ (სურ. 39—41).

ოთხკუთხა გეგმის არაწესიერი ფორმა ადგილზე ნაკლებად შეიმჩნევა. სადგომს ოდნავ განსხვავებულ მონაკვეთებად ჰყოფს გრძივ ღერძზე განლაგებული ორი პილონი (სურ. 39). ამ თითქმის კვადრატული გეგმის პილონებზე ჯვარედინად გადასული თალები სხვადასხვა ზომის კედლის პილონებს ეყრდნობა (ტაბ. XXIII, XXIV). გრძივ კედლებზე სამ-სამი და მოკლე კედლებზე ორ-ორი თალოვანი არეებია. ყველა ეს თალი განსხვავებული ფორმისაა. სადგომს აქვს მხოლოდ ერთი, სამხრეთის კედელში გაჭრილი შესასვლელი და სამი საარკმელი იმავე კედელში. ამათგან ორი საარკმელი გვერდ-გვერდად, შესასვლელის მარჯვნივ მდებარე თალის არეშია, ერთიც — მარცხნივ (სურ. 40).

ნაგებობის ახლანდელი სახე ორ სამშენებლო ფენას შეიცავს: თავდაპირველსა და აღდგენილ ნაწილს.


თავდაპირველი პერიოდის შემორჩენილია ორი პილონი, მათზე გადასული ყველა თალით და კედლის პილონები (ზოგან ამ პილონების ქვედა ნაწილი შეკეთებულია). მეორე პერიოდში აღდგენილია გარე კედლები, სადაც შემორჩენილია მხოლოდ სამი კედლის თალი: ერთი ჩრდილოეთის კედელზე ცენტრალური და ორიც — სამხრეთის კედელზე (შესაძლოა, ეს გარე კედლებიც იმ დიდი მიწისძვრის დროს იყო დანგრეული).

ძეგლის თავდაპირველი ნაწილი თლილი, კარგად აწყობილი



სურ. 39. პალატი. მიწვა.

კვადრებითაა ნაგები. თითო საფეხურზე შემდგარ პილონებზე, როგორც ვთქვით, ჯვარედინად გადაღის თალები. გრძივ ღერძზე მდებარე თალები უფრო განიერია და დაბლა მდებარეობს, ვიდრე გვერდითი მოკლე მონაკვეთების თალები. ამ თალებს მიწისძვრისათუ სხვა გარეშე მიზეზებით დაუქარგავს პირვანდელი ფორმა და ზოგან დეფორმირებულია, მაგრამ ეს კონსტრუქცია მტკიცე აღ-



სურ. 40. პალატი. განაკვეთი I—I.

მოჩნდა. თალები თავდაპირველად წალისებური ფორმისა უნდა ყოფილიყო. ჩვენამდე მხოლოდ ერთმა თაღმა მოაღწია უცვლელად. ასეთია დასავლეთი პილონის ჯამხრეთი თაღი. ამ თაღის მოპირდაპირე თაღი ოდნავ ჩაზნექილია, ხოლო ყველა დანარჩენი თაღი მეტნაკლებად დეფორმირებულია. ამ თაღების იშპოსტები ორი სახისაა: პირველი რთული პროფილით, მხოლოდ შუა პილონებზეა, ხოლო მეორე, მარტივი კი—კედლის პილონებზე (სამხრეთ კედლის დასავლეთის პილონზე დაყრდნობილ თაღს იშპოსტი სულაც არ გააჩნია).


სადგომის გადახურვას ჩვენამდე არ მოუღწევია, არც ისეთი დეტალი შემოგვრჩენია, რომ მიახლოებითი წარმოდგენა მაინც გვქონოდა მასზე. ამჟამად ორივე ნაწილში ბეტონის კამაროვანი გადახურვაა. იგი შედარებით ახალია.

აღდგენილი კედლები და თალები ნაგებია მქისედ დამუშავებული ყორექვით. ამ თალებს ზოგადად ისრული ფორმა აქვს, მაგრამ მათი გვერდების პროფილი ყველა განსხვავებული სახითაა წარმოდგენილი. ამ განსხვავებულობის ულაზათობა მეტად მკვეთრად იგრძნობა ძველი, კარგად ამოყვანილი თაღების გვერდით (სურ. 41).

ამ ნაგებობის თავდაპირველი დანიშნულება არ არის ცნობილი. თვით. სამხრეთ-აღმოსავლეთის კუთხეში ჩამარბული ქვევრები არც თუ ისე ძველი ჩანს, რომ მისთვის მარანი გვეწოდებინა. ჩვენი აზრით, სხვა მონასტრების მსგავსად, ეს ნაგებობაც პალატი უნდა ყოფილიყო. მისთვის ხელსაყრელი ანალოგიებიც არ გაგვაჩნია, მაგრამ თაღების წალისებურ ფორმას და ინტერიერის დამუშავე-

ბის სხვა დეტალებს თუ მხედველობაში მივიღებთ, მაშინ შესაძლოა. მისი წარმოშობა X საუკუნეზე გვიან არ ვიგულისხმობთ.

უკანასკნელ დრომდე ამ სადგომის ზემოთ მდგარა გვიანი ხის სახ-



სურ. 41. პალატი. ჭანაკვეთი II—II.

ლი. ეს ხის სახლი იმით ყოფილა საინტერესო, რომ აქ ხეზე კრის საუკეთესო ნიმუშები მოიპოვებოდა. სახელდობრ, თითო ფიცრისგან შემდგარი ორი კარის ზედაპირი მთლიანად ჩუქურთმით ყოფილა დაფარული. აგრეთვე ორი დარბაზის კერის ცენტრალური ნაწილს „გვირგვინიანი“ გადახურვა ჰქონია. ამ გვირგვინის საფეხურებიც მთლიანად მოჩუქურთმებული ყოფილა.

#### IV. სამრეკლო

ცაიშის კომპლექსში, ტაძრისა და პალატის გარდა, შედის ორ-სართულიანი სამრეკლოც, რომელიც ეკლესიის სამხრეთით, გალავანში ჩაყოლებით დგას (ტაბ. I, II). მისი აგების დრო უცნობია. ჩვენ ხელთ არსებულ მასალებში იგი ერთი ჭიტიყვითაც არსადაა ნახსენები. მაგრამ, რადგანაც, ერთი მხრივ, მისი კედლები შეიცავს ოდესღაც ტაძრის კუთვნილი ორნამენტაციის მრავალ ფრაგმენტს და, მეორე მხრივ, იგი არ წარმოადგენს ერთ მთლიან, ამა თუ იმ ეპოქის შემცველ ერთეულს და რამდენიმე ფენისგან შედგება, ამიტომ საფიქრებელია, რომ მისი აშენება მიწისძვრის მომდევნო ხანას უნდა ეკუთვნოდეს.

გამოთქმული აზრის განსამტკიცებლად შეიძლება გამოგვადგეს მალაქიას ცნობილი წარწერა, სადაც ვკითხულობთ: „...სრულიად დაიქცა გალავნითა და შიგან გარ-შენობითა და სამრეკლოთა,..."<sup>1</sup> როგორც ვხედავთ, ამ კომპლექსში ცალკე მდგარი სამრეკლოც შედიოდა, რომელიც მიწისძვრას დაუნგრევია.


სამრეკლო ამჟამად, როგორც აღვნიშნეთ, ორსართულიანია, ქვედა-დახურული სათაფსოა, ხოლო ზედა — ხუთთაღიანი ღიადი.

პირველი სართულის გეგმა უფორმო ტრაპეციის მოყვანილობისაა. იგი ჩრდილო მხარეს მთლიანად ღიაა, თალიანი. (სურ. 42) ეს სართული ყოველი მხრიდან (ჩრდილოეთ მხარის გარდა) განათებულია თითო სარკმლით. ამათგან სამხრეთის სარკმელი ძალიან მაღლაა, კამარის ქვეშ, ხოლო ორი დანარჩენი ერთ დონეზეა, ერთი მეტრით დაცილებული იატაკიდან (სურ. 43). კედლებს შიდა შემოსილობა სხვადასხვა ხასიათისაა. აქ ირჩევა რამდენიმე ფენა.

სამრეკლოზე ადგილობრივმა დაკვირვებამ დაგვარწმუნა, რომ მისი შექმნის ისტორია ოთხ პერიოდს შეიცავს. მშენებლობის პრო-

<sup>1</sup> ე. თაყაიშვილი, არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი ტფილისი, 1914, გვ. 170—171.

ცესი და ფენებს შორის ინტერვალი ჯერჯერობით უცნობია. ჩვენი აზრით, პირველი ფენა ამ ნაგებობისა არ შეიცავდა სამრეკლოს ელემენტს, — აქ უნდა ყოფილიყო გალავანში შესასვლელი, შიგნიდანაც და გარედანაც საკმაოდ კარგი კვადრებით ნაგები ორ ბურჯზე მდგარი მაღალი თალი. სწორედ ამ ნაწილის ჩრდილო ფასადზეა ჩატანებული ზემონახსენები ბარელიეფი ქტიტორების კომპოზიციით. შემდეგში ეს ნაწილი, ე. ი. გალავნის თალი, გაუგრძელებიათ სამხრეთით და, ალბათ, სამრეკლოს დაშენების მიზნით, შეუქმნიათ



სურ. 42. სამრეკლო. პირველი სართულის გეგმა.


ოთხივე მხრიდან ღია სადგომი. დროის რომელიღაც მონაკვეთში, რაღაც მიზეზით, სამხრეთ ნახევარში ზედა ნაწილი კამარის ქუსლიდან მთლიანად დანგრეულა. ჩრდ. ნახევარი შედარებით ნაკლებადაა დაზიანებული, — აქ მხოლოდ კამარის ცენტრალური ნაწილია ჩანგრეული. ეს მეორე პერიოდის ნაშენიც ყოველი მხრიდან საკმაოდ კარგი რუხი ფერის ქვებითაა შემოსილი. ამ ფენის შემოსვაშია გარეული ტაძრის ორნამენტების ფრაგმენტები.

მომდევნო პერიოდში ნაგებობა მთლიანად გადაუხალისებიათ და მისთვის სხვა დანიშნულება მიუციათ. ზემოთ სამრეკლოს ღიადი დაუშენებიათ. შეიძლება იმავე დროს, ან შემდეგ, ქვედა სართულის ღია თაღები ამოუვსიათ და იგი დახურულ სათავსოდ უქცევიათ. ამ ფენის ფასადებზე გამოყენებულია იგივე რუხი ფერის კვადრები, ხოლო ღია ნაწილი უფრო მცირე ზომის ქვებითაა უწესრიგოდ ამოვსებული. ამავე დროისაა ქვედა სართულის შიგნითა კამარა ორი გამბრჯენი თალით, ამათგან შუა თალი აღმოსავლეთით ოთხკუთხა პილასტრს ეყრდნობა, დასავლეთით კი — კონსტეინს. მეორე, სამხრეთის კედლის თალი, კონსტეინებზეა დაყრდნობილი.

მეორე სართულზე ასევე ხდება გალავნის შიგნიდან აღმოსავ-

ლეთის მხარეს მიშენებული ქვის კიბით. კიბიდან პირდაპირ ავღი-  
ვართ პატარა მოედანზე, რომლიდანაც შესასვლელია თვით სამ-  
რეკლოში.

სამრეკლოს ეს ნაწილი წარმოადგენს კონუსური გუმბათით გა-  
დახურულ, არაზუსტ წრეზე აგებულ ცილინდრს (სურ. 43). ცი-  
ლინდრის კედლებში გაჭრილი ხუთი ღია თალი სხვადასხვა ფორმის  
ამპოსტებზეა დაყრდნობილი. როგორც თაღების სიმაღლეები, ისე



სურ. 43. სამრეკლო. განაკვეთი აღმოსავლეთით.

ქუსლების დონეებიც ოდნავ განსხვავდება ერთმანეთისაგან. შიგ-  
ნითა პერანგი, თაღების მთელი სიმაღლის გასწვრივ, ამოყვანილია  
სხვადასხვა ზომის, მაგრამ კარგად თლილი ქვით, ხოლო ზედა და

ქვედა ნაწილები ოდნავ ფორჰამიციემული ფლეთილი ქვით. შელესილი და თეთრად შეღებილი ყოფილა მხოლოდ ცილინდრის შიდა ზედაპირი.<sup>1</sup>

ეს ცილინდრი გარედანაც შემოსილია სხვადასხვა ზომის სწორი კვადრებით, სადაც შედარებით დაცულია ჰორიზონტული რიგები. მისი დეკორი უბრალოა: მარტივპროფილიანი კარნიზი და ორლილვაკიანი სარტყელი ღია ნაწილების ქვემოთ. ეს ლილვაკები კედლის სიბრტყეშია ჩაჭრილი. ამათ გარდა თალებს შორის ფხისებრზედაპირიანი თითო კოპია დასმული (არათანაბარი განლაგებით). გუმბათი ჯრამიტითაა გადახურული (ეს ასე ყოფილა მაშინაც, როდესაც თვით ეკლესია ჯერ კიდევ ყავრით იყო დახურული).

წარსული საუკუნის ბოლოს უნდა ეკუთვნოდეს ამ სამრეკლოს ქვედა სართულის სამლოცველოდ გადაქცევაც. ამ მიზნით დაუვიწროვებიათ ჩრდ. შესასვლელი და ხის კარები ჩამოუკიდიათ, შიგნით ქვის იატაკი დაუგიათ და სამხრეთით ფიცრის კედლით გამოუყვიათ საკურთხეველი. ტრაპეზის მოსაწყობად აღმოსავლეთის სარკმელა ამოუგმანათ, სარკმლის თარო გაუდიდებიათ და სამხრეთის კედელზეც, ცოტათი დასავლეთით, მიუდგამთ სამსხვერპლო.

---

<sup>1</sup> სამრეკლოს ქვედა სართულს უახლეს დროში კიდევ განუცდია გადაკეთება. 1904 წ. აქ დაუმარხიათ ცაიშის უკანასკნელი დეკანოზი მიხეილ პეპუს-ძე მუნარგია და ამის შემდეგ, როგორც ვტყობა, იგი გადაქცეულა ამ ოჯახის სამარხად, რადგანაც აქვე მარხავენ 1919 წ. ცნობილ მწერალ იონა მუნარგიას და სხვებს.



## ლ ა ს კ ე ნ ა

1. ცაიშის კომპლექსის წარმოშობის პერიოდში, — XIII—XIV ს-თა მიჯნაზე, საქართველო მძიმე პირობებში იმყოფებოდა. პოლიტიკური დამოუკიდებლობის ხელიდან გამოცლას თან სდევდა თავისუფლებისმოყვარე ხალხის თავგანწირული ბრძოლა. შინ და გარეთ ბრძოლას არ შეიძლებოდა რადიკალური გავლენა არ მოეხდინა მატერიალურ მდგომარეობაზეც. ქვეყნის სოციალურ ცხოვრებაშიც თავს იჩენს ცვლილებათა ახალი სახე. მიწის დამუშავება არარად ფასობდა, ამიტომაც სოფლები იცლებოდა მოსახლეობისაგან. საჭირო შეიქნა საგანგებო ღონისძიებათა მიღება, რომ გლეხი მიწაზე მიეჯაჭვათ: ასეთი მდგომარეობა იყო ძირითადად იმ ბრძოლის საწინდარი, რომელიც შემდეგ დიდი ხნის განმავლობაში წარმოებდა მოსახლეობის ზედა და ქვედა ფენებს შორის.

2. ქვეყნის ასეთ საერთო მდგომარეობას არ შეიძლებოდა თავისებური გავლენა არ მოეხდინა მშენებლობის კულტურაზეც. ცნობილია, სხვა პირობებთან ერთად, მატერიალური მდგომარეობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განმსაზღვრელია მშენებლობის ღონისა.

XIII—XIV საუკუნეებში, მშენებლობას ისტორიულ სამეგრელოს ტერიტორიაზე, სამცხეს მსგავსად, ერთგვარი გამოცოცხლება ეტყობა, წარმოებს ერთი მხრივ, ახალი, თვალსაჩინო ტაძრების აგება და მეორე მხრივ — დანგრეული საყდრების დიდი მასშტაბით, თითქმის ხელახლად აღმართვა.

3. განსახილველ უბანში ამ პერიოდის ხუროთმოძღვრული სტილის თავისებურებანი, საქართველოს სხვა უბნებთან, ისე როგორც სხვა დროსა, ახლაც ერთიანია (ცხადია, ყოველთვისაა მცირეოდენი ნიუანსები).

4. ქართული ფეოდალური მონარქიის კულტურის მაღალ დონეს XII—XIII საუკუნეთა მიჯნაზე შეესატყვისებოდა ხუროთმოძღვრების სათანადო დონეც (ამისი საუკეთესო ნიმუშებია: ქვათახევი, ბეთანია, ფიტარეთი, წულურულაშენი). ამ ეპოქის სტილმა, რომლის საწყისებიც რამდენიმე საუკუნით ადრე უნდა ვეძებოთ, აქ ამოწურა თავისი განვითარების მაღალი დონე: მაგრამ, აქვე უკვე

XIII ს. პირველ მესამედში პოტენციურად ისახება დეკადანსის ის კომპონენტები, რომლებიც მომდევნო პერიოდებში თანდათანობით ვითარდება და ვრცელდება.

5. ერთგვარი, გარდამავალი საფეხურის გავლის შემდეგ (ამ პერიოდის ძეგლებია: ახტალა, ქართლის მეტეხი, ნობი, თბილისის მეტეხი და სხვ.), XIII ს. ბოლოსა და XIV ს. დასაწყისშიც ვხედავთ ხუროთმოძღვრების სტილის გარდატეხას, ახალ ეტაპს. ეს ეტაპი აშკარა მაჩვენებელია არა აღმავლობისა, არამედ დაღმავლობისა. ცენტრალურ-გუმბათოვან ძეგლებიდან, სწორედ ამ ეპოქაა პირმშოა ცაიშის ძეგლიც. მის გვერდით არიან სამცხის ძეგლები: საფარა და ზარზმა. მაგრამ აქვე ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ამ სამ ძეგლს ჯერ კიდევ გააჩნია მთლიანობა. შემდეგ, სტილის დაღმავალ ხაზზე მათ მოსდევს: გერგეტის სამება, ბეღია, ქულე, ბიეთი და სხვ.

6. ამ ეპოქის ხუროთმოძღვრებაში არსებული ზოგი ნიშანი საწყისს ლებულობს უკვე აშკარად XIII ს. დამდეგს, ხოლო ზოგი პირიქით, ამ დროის პრინციპების საწინააღმდეგოა და უფრო შორეულის გამოძახილს წარმოადგენს. პირველის მაგალითებია: გეგმის შესამჩნევი დამოკლება — კვადრატს მიახლოება; ფასადების მორთვაში დეკორატიულ თაღებზე საბოლოოდ უარის თქმა (ამ მხრივ ბრტყელზედაპირიან ფასადებში თბილისის მეტეხი უნდა იყოს უკანასკნელი ნიმუში, ხოლო შვერილაფსიდებიანში — ცაიში); საერთოდ ორნამენტაციის მოტივთა რეპერტუარის გაღარიბება და გარკვევით ტენდენცია გეომეტრიულ სახეებისადმი; ამ გარემოებას თან სდევს შესრულების ტექნიკის დაბალი დონე, სქემატურობა და სხვ. მეორის მაგალითებია: გუმბათის ყელის დადაბლება: პატრონიკეების აღდგენა (უფუნქციოდ) და სხვ.

7. ცაიშის ხუროთმოძღვრული კომპლექსი რთული შედგენილობისაა. გვიანდელი ისტორიული წყაროებითა და არქიტექტურულ-მხატვრული ანალიზით ანსამბლში დღეს, ძირითადად, სამი სამშენებლო პერიოდის გარჩევა ხერხდება.

8. პირველ პერიოდს შეიძლება. მივაკუთვნოთ დღევანდელი ღვთისმშობლის ეკლესიის ადგილას მდგარი, ამჟამად მის აღმოსავლეთ ნაწილის ჩონჩხში ჩაქსოვილი, გამოწეული აფსიდიანი ეკლესია და სამრეკლოს ჩრდილო ფასადში ჩატანებული ბარელიეფი (სამთაღედში მოქცეული ეკლესია ქრიტორებით).

9. აღნიშნული პერიოდის ეკლესია (აღბათ სხვა ნაგებობანიც), დროის რომელიღაც მონაკვეთში, ჩვენთვის გაურკვეველი მიზეზით, დარღვეულა.

10. დანგრეული ეკლესიის ადგილას, ძველის ფრაგმენტების გამოყენებით XIII—XIV ს-თა მიჯნაზე აუგიათ ცენტრალურ-გუმბათოვანი ეკლესია დამხმარე შენობებით.

ამ ნაგებობებს შოიციავს მეორე სამშენებლო პერიოდი.

11. პირველი და მეორე პერიოდის ძეგლების ლაპიდარული წარწერები არ შემოგვრჩენია; მათ აგებაზე არც ჩვენ ხელთ არსებული ისტორიული წყაროები გვამცნობს რამეს.

12. ცაიშის ეკლესიის ხატებზე არსებული წარწერები და აგრეთვე ცაიშის ეკლესიიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით შედიოდნე კილომეტრის დაშორებით მდებარე „ჯეგეთას“ ეკლესიის ლაპიდარული წარწერა გვამცნობს, რომ 1614 წელს ამ მიდამოებში ყოფილა დიდი მიწისძვრა.

13. ამ წარწერებიდან აგრეთვე ვიგებთ, რომ მიწისძვრას ამ კომპლექსიდან დაუნგრევია ღვთისმშობლის ეკლესია, სამრეკლო და გალავანი, ხოლო რა დაანგრია დანარჩენი ნაგებობიდან, ეს კონკრეტულად არ ჩანს წარწერის ბუნდოვან გამოთქმაში: „შეიმუსრა... ყოვლით ნაშენებით მითურთ“.

15. იმავე წარწერებიდან ვიგებთ, რომ ცაიშელ-ჯუმათელ ეპისკოპოსმა მალაქია გურიელმა მიწისძვრის ორი წლით ადრე, ე. ი. 1612 წ. მოახატვინა ეკლესია.

1616 წელს მალაქია გურიელი აფხაზეთის კათალიკოს-პატრიარქია, მაგრამ ცაიშისა და ჯუმათის საეპისკოპოსოები მაინც შას აბარია. იგი იმავე წლიდან, ე. ი. 1616 წლიდან, ცაიშის ტაძრის აღდგენას იწყებს-და ამთავრებს 1619 წელს.

16. მესამე სამშენებლო პერიოდში აღდგენილი შენობის ნაწილი (მალაქია კათალიკოსის მიერ აღდგენილი) თითქმის მოკლებულია მხატვრულ ღირებულებას.

17. მალაქია კათალიკოსი თავისი ამშენებლობითი საქმიანობის განდიდების მიზნით მიწისძვრის სტიქიას აზვიადებს. იგი წერს: „...საყდარიცა ესე ცაიშისა დაეცა, შეიმუსრა თავითგან ვიდრე საფუძვლამდე“-ო. სინამდვილეში იგი არ შემუსრულა თავიდან ვიდრე საფუძვლამდე, არამედ გადარჩა მეორე პერიოდის ძეგლიდან საკმაო ნაწილი.

18. მესამე სამშენებლო პერიოდის ნაგებობაში გამოყენებულია მეორე სამშენებლო პერიოდის შემდეგი ნაწილები: აღმოსავლეთ ფასადის მეტი ნაწილი; სამხრეთ ფასადის მარცხენა ნაწილი, შესასვლელი უარქიტრაოდ და მარჯვნივ 1,5—2 მეტ. სიმაღლის კედელი; ამავე სიმაღლეზეა დასავლეთის ფასადი შესასვლელითა

და მის ირგვლივ მდებარე კოპებით, ხოლო ჩრდილოეთის ფასადზე მხოლოდ ცოცოლია შემორჩენილი რამდენიმე მომდევნო ქვით.

19. ამ შრომის მთავარ მიზანს სწორედ მეორე სამშენებლო პერიოდის ნაგებობის ხუროთმოძღვრული — მხატვრული ანალიზი წარმოადგენდა.

20. ძეგლის განხილვის საფუძველზე მიღებულია მეორე სამშენებლო პერიოდის ნაგებობის რეკონსტრუქციის პროექტი.

21. ცაიშში საეპისკოპოსო კათედრა იყო, მაგრამ რომელ საუკუნიდან, — ეს არ ჩანს. პირველი წერილობითი წყარო ამის შესახებ გვაქვს XV ს. შუა წლებში.

22. XVIII ს. პირველ სამეოთხედში (ყოველ შემთხვევაში პირველი ათიანი წლებიდან) ცაიშის კათედრა აღარ არსებობს. როგორც წერილობითი დოკუმენტები გვაუწყებენ, იგი „გარნა ქვეყნისა მიმორყეულობის გამო მისცემია ხელთა ერის კაცთასა“ და ნაწილობრივ დაზიანებულა თვით ნაგებობაც.

23. 1777 წ. კაცია II დადიანისა და მის მიერვე განწესებულ ცაიშელ გრიგოლ ჩიქოვანის ღვაწლით ცაიშის კათედრა აღდგენილი და ნაგებობა სათანადოდ შეკეთებული იქნა.

24. ცაიშის საყდარი XIX ს-ის დასაწყისში ისლით ყოფილა დახურული; იმავე საუკუნის მეორე ნახევარში ყავრით გადაუხურავთ; შემდეგში ცხრაასიან წლებში, გაუკეთებიათ თუნუქის სახურავი, რომელიც ნაწილობრივ დღემდე შემორჩა.

25. 1823 წ. სათანადო ორგანოების განკარგულებით ცაიშის კათედრა საბოლოოდ იხურება.

26. ამის შემდეგ მეცხრამეტე საუკუნის ოთხმოციან წლებამდე ის მხოლოდ მონასტერია, ხოლო ამ დროიდან ცაიში საკრებულო ტაძარია სამრევლო სკოლით.

27. ორსართულიანი სამრეკლო შეიცავს ოთხ სამშენებლო ფენას, ხოლო პირველი, უძველესი ფენა, ეკუთვნის მიწისძვრის მომდევნო პერიოდს.

28. ცაიშის კომპლექსის ირგვლივ არსებული გალავანიც აგებულია მიწისძვრის შემდეგ, ხოლო ძველი გალავნის კვალი უფრო შორსა ჩანს „პალატის“ დასავლეთით.

## Резюме

### Цаишский архитектурный комплекс

#### Введение

В советскую эпоху, когда каждая культура оставаясь национальной по форме, обогащается социалистическим содержанием, мы обязаны особенно внимательно изучать, оценивать и использовать всё лучшее из наследия прошлого. Великий Ленин учил нас: «Без ясного понимания того, что только точным знанием культуры, созданной всем развитием человечества, только переработкой её можно строить пролетарскую культуру — без такого понимания нам этой задачи не разрешить».<sup>1</sup>

Грузинская культура и, в частности — зодчество, как хорошо известно, имеет присущие ему национальные черты; созданная самим народом, эта культура развилась и оформилась в одно целое и, несмотря на неоднократное её разрушение пришлыми завоевателями, она оказалась настолько устойчивой, что продолжала существовать победительницей. Изучение многочисленных, многообразных и высокохудожественных памятников грузинского зодчества, следовательно, имеет весьма важное, практическое значение и является нашей неотложной задачей.

Предлагаемая вниманию читателей работа касается комплекса архитектурных сооружений, находящихся в сел. Цаиши Зугдидского района Грузинской ССР; всестороннее рассмотрение этого комплекса, надеемся, внесёт свою лепту в изучение истории грузинского зодчества, в частности же — в выяснении его особенностей в XIII-XIV веках.

<sup>1</sup> В. И. Ленин, Сочинения. т. 31 (изд. четв.), 1950. стр. 262.

Селение Цаиши расположено к северо-западу от районного центра Зугдиди, в гористой местности, на речке Джуми.

В настоящее время архитектурный комплекс состоит из ограды с купольным храмом в центре, колокольной в южной части и палаты, стоящей к северу, за оградой, на склоне горы (рис. 1, табл. I-III).

Ни одно здание комплекса не сохранилось в первоначальном виде; в каждом из них можно обнаружить несколько хронологических строительных слоёв. Особенно радикальные изменения произошли вследствие катастрофического землетрясения 1614 года, после которого, в 1616-1619 годах, был восстановлен, в частности, главный храм.

Известно, что в Цаиши существовала епископская кафедра; в сохранившихся документах она упоминается в середине XV века, но время её учреждения не устанавливается. Дальнейшие сведения о кафедре и её зданиях относятся лишь к началу XVII века.

Исследователи XIX столетия и последующего времени интересовались, в основном, надписями, находящимися на иконах и разной церковной утвари,<sup>1</sup> оставляя без внимания историю архитектурного комплекса.

Ныне, в советское время, Цаиши является цветущим краем с цитрусами, и другими субтропическими культурами; недавно здесь же обнаружены горячие минеральные источники, привлекавшие внимание медицинского мира своими выдающимися целебными свойствами.

## I. История архитектурного комплекса

История цаишского комплекса по документальным данным прослеживается с начала XVII века. До этого времени, и то с середины XV в., мы встречаем только упоминание о цаишских епископах. Об истории Цаиши, кроме письменных документов, рассказывают также надписи на иконах и на церковной утвари.

<sup>1</sup> Brosset,  *voyage archéologique*, гарр. УП, стр. 27—37; Е. С. Такайшвили, *Археологические путешествия в Мингрелии*, 1913, стр. 163—193.

Первая примечательная справка касается землетрясения, разрушившего памятники ансамбля. Об этой катастрофе сообщают несколько надписей. Одна надпись на цайшской иконе подробно рассказывает как Малакия сын Георгия Гуриели (владетельный князь Гурии), будучи епископом в Цайши и Джумати, распорядился расписать храм; через год невероятно сильное землетрясение, продолжавшееся почти целый год, разрушило не только этот ансамбль, но и находящиеся поблизости церкви и сёла. В надписи патетически рассказывается о том, как до основания был разрушен этот храм, ограда и все здания ансамбля; был уничтожен и весь инвентарь церкви. После затишья прошёл ещё год и епископ Малакия, рукоположенный в католикосы Западной Грузии, начал возведение разрушенного храма и закончил эту стройку в 1619 году.<sup>1</sup>

Как видим, в надписи не указаны ни дата первоначальной росписи, выполненной по указанию Малакия, ни даты землетрясения и начала реставрации храма.

После сопоставления и анализа разных исторических документов и надписей было установлено, что храм первый раз был расписан в 1612 году; в 1614 году произошло землетрясение; в 1616 году Малакия начал реставрацию, законченную в 1619 году. Что касается слов Малакия, будто землетрясением храм был разрушен до основания, то они несомненно преувеличены. Правда, большая часть здания погибла, но оставшиеся части дают возможность судить о первоначальном виде строений.

В дальнейшем, мы имеем лишь скудные сведения об истории цайшской епископской кафедры, содержащиеся в разных документах, причём они почти ничего не рассказывают об изменениях, происшедших в архитектуре комплекса.

Например, Давид Джолия, назначенный епископом Цайши в 50-60 годах XVII в., в одной надписи сообщает, что в эти годы обхацы разграбили и подожгли церковь; был уни-

---

<sup>1</sup> Надпись издана: Brosset, Voyage archeologique, rapp. VII, стр. 33—85; Е. С. Такайшвили, «Древняя Грузия», т. III, стр. 166—169; его-же. Археологические путешествия и заметки, I, стр. 166—169. (на груз. яз.).

чтожен почти весь инвентарь храма. Но в надписи ничего не сказано о том, какой вред причинил этот пожар зданию.

В первой половине XVIII века, по точно неустановленным причинам, в Цаиши епископской кафедры уже не существовало, здание же было повреждено. Об этом и последующем восстановлении Цаиши рассказывается в нескольких надписях на иконах.

Из других документов узнаём, что епископская кафедра восстанавливается по повелению Кациа II Дадзани, а новый епископ Григол восстанавливает храм. Об этом последнем факте сообщается и в надписи, находящейся на карнизе западного фасада храма.

По этим надписям нельзя удостовериться какие места здания были реставрированы, это можно установить хоть приблизительно при анализе памятника. В надписях прямо указывается только, что Григол восстановил ограду и все «устаревшие здания».

Сведений о дальнейших изменениях, происшедших в зданиях комплекса — у нас не имеется.

На стенах цаишских построек нет надписей, хотя первоначально они были, так как в южной стене колокольни вставлены фрагменты надписей.

К сожалению, эти фрагменты не содержат датирующих моментов. В этом смысле единственное, что можно использовать, это палеографические особенности письма, они тоже указывают на XIII—XIV века.

## II. Купольный храм

### а) описание

Многослойность цаишского храма, диктует нам начать описание не с интерьера, как это обычно принято, а с наружных масс и фасадов. Такой порядок описания даёт возможность ярче выявить тот или иной строительный слой.

Цаишский храм является крестовокупольным зданием, претерпевшим, как было сказано, ряд перестроек.

Здание было воздвигнуто на трёхступенчатом цоколе.



Фасады целиком облицованы хорошо тёсанными сероватыми квадратами (рис. 3—5).

Здания после землетресения потеряло крестообразное решение наружных масс; а реставраторы только частично восстановили начальные формы; уцелевший от землетрясения цоколь диктовал реставраторам придерживаться раньше существующего абриса и формы масс (рис. 2, 3). Три фасада здания плоские, без особых выступов, а на четвёртом, восточном фасаде — семигранная выступающая абсида. Стены завершал высокий орнаментированный карниз. При этом, восточный и западный фасады перекрыты двухскатной крышей. Цилиндрический купол целиком возведён заново.

Восточный фасад, сохранившийся лучше остальных, в основном состоит из плоской стены и находящейся посередине выступающей части (табл. III—IV). Здесь частично реставрирована только правая сторона и центральная верхняя часть плоской стены.

Выступающая семигранная абсида была парадно украшена. Каждая грань, кроме крайних, была обрамлена аркой, опиравшейся на двойные полуколонки.

Декоративная аркатура не однородна, поэтому на гранях образуются в плане трехугольные полоски. Базы и капители полуколонок — сложной профилировки и покрыты орнаментацией.

На центральных трёх гранях имеется по одному декорированному окну. Декор среднего окна опирается на полуколонки и завершён тремя шишками. Над крайними окнами — по одной такой же шишке. Такие же шишки расположены наверху, между арками (табл. XII—XV).

На боковых плоских стенах этого фасада один над другим расположены по два окна. Верхние круглые, маленькие окна обрамлены концентрическими валиками (табл. IV). (Рельеф этих окон врезан в плоскость стены). Нижние большие окна обрамлены двойными валиками и орнаментированной лентой.

Высоко, на правой стороне фасада, на уровне карниза абсиды, находится сюжетный барельеф (табл. IV).

На южном фасаде первоначально правая часть целиком

и нижняя полоса на уровне верха дверного проёма (рис. 4, табл. V). При реставрации стены использован старый материал.

Декор фасада, в основном, расположен вокруг входа и окон. Боковые части входа профилированы, а взамен утраченного архитрава использован какой-то орнаментированный камень. Центральное большое окно восстановлено из фрагментов первоначального окна, но при этом не соблюдена точность. Маленькое круглое окно в левой части фасада, по-видимому, находится на первоначальном месте. В правой части фасада сохранился частично восстановленный прежний карниз (табл. XVII<sub>1</sub>).

В нижней части по всей длине стены находятся фрагменты фресковой росписи. Кроме этого, в правой части, на стене остались следы когда то приставленных арок; на земле же можно заметить остатки восточной стены пристройки, конструктивно не связанной со стеной церкви. Всё это указывает на то, что здесь была какая-то сложная пристройка, возведённая, быть может, после постройки храма.

На плоском западном фасаде нетронутой осталась нижняя часть стены длиной в 2—3 метра; первоначально также обрамление входа, имеющее сложную профилировку, и расставленные над аркой три шишки (рис. 5, табл. IV).

На этом же фасаде безсистемно размещены четыре окна. Центральное окно больше всех, оно составлено из фрагментов старого окна (рис. 5, табл. XVIII<sub>1</sub>). Также, из двух орнаментированных фрагментов первоначальных окон составлено левое окно: здесь один фрагмент четырёхугольный, а другой — круглый. Ещё одно круглое окно вставлено правее, ниже центрального окна. Четвёртое узкое окно, находящееся высоко в правой части фасада, в отличие от других, обрамлено обыкновенными камнями.

Интересная декоративная деталь фасада находится над центральным окном: обрамлённое валиками поле заканчивается трёхугольником; посередине обрамления находился круглый барельеф, который настолько пострадал при обвале,

что нельзя распознать находившееся на нём изображение (табл. VI).

На карнизе и в верхней части фасада видны следы реставрации XVIII в.; здесь камни мельче и карниз уже. Об этой реставрации рассказывается в надписи, помещенной на карнизе правее конька. В надписи митрополит Григол (Чиковани) именует себя «возобновителем этой церкви».

Северный фасад, пострадавший больше других, почти повторяет абрис южного, но намного уступает ему, как в декорировке так и по качеству реставрации.

Четырёхугольный вход и расположенное над ним окно — без декора, если не принять во внимание помещённое над окном какое-то выветрившееся навершие (табл. VII). Здесь также, как и на других реставрированных стенах, использованы как стройматериал, фрагменты декора первоначального здания.

Барабан купола целиком реставрирован (XVII в.); грани выведены настолько неумело, что он оставляет впечатление цилиндрической массы. Почти весь барабан купола, как и реставрированные части фасадов облицованы фрагментами облицовки разрушенного храма. Высокие и тонкие окна обрамлены бесформенными валиками (табл. V). Некоторые окна обрамлены орнаментированными фрагментами арочной формы.

Основание барабана купола опоясано спаренным валиком, корниз-же — простого профиля валиком.

Внутреннее пространство храма крестообразное, с куполом в центре (рис. 6—9, табл. VIII—IX). Боковые рукава креста короче, чем два других; из них только восточный рукав заканчивается абсидой, остальные четырёхугольные. Барабан купола с восточной стороны опирается на углы алтаря, с запада — на два пилона.

Алтарь состоит из бемы и абсиды. Боковые помещения соединяются с алтарём арочными проёмами (арки поздние). В алтаре по бокам находятся ниши, обрамлённые двумя валиками. Поздний престол находится посередине алтаря.

Абсида и бема неправильной формы, а стены абсиды нам-

ного толще остальных. Это, вместе с другими особенностями, указывает на то, что в алтарной части храма сохранились остатки другой церкви принадлежащие, вероятно, к первому хронологическому слою.

Устой купола решены разно. Причём углы алтаря несут следы только переделок, а западные, массивные пилоны целиком новые (XVII в.). Первоначально, вероятно, все четыре устоя были решены одинакового — двухярусно (рис. 10). Пример такого решения виден на юго-восточном углу алтаря. Здесь устой, имеющий с двух сторон пилястры, разделён на две части горизонтальной тягой; в нижней части пилястры по углам украшены валиками, в верхней же — они отсутствуют. Устой завершён капителью простого профиля. Хотя другой угол алтаря повреждён, аналогичное его решение всё-же прослеживается чётко. Кроме этого, ясно видно, что приблизительно так-же были решены боковые пристепенные пилоны. Возможно, что в этих массивных западных устоях сохранились некоторые части первоначальных пилонов.

Из восстановленных остальных трёх рукавов креста боковые, высокие, заканчиваются безформенными сводами, западный же — двухэтажный. Из этих рукавов западный и северный почти заново возведены в XVII веке, а южный рукав реставрирован выше основания окон. Нижний сводчатый этаж западного рукава соединяется с боковыми частями храма арками; верхним этажом является хоры. Туда можно попасть с южной стороны, через маленькую дверь, которая ведёт в узкий коридор, а отсюда — на хоры.

Хоры соединяются с подкупольным пространством аркой, и освещаются западным большим окном (рис. 7, 8, табл. IX).

Боковые нефы западного рукава также явно несут следы переделок. В западной части этих нефов почти на половине высоты имеются остатки арок или сводов; это указывает на то, что здесь нефы первоначально может быть были двухэтажными. Теперь эти высокие нефы перекрыты цилиндрическими сводами, на которых заметны следы каких-то безформенных арок.

Барабан купола опирается на арки, перекинутые между устоями. Переход от подкупольного четырёхугольного основания на круг происходит при посредстве парусов. На парусах выведены маленькие тремпообразные арки (табл. VIII). Деформированный цилиндрический барабан купола заканчивается поясами, из них ныне сохранившийся нижний пояс состоит из трёх валиков, а верхний — из двух. В барабане купола — восемь окон, почти все разного размера. В куполе, в тех местах, где отвалилась штукатурка, видны фрагменты орнаментированных камней.

